ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
(სსიპ ქალაქ ოზურგეთის #1 საჯარო სკოლა)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნინო ვასაძე

წევრები:

თეა ტაბატაძე
ნანა გიორგობიანი
ბექა კვაჭაძე
მაკა ნადარეიშვილი
ლამზირა აფაქიძე
ლაშა სარალიძე
როლანდი ხოჯანაშვილი
თეონა აბრამიშვილი
ალექსანდრე ჩახნაშვილი

ნინო ვაშალომიძე

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ქალაქ ოზურგეთის #1 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	237095905

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ოზურგეთი
იურიდიული მისამართი	ნინოშვილის 5
ფაქტობრივი მისამართი	ნინოშვილის 5
საფოსტო ინდექსი	3500
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	არ აქვს
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Ozurgeti1@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577724700

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	#775029; 28.06.2023
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	03.08-04.08

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი ოზურგეთი, ნინოშვილის 5
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი ოზურგეთი, ნინოშვილის 5
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი ოზურგეთი, ნინოშვილის 5

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2023 წლის 28 ივნისის #775029 ბრძანების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფის განვახორციელეთ ვიზიტი სსიპ ქალაქ ოზურგეთის #1 საჯარო სკოლაში მის. ქ. ოზურგეთი, ნინოშვილის ქუჩა N5, ა.წ . 3 და 4 აგვისტოს. ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა. ექსპერტთა ვიზიტი წარიმართა დღის წესრიგის შესაბამისად. ვიზიტამდე მოხდა დოკუმენტაციის შესწავლა და დამატებითი დოკუმენტების გამოთხოვა, რაც უზრუნველყოფილი იქნა დაწესებულების მხრიდან: ნაწილი დოკუმენტაცია წარმოდგენილ იქნა ადგილზე მატერიალური სახით, ნაწილი კი ელექტრონული სახით. ვიზიტისას შეფასდა ოთხივე სტანდარტი,მათ შორის მეორე სტანდარტი თითოეული საფეხურისთვის. ექსპერტები ვიზიტისას გაესაუბრნენ ადმინისტრაციის და საგნობრივი კათედრების წარმომადგენლებს, ასევე ინტერვიურება ჩატარდა სპეციალურ მასწავლებლებთან და ბიბლიოთეკართან.

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

- დაწესებულებას აქვს არაფორმალური განათლების მიმართულებით ძალიან კარგი პრაქტიკა. სკოლაში ფუნქციონირებს სამოქალაქო განათლების კლუბი, ეკოკლუბი, მკითხველთა კლუბი ფოლკლორის კლუბი „საუნჯე". არაფორმალური აქტივობებისთვის გამოყოფილია ცალკე სივრცე, სადაც მოსწავლეებს შექმნილი აქვთ სასიამოვნო გარემო და ახორციელებენ სხვადასხვა პროექტებს. დაწესებულებას კოლეჯ „ჰორიზონტთან" თანამშრომლობის ფარგლებში გადაეცა ინვენტარი, რაც საჭიროა სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესასწავლად. სკოლა რეგულარულად უწევს მოსწავლეებს კონსულტაციებს პროფორიენტაციის მიმართულებით.
- დაწესებულებას შექმნილი აქვს ინკლუზიური სასწავლო გარემო. სკოლას აქვს ინფრასტრუქტურა შესაბამისად მოწყობილი-ლიფტი, პანდუსი, ადაპტირებული საპირფარეშო და სასწავლო რესურსები. სპეციალური მასწავლებლები მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა საგრანტო კონკურსებში, მოპოვებული აქვთ დაფინანსება რითაც მოეწყო რესურს ოთახი, შეიძინეს რესურსები. ხორციელდება სოციალური ინკლუზიის მიმართულებით პროექტები, რომელშიც ჩართული არიან სხვადასხვა კლასის მოსწავლეები.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 1500	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	*აღწერა* *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

არ დაფიქსირებულა.

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	*ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში უზრუნველყოს:* ➢ *შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნის მოპოვება(12.09.2023-30.10.2023);* ➢ *შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება(11.09.2023-30.12.2023).*
ინდიკატორი N3.6.3.1	სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;	*ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში (01.09.2023-01.10.2023) უზრუნველყოს ვებგვერდის შექმნა.*

ინდიკატორი N3.6.3.4	სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;	*ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში (01.09.2023-01.10.2023) უზრუნველყოს ვებგვერდის შექმნა.*
ინდიკატორი N3.6.3.5	ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.	*ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში (01.09.2023-01.10.2023) უზრუნველყოს ვებგვერდის შექმნა ინდიკატორის მოთხოვნის შესაბამისად.*

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	*რჩევა*
ინდიკატორი N1.2.1.2	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;	*ექსპერტთა რჩევაა, გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი და სტრატეგიული განვითარების გეგმა დამტკიცდეს სამეურვეო საბჭოს მიერ მეთოდოლოგიის შესაბამისად. სტრატეგიული მიზნები და ამოცანები ფორმულირდეს ზმნის ინფინიტიური ფორმით.*
ინდიკატორი N1.2.1.3	სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას.	*ექსპერტთა რჩევაა, გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი და სამოქმედო გეგმა დამტკიცდეს სამეურვეო საბჭოს მიერ მეთოდოლოგიის შესაბამისად.*
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*რჩევა*
ინდიკატორი N3.1.2.3	პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;	*ექსპერტთა რჩევაა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში ცვლილება განხორციელდეს, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებისა და გამოცემისათვის დადგენილი წესით.*
ინდიკატორი N3.1.2.4	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;	*ექსპერტთა რჩევაა, „საექიმო საქმიანობის შესახებ“ კანონის მე-100[3] მუხლის მესამე პუნქტის თანახმად სკოლის ექიმმა მიმართვის*

		საფუძველზე განაახლოს სახელმწიფო სერტიფიკატი.
ინდიკატორი N3.2.1.2	პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;	*ექსპერტთა რჩევაა, პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტით განისაზღვროს შეფასების შედეგად გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე პერსონალის განვითარების გეგმის შედგენა.*
ინდიკატორი N3.2.1.3	სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;	*ექსპერტთა რჩევაა, გაიწეროს პერსონალის კარიერულ ზრდის შიდა მექანიზმები და პროცედურები.*
ინდიკატორი N3.2.1.4	სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;	*ექსპერტთა რჩევაა, დაწესებულებამ შეიმუშაოს თანამშრომელთა ინტეგრაციის წესი.*
ინდიკატორი N3.3.1.4	სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.	*ექსპერტთა რჩევაა, სწორად იქნას მითითებული დაწესებულების სახელწოდება 2023 წლის 02 აგვისტოს #956860 „სსიპ ქალაქ ოზურგეთის N 1 საჯარო სკოლის მოსწავლის, მათი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის და პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვისა და გასაჩივრების მარეგულირებელი დოკუმენტი დამტკიცების შესახებ“ ბრძანების დანართში.*
ინდიკატორი N3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის	*ექსპერტთა რჩევაა, დაწესებულებამ უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების*

	საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	*სპეციალისტის აყვანა, რომელსაც ექნება აკრედიტირებული ორგანოს მიერ გაცემული სერტიფიკატი და შრომის უსაფრთხოების ნორმების დარღვევის პრევენციის მიზნით უზრუნველყოფს შრომის უსაფრთხოების ღონისძიებების დანერგვასა და მართვას.*
ინდიკატორი N3.4.1.6	სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;	*ექსპერტთა რჩევაა, პერსონალური მონაცემების დაცვის წესი მოვიდეს შესაბამისობაში სკოლის სტრუქტურასა და საშტატო ერთეულით განსაზღვრულ თანამდებობებთან ინდიკატორის აღწერის შესაბამისად.*
სტანდარტი N4	*მოსწავლეთა მხარდაჭერა*	*რჩევა*
ინდიკატორი N.4.2.4.2	სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;	*ექსპერტთა რჩევაა, დაზუსტდეს იჯარის ხელშეკრულებებში იჯარის ფართის გამოყენების მიზნობრიობა და დანიშნულება.*

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი* (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	*რჩევა*

*ინდიკატორი N*2.1.2.4	განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;	*ექსპერტთა რჩევაა: ესთეტიკური აღზრდის საგნებში სასწავლო წლის დაწყებამდე კიდევ უფრო დაკონკრეტდეს შეფასების რუბრიკები სამიზნე ცნებასთან, ცნების მკვიდრ წარმოდგენებთან და სტანდარტის შედეგებთან მიმართებით.*

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** (ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	*რჩევა*
*ინდიკატორი N*2.1.2.4	განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;	*ექსპერტთა რჩევაა: ესთეტიკური აღზრდის საგნებში სასწავლო წლის დაწყებამდე კიდევ უფრო დაკონკრეტდეს შეფასების რუბრიკები სამიზნე ცნებასთან, ცნების მკვიდრ წარმოდგენებთან და სტანდარტის შედეგებთან მიმართებით.*

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	*რჩევა*
ინდიკატორი N 2.2.1.1	სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;	*ექსპერტთა რჩევაა: მათემატიკის კათედრამ კურიკულუმში ჩააშენოს პროექტული ტიპის დავალებები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლის ნიმუშები და სხვა, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებს გახდნენ სასწავლო პროცესის აქტიური მონაწილეები.*

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

დაწესებულებამ 2023 წლის 23 აგვისტოს #1029255 კორესპოდენციით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება No99/ნ 2010 წლის 1 ოქტომბრის „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 25[1] მუხლის 6 პუნქტის თანახმად წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და მტკიცებულებები ხარვეზის აღმოფხვრის შესახებ. ექსპერტთა ჯგუფმა გაანალიზა შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში ხარვეზის აღმოფხვრის შესაძლებლობა და მიიჩნია, რომ კონკრეტული ხარვეზის აღმოსაფხვრელად გამოყოფილ ვადაში სავსებით შესაძლებელია დაგეგმილი აქტივობების განხორციელება. ექსპერტთა მიერ ავტორიზაციის დებულების 15[2] მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე გათვალისწინებულ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და ექსპერტთა შეფასება შეიცვალა შემდეგ ხარვეზებთან მიმართებით:

3.4.1.1 ინდიკატორი სკოლას არ აქვს:

✓ დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ ან გაცემული მიწერილობა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების აღმოფხვრის შესახებ;

✓ შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა (შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს მიერ);

"3.6.3.1 ინდიკატორი - სკოლას არ აქვს ვებგვერდი.

3.6.3.4 ინდიკატორი - სკოლას არ აქვს ვებგვერდი.

"3.6.3.5 ინდიკატორი - სკოლას არ აქვს ვებგვერდი. შესაბამისად არ არის განთავსებული ინფორმაცია ინდიკატორის მოთხოვნის შესაბამისად.

აღნიშნულ ხარვეზებთან მიმართებით შეიცვალა შეფასება და შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.

ასევე წარმოდგენილ იქნა მტკიცებულებები, რომელიც გათვალისწინებულ იქნა ექსპერტთა მიერ ავტორიზაციის დებულების 15 მუხლის მე- 10 პუნქტის საფუძველზე და ექსპერტთა შეფასება შეიცვალა შემდეგ ხარვეზთან მიმართებით:

ინდიკატორი N3.1.2.3 პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
ინდიკატორი N3.1.2.4 პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
ექსპერტთა მიერ შესწავლილ იქნა არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წამოდგენილი ხარვეზის აღმოფხვრის მტკიცებულებები. ექსპერტთა მიერ მხედველობაში იქნა აღნიშნული დოკუმენტი გაანალიზდა სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნასთან მიმართებით და აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც სრულად შესაბამისი.

N3.4.1.1 სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას- ინდიკატორთან მიმართებით გათვალისწინებული იქნა ხარვეზის აღმოფხვრის დამადასტურებელი მტკიცებულებები და საბოლოო დასკვნიდან ამოღებული იქნა შემდეგი ხარვეზები:

- *უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;*
- *არ ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სამედიცინო პერსონალი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი №41/ნ/01-23/ნ ბრძანების მოთხოვნის შესაბამისად.*

საბოლოო ჯამში, აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა მეტწილად ზემოთმოცემულის საფუძველზე.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ქალაქ ოზურგეთის #1 საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს მისია და ხედვა. დაწესებულება მისიაში აცხადებს, რომ მულტიკულტურული გარემოში მოზარდს ჩამოუყალიბებს ტოლერანტულ ღირებულებებს, გამოუმუშავებს თანამედროვე მრავალფეროვან გარემოში გლობალური განვითარების უნარს, რისი საშუალებითაც იგი შეძლებს სკოლაში მიღებული ცოდნის ცხოვრებაში გამოყენებას, მატერიალური, ინტელექტუალური და დემოკრატიული ღირებულებების შესაქმნელად. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ხედვაა - შვიდი წლის შემდეგ, სკოლის კურსდამთავრებულთა 80% იყოს რეალიზებული, იყოს მოთხოვნადი კადრი შრომის ბაზარზე და თავისი საქმიანობით ქმნიდეს ინტელექტუალურ კაპიტალს თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოებაში. აღნიშნული მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. როგორც დაწესებულება აცხადებს თვითშეფასების დოკუმენტით, სკოლის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს მულტიკულტურულ გარემოში თემთან ურთიერთობა და მშობელთა ჩართულობის გაზრდა. ამისათვის სკოლაში პერიოდულად ხორციელდება სასკოლო პროექტები, რომლის ფარგლებშიც ტარდება აქტივობები მშობელთა ჩართულობით. ერთ ერთი ასეთი აქტივობა იყო ,,ჩემი საქართველო აქ არის ", რომლის ფარგლებშიც I-IVკლასების მოსწავლეებმა, მასწავლებლებთან და მშობლებთან ერთად წარმოადგინეს საქართველოს კუთხეები. წარმოდგენილი იყო თითოეული კუთხის კულტურა, ისტორია, ტრადიცია, კულინარია. აქტივობა დაიგეგმა გუნდურად და ღია იყო სასკოლო თემის ნებისმიერი წარმომადგენლისათვის. სკოლაში სწავლობენ და სტუმრობენ განსხვავებული ეთნიკური წარმომავლობისა და რელიგიის წარმომადგენლები. ასევე სხვადასხვა სფეროში მოღვაწე წარმატებული ადამიანები. აღნიშნული ხელს უწყობს სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების უზრუნველყოფას და, ამასთანავე, თემში ქმნის სოციო-კულტურულ სივრცეს, რომელიც ორიენტირებულია სასკოლო საზოგადოების უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე. სკოლის ხედვაში მოცემულია, რომ სკოლა უნდა იყოს მყარი და მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებული ცოდნის კერა. თანამედროვე მოთხოვნათა და

გამოწვევათა შესაბამისად, ზრუნავდეს თავისუფალი და კომპეტენტური ადამიანის ჩამოყალიბებაზე. ექსპერტთა ვიზიტისას დაწესებულების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ სკოლა ცდილობს ხელი შეუწყოს სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის მქონე მოსწავლეების, მათ შორის ბოშა მოსწავლეებისთვის, უსაფრთხო კეთილგანწყობილი სივრცის შექმნას და განათლების ხელმისაწვდომობას. სწორედ სასკოლო საზოგადოების საჭიროებებიდან გამომდინარე ჩამოყალიბდა სკოლის მისია და ხედვა.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. ექსპერტთა ვიზიტისას გამოთხოვილი იქნა სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, პირველ ეტაპზე განხორციელდა მოკვლევა- სასკოლოს საზოგადოების გამოკითხვა, რომელიც ჩატარდა კითხვარების საშუალებით. გამოკითხვაში მონაწილეობდა ყველა საფეხურის მოსწავლე, მშობელი და მასწავლებელი, სულ 40 მონაწილე. მოსწავლეების, სკოლის თანამშრომლების, მშობლების გამოკითხვის საფუძველზე, სკოლის წინაშე არსებული გამოწვევებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, ქვეყანაში არსებული ტენდენციების გაანალიზებითა და ზოგადი განათლების განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის გათვალისწინებით, სასკოლო საზოგადოებამ შეიმუშავა სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები. ვიზიტისას წარმოდგენილ იქნა მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომლის მეცხრე თავის თანახმად სკოლა მისიას, ხედვას და ღირებულებებს შეიმუშავებს სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავება ხორციელდება შემდეგი ეტაპების დაცვით:

ა) სამუშაო ჯგუფის მიერ მისიის, ხედვისა და ღირებულებების პროექტის შემუშავება;

ბ) პროექტების გაზიარება სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის და თემისთვის ;

გ) მიღებული უკუკავშირის განხილვა/გათვალისწინება;

დ) მისიის, ხედვისა და ღირებულებების საბოლოო სახით ფორმირება;

ე) შემუშავებული განაცხადების წარდგენა დირექტორისთვის და მასთან შეთანხმების საფუძველზე გამოქვეყნება ვებგვერდზე.

როგორც სკოლის დირექტორმა აღნიშნა, სწორედ ამგვარად მოხდა მისიისა და ხედვის შემუშავება. მტკიცებულებად წარმოდგენილი იქნა კითხვარები მშობლების, პედაგოგების და მოსწავლეთა ფოკუსჯგუფებისთვის, ასევე კვლევის ანგარიში.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. დაწესებულებამ წარმოადგინა პედაგოგიური და სამეურვეო საბჭოს ოქმები სასკოლო სასწავლო გეგმის შეთანხმებასა და დამტკიცებასთან დაკავშირებით. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები არის სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილი. შესაბამისად, სამეურვეო საბჭოს წევრები-მშობლები და პედაგოგები, ასევე პედაგოგიური საბჭოს წევრები იცნობენ სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს. მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგიის მეცხრე თავით რეგულირდება სასკოლო საზოგადოებისთვის მისიის და ხედვის გაზიარების მექანიზმები.

შესაბამისად, დაწესებულება უზრუნველყოფს მისიის, ხედვის და ღირებულებების გაზიარებას სასკოლო საზოგადოებისადმი. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. დაწესებულებას სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების დოკუმენტი განთავსებული აქვს საინფორმაციო დაფაზე. აღნიშნულთან დაკავშირებით სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ სკოლამ აღნიშნული გააზიარა სკოლის ფეისბუქგვერდით, ხოლო ვებგვერდის შექმნის შემდეგ უზრუნველყოფილი იქნება დოკუმენტის გასაჯაროება ვებგვერდზე. გარდა ამისა, სკოლამ და კლასის დამრიგებლებმა აღნიშნული დოკუმენტი გააზიარეს კლასის ჯგუფებში, შესაბამისად ხელმისაწვდომი გახდა მშობლებისა და მოსწავლეებისთვისაც როგორც ონლაინ, ასევე მოხდა დოკუმენტის გასაჯაროება მშობლეთა კრებაზეც. სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის დოკუმენტით გასაჯაროება იგეგმება სკოლის ვებგვერდსა და შენობაში თვალსაჩინო ადგილას, ასევე სხვადასხვა მიზნობრივ ჯგუფებში და შეხვედრებზე. შესაბამისად, **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლის სახელწოდება, სსიპ ქალაქ ოზურგეთის N1 საჯარო სკოლა ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის #448 და 2017 წლის 16 მარტის N194 „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ ბრძანებების შესაბამისად, სრულად შეესაბამება სკოლის სტატუსს. დაწესებულება არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, შესაბამისად აღნიშნული ჩანს მის დასახელებაშიც. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების დოკუმენტი;
- ✓ სამეურვეო საბჭოს ოქმი;
- ✓ პედაგოგიური საბჭოს ოქმი;
- ✓ სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია;
- ✓ კითხვარები;
- ✓ კვლევის ანგარიში;
- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის #448 ბრძანება.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ქალაქ ოზურგეთის #1 საჯარო სკოლაში ვიზიტისას წარმოდგენილი იქნა სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია. აღნიშნული დოკუმენტი არეგულირებს სტრატეგიული გეგმის შემუშავებასა და განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებს. დაგეგმვის პროცესი განსაზღვრულია თანამონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებით. მეთოდოლოგიით ასევე განსაზღვრულია სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის ჩართულობა დაგეგმვის პროცესში, რაც უზრუნველყოფს სხვადასხვა ჯგუფების ინტერესების და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას დაგეგმვის პროცესში. დოკუმენტით მეათე მუხლში გაწერილია დაგეგმვის პროცედურა, რომელშიც გამოყოფილია:

- სამუშაო ჯგუფის მიერ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის პროექტის შემუშავება;
- პროექტების გაზიარება სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის/თემისთვის;
- მიღებული უკუკავშირის განხილვა/გათვალისწინება;

- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების პროექტების საბოლოო სახით ფორმირება და სკოლის დირექტორისთვის წარდგენა;
- სკოლის დირექტორის მიერ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების პროექტების განხილვა და სამეურვეო საბჭოსთან წარდგენა დასამტკიცებლად;
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების დამტკიცება სამეურვეო საბჭოს მიერ და გაზიარება სასკოლო საზოგადოებისათვის და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის.

ექსპერტთა მიერ შესწავლილ იქნა აღნიშნული დოკუმენტი. „სსიპ ქალაქ ოზურგეთის #1 საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2023 წლის 03 აგვისტოს #2-168 ბრძანებით, რისი უფლებამოსილებაც დირექტორს მინიჭებული აქვს ზოგადი განათლების შესახებ კანონის 43-ე მუხლის მეორე პუნქტის საფუძველზე. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. დაწესებულებამ ადგილზე ვიზიტისას წარმოადგინა სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა. აღნიშნული გეგმა მოიცავს 2023-2030 წლებს, შესაბამისად არის 7 წლიანი, ციკლური-ექვემდებარება გადახედვა-რევიზირებას, ცვლილებების შეტანას მოქმედების პერიოდში ორჯერ. დოკუმენტი მოიცავს სტრატეგიულ მიზნებს, მიზნის შესაბამისად გამოყოფილია ამოცანები. ექსპერტთა მიერ გაანალიზდა აღნიშნული დოკუმენტი. სტრატეგიული მიზნები ფორმულირებულია იმგვარად როგორც უკვე მიღწეული შედეგი, მაგალითად „გაუმჯობესებულია სწავლა-სწავლების ხარისხი და უზრუნველყოფილია მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემო“. სასურველია ფორმულირებულ იქნას არა როგორც შედეგი, არამედ როგორც მიზანი „სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესება და მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს უზრუნველყოფა“. სტრატეგიული მიზნები შეესაბამება სკოლის მისიასა და ხედვას. გეგმაში გაწერილი ამოცანები ხელს უწყობს სტრატეგიული მიზნების მიღწევას. თუმცა ამოცანებსაც მიზნების მსგავსად არ აქვს სწორი ფორმულირება. სკოლის დირექტორის 2023 წლის 03 აგვისტოს #2-168 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ ქალაქ ოზურგეთის #1 საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია არეგულირებს სტრატეგიული გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებულ საკითხებს. აღნიშნული წესის მეცხრე მუხლის თანახმად, სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმას ამტკიცებს სამეურვეო საბჭო. დაწესებულებამ წარმოადგინა 2023 წლის 02 აგვისტოს #7 ოქმი, რომლითაც დასტურდება, რომ სამეურვეო საბჭომ შეითანხმა სკოლის სტრატეგიული განვითარების და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები. რაც შესაბამისობაში არ მოდის მარეგულირებელ დოკუმენტთან და წესის თანახმად დოკუმენტი უნდა დამტკიცებულიყო. როგორც სკოლის დირექტორმა აღნიშნა ინტერვიურებისას, დაწესებულება პარალელურად მუშაობდა ორივე დოკუმენტზე, სტრატეგიული განვითარების გეგმა შემუშავდა სწორედ აღნიშნული მეთოდოლოგიის თანახმად, თუმცა ტექნიკურად იმგვარად მოხდა, რომ ჯერ დამტკიცდა სტრატეგიული განვითარების გეგმა, ხოლო მეორე დღეს მეთოდოლოგია. დაწესებულება სრულად აღიქვამს და აანალიზებს მუშაობის პროცესებს და როგორც აღნიშნა დირექტორმა კვლავ გაგრძელდება სამუშაო ჯგუფის მუშაობა დოკუმენტის

სრულყოფისათვის, შესაბამისად ტექნიკური ხარვეზიც გასწორდება და სამეურვეო საბჭო დაამტკიცებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმებს, ნაცვლად შეთანხმებისა. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ექსპერტთა რჩევაა, გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი და სტრატეგიული განვითარების გეგმა დამტკიცდეს სამეურვეო საბჭოს მიერ მეთოდოლოგიის შესაბამისად. ასევე სტრატეგიული მიზნები და ამოცანები ფორმულირდეს ზმნის ინფინიტიური ფორმით.

3. სკოლის დირექტორის 2023 წლის 03 აგვისტოს #2-168 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ ქალაქ ოზურგეთის #1 საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია“ არეგულირებს სამოქმედო გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებულ საკითხებს. აღნიშნული წესის მეცხრე მუხლის თანახმად, სკოლის სამოქმედო გეგმას ამტკიცებს სამეურვეო საბჭო. დაწესებულებამ წარმოადგინა 2023 წლის 02 აგვისტოს #7 ოქმი, რომლითაც დასტურდება, რომ სამეურვეო საბჭომ შეითანხმა სკოლის სტრატეგიული განვითარების და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები. რაც შესაბამისობაში არ მოდის მარეგულირებელ დოკუმენტთან და წესის თანახმად დოკუმენტი უნდა დამტკიცებულიყო. ექსპერტთა მიერ შესწავლილ იქნა სამოქმედო გეგმის დოკუმენტი. იგი მოიცავს სტრატეგიული გეგმიდან გადმოტანილ სტრატეგიულ მიზნებს, გაწერილია მიზნის შესრულების შესაბამისი აქტივობები, მითითებულია კონკრეტული აქტივობისთვის შესრულების ვადა, პასუხისმგებელი პირები. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი და მოიცავ 2023-2024 სასწავლო წლისთვის შესასრულებელ აქტივობებს. სამოქმედო გეგმაში გაწერილია ისეთი აქტივობებიც, რაც სკოლას სჭირდება ავტორიზაციის სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის მიზნით, მაგალითად მარეგულირებელი დოკუმენტების დახვეწა. შესაბამისად, სკოლის 2023-2024 წლის სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს სკოლის თვითშეფასების დოკუმენტიდანაც. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ექსპერტთა რჩევაა, გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი და სამოქმედო გეგმა დამტკიცდეს სამეურვეო საბჭოს მიერ მეთოდოლოგიის შესაბამისად.

4. სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის თანახმად სამოქმედო გეგმა წარმოადგენს დოკუმენტს, რომელიც აღწერს სკოლის სტრატეგიული მიმართულებების შესაბამისად, საშუალოვადიან პერიოდში დაგეგმილ აქტივობებს. იგი მოიცავს ამოცანებს, აქტივობებს, მათი განხორციელების ვადებს, შესრულების მაჩვენებლებს, ამოცანის მიღწევის დამადასტურებელი წყაროების აღწერას, მათ განხორციელებაზე პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულებს,საჭირო რესურსებს, ჩართულ მხარეებს და რისკებს. დაწესებულებამ წარმოადგინა 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც შემუშავებულია მეთოდოლოგიის თანახმად. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დამტკიცებულია დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია;
- ✓ 2023-2030წწ. სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- ✓ 2023-2024 წლის სამოქმედო გეგმა.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის დირექტორის 2023 წლის 03 აგვისტოს #2-168 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ ქალაქ ოზურგეთის #1 საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის“ თანახმად, დირექტორის მიერ შექმნილი სამუშაო ჯგუფი ახორციელებს სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას წელიწადში მინიმუმ ერთხელ. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა განხორციელდეს არაგეგმიური მონიტორინგიც. სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება წელიწადში ერთხელ - სამოქმედო გეგმის წლიური შესრულების ანგარიშის საფუძველზე.

სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ნიშნავს მონაცემების შეგროვებას სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანებისა და აქტივობების შესრულების სტატუსთან დაკავშირებით, ასევე მოიცავს შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენას. შეფასება ნიშნავს შეგროვებული მონაცემების გაანალიზებას და შემდგომი რეაგირების საჭიროების განსაზღვრას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიით გაწერილია სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება. სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის და შეფასების შედეგები გაზიარდება დაინტერესებულ პირებთან მათგან უკუკავშირის მიღების მიზნით. სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის და შეფასების საბოლოო შედეგები წარედინება სკოლის დირექტორს შემდგომი რეაგირების მიზნით და გამოიყენება შემდგომი დაგეგმვის ან ცვლილების განხორციელების ეტაპზე. სკოლას აქვს წინარე გამოცდილება და როგორც დირექტორმა აღნიშნა გასაუბრებისას, რეგულარულად ხდებოდა და ხდება სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების მონიტორინგი. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის დირექტორის 2023 წლის 03 აგვისტოს #2-168 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ ქალაქ ოზურგეთის #1 საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის“ მიხედვით დირექტორთან შეთანხმებული ანგარიში განთავსდება სკოლის ვებ-გვერდზე (არსებობის შემთხვევაში) და/ან მიეწოდოს ყველა დაინტერესებულ მხარეს ნებისმიერი საკომუნიკაციო საშუალებით. დირექტორმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ დაწესებულება ფონქციონირებს ღიაობის და გამჭირვალობის პრინციპით და ყოველთვის ასაჯაროებს შედეგებს, მათ შორის სამოქმედო გეგმის შუალედური და საბოლოო ანგარიშის გაცნობა ხდება სამეურვეო და პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიით განსაზღვრულია მონოტორინგის და შეფასების მშედგომ ცვლილებების განხორციელება. ცვლილებს ინიცირებას აკეთებს სკოლის დირექტორი. ინიცირებამდე სამუშაო ჯგუფი ანალიზის საფუძველზე აყალიბებს მიგნებებსა და რეკომენდაციებს, რასაც მოჰყვება ინიცირება. წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები ფორმდება ანგარიშის სახით. ანგარიშის საფუძველზე გადაიხედება სტრატეგიული გეგმა და განისაზღვრება მასში ცვლილებების შეტანის საჭიროება. მიმდინარე წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში საფუძვლად ედება შემდგომი წლის სამოქმედო გეგმის შემუშავებას. **ექსპერტთა შეფასებით, სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ქალაქ ოზურგეთის #1 საჯარო სკოლამ ვიზიტისას წარმოადგინა სკოლის სტრუქტურა და სტრუქტურული პირების ფუნქცია-მოვალეობები. წარმოდგენილი სტრუქტურა შეესაბამება საშტატო ერთეულით განსაზღვრულ თანამდებობებს და სტრუქტურულ ერთეულებს. სტრუქტურაში ჩანს დაწესებულების იერარქია. სამეურვეო საბჭო ზედამხედველობას უწევს სკოლის დირექტორის საქმიანობას, დირექტორს ექვემდებარება მოადგილე, ბიბლიოთეკარი, საინფორმაციო მენეჯერი, სკოლის ექიმი, საქმისმწარმოებელი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, ბუღალტერი. დირექტორის მოადგილეს ექვემდებარება საგნობრივი კათედრები; მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი მეთვალყურეობას უწევს დარაჯის, დამლაგებლის და ცეცხლფარეშის შესრულებულ სამუშაოს. დაწესებულებამ ვიზიტისას წარმოადგინა სკოლის დირექტორის 2023 წლის 04 აგვისტოს #2-178 ბრძანება „სსიპ ქალაქ ოზურგეთის #1 საჯარო სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ. აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილია თითოეული სტრუქტურული ერთეულისა და საშტატო ერთეულისთვის შესასრულებელი სამუშაოს ჩამონათვალი. ექსპერტთა მიერ შესწავლილ და გაანალიზებულ იქნა აღნიშნული დოკუმენტი. თითოეული თანამდებობისთვის ჩამოყალიბებულია ზუსტი სამუშაო აღწერილობა, აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს ინფორმაციას იერარქიის შესახებაც-ვის ექვემდებარება კონკრეტულ პოზიციაზე

დასაქმებული პირი. ასევე განსაზღვრულია საკვალიფიკაციო მოთხოვნები. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. დაწესებულების საშტატო განრიგით გათვალისწინებული თანამშრომლის არსებობა ხელს უწყობ საგანმანათლებლო დაწესებულების ფუნქციონირებას. მრჩეველთა საბჭო, მანდატურები და დისციპლინარული კომიტეტი ტექნიკურ პერსონალთან ერთად ზრუნავს სკოლაში უსაფრთხო და მოწესრიგებული გარემოს შექმნაზე. ადმინისტრაცია, პედაგოგიური საბჭო და კათედრები ზრუნავს სასწავლო პროცესის დაგეგვაზე, განხორციელებაზე, მონიტორინგსა და შეფასებაზე. დირექცია ფასილიტაციას უწევს ამ პროცესებს, ჩართულია თითეული რგოლის მუშაობაში, აფასებს განხორციელებულ პროცესებს და საჭიროებისამებრ გასცემს რეკომენდაციებს. სამეურვეო საბჭო საჭიროებისამებრ წარუდგენს სკოლის დირექტორს რეკომენდაციებს, ითანხმებს სასკოლო სასწავლო გეგმას, ამტკიცებს სკოლის შინაგანაწესსა და ბიუჯეტს, იბარებს სკოლის დირექტორისგან წლის ბოლოს ფინანსურ და სასწავლო პროცესის შესახებ ანგარიშს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ ხელშეკრულებები;
- ✓ ფუნქცია-მოვალეობები;
- ✓ სტრუქტურა;
- ✓ სამეურვეო საბჭოს ოქმი;
- ✓ პედაგოგიური საბჭოს ოქმი;
- ✓ სამოქმედო გეგმა;
- ✓ მრჩეველთა საბჭოს ოქმი.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ქალაქ ოზურგეთის #1 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 03 აგვისტოს # 2-170 ბრძანებით დამტკიცებულია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია პერსონალის მართვის პროცედურები. პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში ასახულია ადამიანური რესურსების მართვის ძირითადი სტრატეგია და მიზნები, პერსონალის შემუშავებული სამუშაოს შეფასება, პერსონალის პროფესიული განვითარება ; პერსონალის წახალისება მათ შორის პერსონალის დაკავშირებული ინიციატივების წახალისება. დაწესებულებას ასევე შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, რომელიც დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს 2022 წლის 06 სექტემბრის #2 ოქმით. შინაგანაწესი არეგულირებს პერსონალის დისციპლინურული პასუხისმგებლობის საკითხებს; თანამშრომლებს შორის კომუნიკაციას; პერსონალის განთავისუფლება და სხვა. დაწესებულების შინაგანაწესი თანხვედრაშია საქართველოს შრომის კოდექსთან და პერსონალთან გაფორმებულ ინდივიდუალურ ხელშეკრულებასთან. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. სსიპ ქალაქ ოზურგეთის #1 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 03 აგვისტოს # 2-170 ბრძანებით დამტკიცებულია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, აღნიშნული დოკუმენტი გამოიყენება მართვის პროცესში და მოიცავს როგორც პრევენციულ ისე ინტერვენციულ ღონისძიებებს. სკოლის დირექტორმა ინტერვიურებისას განაცხადა, რომ იგი რეგულარულად აფასებს სკოლაში არსებულ ვითარებას, აფასებს პერსონალის მუშაობის პროცესს და საჭიროების შემთხვევაში საქმიანობის უკეთ წარმართვის მიზნით ახდენს პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებას, ასევე სკოლას აქვს შემცვლელი მასწავლებლის ყოლის პრაქტიკა. რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის სრულფასოვნად წარმართვას რომელიმე თანამშრომლის ბიულეტენის ან შვებულების პერიოდში. დაწესებულების ხელმძღვანელობა აანალიზებს არსებულ სიტუაციას და ატარებს საჭიროებისამებრ როგორც პრევენციულ ისე ინტერვენციულ ღონისძიებებს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. სსიპ ქალაქ ოზურგეთის #1 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 03 აგვისტოს 2-176 ბრძანებით დამტკიცებულია სპეციალური მასწავლებლის შესარჩევი კონკურსის ჩატარების წესი. აღნიშნული წესით განსაზღვრულია კონკურსის სახეები, საკონკურსო კომისიის შემადგენლობის განსაზღვრისა და შერჩევის პროცედურების ჩატარების წესი, პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები. ექსპერტთა მიერ შესწავლილ იქნა წარმოდგენილი დოკუმენტი. აღნიშნული მარეგულირებელი შემუშავებულია სპეციალური მასწავლებლის შტატზე ვაკანტური ადგილის დასაკავებლად, მხოლოდ ერთი კონკრეტული

პოზიციისთვის. დაწესებულებას არ აქვს ერთიანი წესი, რომლითაც იხელმძღვანელებდა ზოგადად კონკურსის ჩატარებისას. სსიპ ქალაქ ოზურგეთის #1 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 03 აგვისტოს # 2-170 ბრძანებით დამტკიცებულია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, აღნიშნული დოკუმენტის პირველად ვერსიაში არაფერი იყო მოცემული თანამშრომელთა შერჩევის პროცედურებთან დაკავშირებით. **ექსპერტთა შეფასებით, დასკვნის პროექტში აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“.**

დაწესებულებამ 2023 წლის 14 სექტემბრის #1029255 და 18 სექტემბრის #1168986 კორესპოდენციებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №99/ნ 2010 წლის 1 ოქტომბრის „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 25[1] მუხლის 6 პუნქტის თანახმად წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის მტკიცებულებები. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა შესრულების მტკიცებულება- სკოლის დირექტორის 2023 წლის 13 სექტემბრის #2-212 ბრძანება, რომლითაც დამტკიცდა პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები. წარმოდგენილ ბრძანებას არ ახლავს დანართი. დამატებით დაწესებულებამ წარმოადგინა განახლებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც მოიცავს ინფორმაციას კონკურსის ჩატარების წესთან და პროცედურებთან დაკავშირებით. შემუშავებული წესი თანხვედრაშია „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს №174/ნ ბრძანებასთან, ცვლილება №61/ნ 23.05.2022წ. დირექტორის 2023 წლის 03 აგვისტოს # 2-170 ბრძანებით დამტკიცებულია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი. განახლებულ დოკუმენტს არ ახლავს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტი, რითაც განხორციელდა ცვლილება ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში.

ექსპერტთა მიერ ავტორიზაციის დებულების 15 მუხლის მე-10 პუნქტის საფუძველზე აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი.

ექსპერტთა რჩევაა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში ცვლილება განხორციელდეს, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებისა და გამოცემისათვის დადგენილი წესით.

4. ვიზიტისას გადამოწმდა პედაგოგთა და სხვა დასაქმებულ პირთა პირადი საქმეები. ასევე პირადი საქმეების გადამოწმდა და შედარებული იქნა სკოლის დირექტორის 2023 წლის 04 აგვისტოს #2-178 ბრძანებით დამტკიცებულ სსიპ ქალაქ ოზურგეთის #1 საჯარო სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციებთან, რომელიც მოიცავს როგორც სამუშაო აღწერილობას, ასევე

საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. სკოლის ექიმის კვალიფიკაცია თანხვედრაში არ მოდის აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივ №41/ნ/01-23/ნ ბრძანებასთან. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად,სკოლის ექიმად მუშაობისთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს, საქართველოს ან უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული, საქართველოს კანონმდებლობით აღიარებული სამედიცინო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი და დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატი რომელიმე შემდეგ სპეციალობაში: ა) „პედიატრია"; ბ) „საოჯახო მედიცინა"; გ) „ზოგადი პროფილის ექიმი პედიატრი" სკოლის მოქმედ ექიმის სერტიფიკატი ვიზიტისას არ იყო განახლებული და ვადიანი. შესაბამისად, **ექსპერტთა შეფასებით, დასკვნის პროექტში აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც „არ შეესაბამება".**

დაწესებულებამ 2023 წლის 14 სექტემბრის #1029255 და 18 სექტემბრის #1168986 კორესპოდენციებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N○99/ნ 2010 წლის 1 ოქტომბრის „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" 25[1] მუხლის 6 პუნქტის თანახმად წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის მტკიცებულებები. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა შესაბამისობის მტკიცებულება-სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს 2023 წლის 07 სექტემბრის #941790 წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ სკოლის ექიმის სერტიფიკატის ვადა გახდა უვადო „საექიმო საქმიანობის შესახებ" კანონის მე-100[3] მუხლის საფუძველზე. **ექსპერტთა მიერ ავტორიზაციის დებულების 15 მუხლის მე-10 პუნქტის საფუძველზე აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი.**

ექსპერტთა რჩევაა, „საექიმო საქმიანობის შესახებ" კანონის მე-100[3] მუხლის მესამე პუნქტის თანახმად სკოლის ექიმმა მიმართვის საფუძველზე განაახლოს სახელმწიფო სერტიფიკატი.

5. სკოლაში ფუნქციონირებს საგნობრივი კათედრები, პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო. გადაწყვეტილებების მიღება სკოლაში ხდება გუნდთან ერთად. საჭიროების შემთხვევაში იქმნება კომისია სხვადასხვა საკითხზე გადაწყვეტილების მიღების მიზნით. ვიზიტის დროსაც, დადასტურდა, რომ მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებით ფუნქციონირებს დაწესებულება. ასევე შექმნილია პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, დაწესებულება ახდენს მოვალეობების დელეგირებას და პასუხისმგებლობების გადანაწილებას. ინტერვიურებისას დირექტორმა აღნიშნა, რომ სკოლაში დანერგილია თანამშრომლობითი გარემო და ყველა პირი კომპეტენციის ფარგლებში ჩართულია გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებეულებების დოკუმენტითაც გაცხადებულია, რომ სკოლის ერთ-ერთი მთავარი ღირებულება თანამშრომლობაა. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6. სსიპ ქალაქ ოზურგეთის #1 საჯარო სკოლის შინაგანაწესის მე-19 მუხლი ეხება დასაქმებულის წახალისების ფორმებს, სკოლა სხვადასხვა ფორმას იყენებს თანამშრომელთა წახალისების მიზნით. გარდა ამისა, სკოლა რეგულარულად აქვეყნებს ინფორმაციას სკოლის თანამშრომლეთა მიღწევების და განხორციელებული აქტივობების შესახებ. რასაც ერთგვარად წახალისების ეფექტი აქვს. პედაგოგთა საქმიანობა ითვალისწინებს კოლეგებისთვის გამოცდილების გაზიარებას. გარდა ამისა, სკოლას ჰყავს წამყვანი პედაგოგები, რომლებმაც სტატუსი აიმაღლეს სხვდასხვა აქტივობების განხორციელების და პორტფოლიოს წარმოების გზით. სკოლის წარმოამდგენლებმა აღნიშნეს, რომ მაქსიმალურად ცდილობენ ხელი შეუწყონ პედაგოგებს კარიერულ ზრდასა და განვითარებაში, წარმატებული პრაქტიკის გაზიარების მიზნით კი ხდება სამუშაო შეხვედრების ჩატარება, კოლეგის გაკვეთილზე დასწრება და კათედრებზე გამოცდილების გაზიარება. საუკეთესო პრაქტიკის შემთხვევები კი ვრცელდება სკოლის სოციალური ქსელის საშუალებით. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ სკოლის შინაგანაწესი;
- ✓ კონკურსის ჩატარების წესი;
- ✓ საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- ✓ პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- ✓ პირადი საქმეები;
- ✓ სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს წერილი;
- ✓ არგუმენტირებული პოზიცია;
- ✓ დანართი 2.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც ითვალისწინებს თანამშრომელთა შეფასებას და პროფესიული ღონისძიებების დაგეგმვას პროფესიული განვითარების მხარდაჭერის მიზნით . სსიპ ქალაქ ოზურგეთის #1 საჯარო სკოლის დირექტორის 2021 წლის 19 მარტის #2-21 ბრძანებით განისაზღვრა სსიპ ოზურგეთის N1 საჯარო სკოლაში ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. აღნიშნული ჯგუფის 2021 წლის 16 თებერვლის #1 ოქმით დამტკიცებულია „პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება“, რომელიც აწესრიგებს მასწავლებლის შეფასების მიზნით დირექტორის ბრძანებით შექმნილი ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის და პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა საქმიანობას. ხარისხის ჯგუფის წევრები ახორციელებენ მასწავლებელთა შიდა შეფასებას, კერძოდ, მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ფუნქციით შესაბამისობის დადგენას მის მიერ განხორციელებულ საქმიანობასთან, ახორციელებს მასწავლებლის საქმიანობაზე დაკვირვებას, შეფასებას და აძლევს განმავითარებელ შეფასებას ჩატარებული გაკვეთილის ირგვლივ. შესაბამისად, შეფასების საფუძველზე ხდება თანამშრომელთა პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირება. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. დაწესებულებას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლის მეცხრე მუხლი არეგულირებს თანამშრომელთა პროფესიული განვითარების მექანიზმებს. სკოლა ხელს უწყობს თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებას სკოლის ბაზაზე, ასევე აფინანსებს და გამოყოფს თანხას, სთავაზობს ანაზღაურებად შვებულებას პროფესიული განვითარების ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად. იქედან გამომდინარე, რომ დადგენილი წესის შესაბამისად ჯერ არ

განხორციელებულია პერსონალის შეფასება. დაწესებულებას ჯერ არ აქვს გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმა. **ექსპერტთა შეფასებით, პირველადი ავტორიზაციის დროს ეს ინდიკატორი ვერ შეფასდება.**

ექსპერტთა რჩევაა, პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტით განისაზღვროს შეფასების შედეგად გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე პერსონალის განვითარების გეგმის შედგენა.

3.მასწავლებლის საქმიანობა ითვალისწინებს პროფესიულ ზრდას. სკოლაში დასაქმებული პედაგოგები ჩართულნი არიან კარიერული დაგეგმვის და წისვლის სქემაში, პედაგოგთა პირადი საქმეებით დასტურდება, რომ მასწავლებლებმა იცვალეს სტატუსი და სკოლა ხელს უწყობდა ამ პროცესს. პედაგოგთა კარიერული განვითარება რეგულირდება „მასწავლებლის: პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 23 მაისის №241 დადგენილებით. ასევე ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრულია კარიერული ზრდა, როგორც წახალისების ფორმა. თუმცა სკოლას არ შემუშავებული რაიმე ტიპის მექანიზმი, რითაც მოხდებოდა სასკოლო დონეზე ამ პროცესის დარეგულირება. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ექსპერტთა რჩევაა, გაიწეროს პერსონალის კარიერულ ზრდის შიდა მექანიზმები და პროცედურები.

5. სკოლას არ აქვს შექმნილი მექანიზმი . პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტში არ არის გათვალისწინებული ახალი თანაშრომლის ინტეგრაციასთან დაკავშირებული საკითხები. თუმცა სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სკოლაში მოქმედებდა მაძიებლის პროგრამა. მაძიებელს ხელმძღვანელობდა და კონსულტირებას უწევდა ტუტორი. შედეგად მაძიებელმა მასწავლებელმა მიიღო უფროსი მასწავლებლის სტატუსი. კათედრის წევრები მუდმივად ეხმარებიან ახალ წევრს სამუშაო პროცესში და ერთობლივად გეგმავენ სასწავლო პროცესს. თუმცა დაწესებულება ხელს უწყობს სხვა პერსონალის ინტეგრაციის პროცესსაც, რაც დასტურდება ასევე თანამშრომლებთან გასაუბრებით. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ექსპერტთა რჩევაა, დაწესებულებამ შეიმუშაოს თანამშრომელთა ინტეგრაციის წესი.

6. სსიპ ქალაქ ოზურგეთის #1 საჯარო სკოლაში მასწავლებლები წახალისებული არიან განვითარებისათვის. დირექცია ხელს უწყობს და მხარს უჭერს პედაგოგებს გაიარონ კვალიფიკაციის ასამაღლებლად ტრენინგები, დროულად აწვდის ინფორმაციას თანამშრომლებს დაგეგმილი კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგების შესახებ. დაწესებულებამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა სერთიფიკატები, რითაც დასტურდება თანაშრომელთა მიერ კვალიფიკაციის ამაღლება. სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილი ხარისხის ჯგუფის დებულების მეშვიდე მუხლის თანახმად ხარისხის ჯგუფის ერთ-ერთი მოვალეობა პროფესიული განვითარების მიზნით რეკომენდაციების გაცემაა- რა ტიპის ტრენინგი და გადამზადება გაიაროს პედაგოგმა. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ ხარისხის განვითარების და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
- ✓ ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის შესახებ ბრძანება;
- ✓ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ქალაქ ოზურგეთის #1 საჯარო სკოლა საგანამანათლებლო საქმიანობას წარმართავს თანამშრომლობითი პრინციპების დაცვით. სკოლის თითოეული რგოლი ურთიერთდაკავშირებულად ფუნქციონირებს სკოლის საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით. სკოლაში ფუნქციონირებს საგნობრივი კათედრები, რომელთა საქმიანობა საერთო ჯამში ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის წარმართვას. სკოლა, როგორც ორგანიზაცია და ინსტიტუაცია, თავის საქმიანობას წარმართავს პროცესული მიდგომით. დაწესებულებას აქვს დაგეგმვის და მონიტორინგის პრაქტიკა. სსიპ ქალაქ ოზურგეთის #1 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 03 აგვისტოს #2-174 ბრძანებით დამტკიცებულია „საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი და დამხმარე პროცესების მართვის მექანიზმები“. ასევე დაწესებულებას შემუშავებული აქვს შიდა საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლითაც განსაზღვრულია, რომ სწავლა-სწავლებისა და მართვის ხარისხზე დაკვირვება და პროცესების შეფასება ციკლური ხასიათისაა. აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრულია ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებები: მატერიალური რესურსების შეფასების პროცესებისა და წესების შემუშავება, დანერგვა და გაუმჯობესება; სკოლის საქმიანობის უწყვეტი შეფასება და მისი განვითარება, ასევე სტრატეგიული გეგმის შესრულებაზე მონიტორინგი; ბიუჯეტირების პროცესის მონიტორინგის შეფასება და მისი გაუმჯობესება, რაც გულისხმობს ბიუჯეტირების პოლიტიკის და პროცედურების შემუშავებას, დანერგვას. სასკოლო-სასწავლო გეგმის შეფასება, როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი მეთოდებით. მიღებული შედეგების ანალიზზე სასკოლო-სასწავლო გეგმის გაუმჯობესება მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლების მიზნით. მასწავლებლების, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საქმიანობის გამჭვირვალე შეფასების სისტემის შემუშავება და დანერგვა, აგრეთვე, შეფასების შედეგების გამოყენება პერსონალის შემდგომი განვითარებისა და პროფესიული ზრდისთვის. მოსწავლეთათვის მხარდამჭერი სერვისების და რესურსების სხვადასხვა სახით შემუშავება, დანერგვა, შეფასება და გაუმჯობესება. კონტინგენტის დაგეგმვის/მოზიდვის პროცედურების შემუშავება და დანერგვა. სკოლაში მასწავლებელთა პროფესიული საქმიანობის ხარისხის მართვის ჯგუფთან ერთად, მასწავლებელთა პროფესიული საქმიანობის შეფასება, ხელშეწყობის მექანიზმების შემუშავება და მათი პროფესიული ზრდისთვის დაფინანსების გამჭვირვალე და სამართლიანი პროცედურების შემუშავება და განხორციელება; სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მართვისას იყენებს სკოლის მართვის პროცესულ მიდგომას, ხელს უწყობს დაწესებულების ყველა რგოლის ერთი მიზნისკენ მიმართვას და მონიტორინგსაც უწევდა შესრულებულ სამუშაოებს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა საქმიანობას წარმართავს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. კერძოდ, „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონით რეგულირდება საჯარო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებული პროცესები და თითოეული ტიპის პროცესზე პასუხისმგებელი პირები. სკოლას შექმნილი აქვს დოკუმენტი-„საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი და დამხმარე პროცესების მართვის მექანიზმები “. აღნიშნულ დოკუმენტში თითოეულ რგოლთან მიმართებით, სკოლის

სტრუქტურიდან გამომდინარე გაწერილია რა ტიპის პროცესზე რომელი სტრუქტურა და/ან პირია პასუხისმგებელი. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. შეფასებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებით სარგებლობის უფლება აქვს თითოეულ მოსწავლეს. სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია ნიშნის ასამაღლებელი გამოცდა, რაც იმ შემთხვევაში უტარდება მოსწავლეს თუკი არ ეთანხმება არსებულ შეფასებას და მშობელი ან კანონიერი წარმომადგენელი მიმართავს სკოლის დირექციას განცხადებით. დისციპლინარულ გადაცდომასთან დაკავშირებულ საჩივრებს განიხილავს დისციპლინარული კომიტეტი. სსიპ ქალაქ ოზურგეთის#1 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 02 აგვისტოს #2-177 ბრძანებით დამტკიცებულია სკოლის ბაზაზე საჩივრის განხილვის მექანიზმი, რომლითაც განსაზღვრულია საჩივრის გახილვაში მონაწილე სუბიექტი/ ორგანო, საჩივრის განხილვის ვადები, საჩივრის განხილვის პრინციპები, გადაწყვეტილების სახეები და ა.შ. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლას შემუშავებული აქვს დოკუმენტი , რომელშიც გაწერილია მოსწავლის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, აღდგენის, შეწყვეტის, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესი. აღნიშნული საკითხი რეგულირდება მოქმედი კანონით ზოგადი განათლების შესახებ, სხვა კანონქვემდებარე აქტებით და სსიპ ქალაქ ოზურგეთის #1 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 02 აგვისტოს #956860 „სსიპ ქალაქ ოზურგეთის N 1 საჯარო სკოლის მოსწავლის, მათი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის და პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვისა და გასაჩივრების მარეგულირებელი დოკუმენტი დამტკიცების შესახებ“ ბრძანებით. ასევე სკოლას აქვს შემუშავებული შინაგანაწესი, არსებობს შრომითი ხელშეკრულება, რომლის დარღვევის შემთხვევაში დაწესებულების მხრიდან, შესაძლებელია სასამართლოში გასაჩივრება. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ექსპერტთა რჩევაა, სწორად იქნას მითითებული დაწესებულების სახელწოდება 2023 წლის 02 აგვისტოს #956860 „სსიპ ქალაქ ოზურგეთის N 1 საჯარო სკოლის მოსწავლის, მათი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის და პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვისა და გასაჩივრების მარეგულირებელი დოკუმენტი დამტკიცების შესახებ“ ბრძანების დანართში.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი და დამხმარე პროცესების მართვის მექანიზმები;
- ✓ შინაგანაწესი;
- ✓ ხელშეკრულებები;
- ✓ სკოლის ბაზაზე საჩივრის განხილვის მექანიზმი;
- ✓ მოსწავლის, მათი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის და პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვისა და გასაჩივრების მარეგულირებელი დოკუმენტი.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებაში ვიზიტისას წარმოდგენილი იქნა მშობელთა და მოსწავლეთა უკუკავშირის ფორმები, რომლითაც დასტურდება რომ დაწესებულება ითვალისწინებს სხვადახვა მხარის უკუკავშირს და შესაბამისად მონიტორინგის პროცესშიც აქვს მზაობა დაწესებულებას მიიღოს და გაითვალისწინოს სხვადასხვა რგოლის მიერ გაცემული რეკომენდაციები თუ შეხედულებები, რაც დასტურდება სკოლის დირექტორთან გასაუბრებითაც. სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიით განსაზღვრულია ინფორმაციის გავრცელების ფორმები სხვადასხვა ჯგუფებში, საზოგადოებისგან უკუკავშირის მიღების ფორმები, ასევე მიღებული უკუკავშირის ანალიზი და შემდგომში გათვალისწინება. უკუკავშირის მიღება გათვალისწინებულია ასევე კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაშიც. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლაში ფუქციონირებს მრჩეველთა საბჭო, სამეურვეო საბჭო, დისციპლინარული კომიტეტი, ხარისხის მართვის ჯგუფი, პედაგოგიური საბჭო. სკოლამ წარმოადგინა მტკიცებულებად ოქმები, რომლითაც დასტურდება, რომ სასკოლო ცხოვრებაში და კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულები არიან მშობლები. სამეურვეო საბჭოს რამდენიმე ოქმი მაგალითად ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ, ასევე სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული გასაჩივრების წესი. წარმოდგენილი ოქმებით დასტურდება მშობელთა აქტიური ჩართულობა სხვადასხვა პროცესში. სკოლაში ასევე ფუნქციონირებს დისციპლინარული კომიტეტი, რომლის წევრები არიან როგორც პედაგოგები და მოსწავლეები, ასევე მშობლები. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;

- ✓ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- ✓ სამეურვეო საბჭოს ოქმები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა მოსწავლეებისათვის, მასწავლებლებისთვის და თანამშრომლებისთვის ქმნის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს. სკოლას ჰყავს მანდატურები, დარაჯი, მოქმედებს რეფერირება, სკოლაში დირექტორის ბრძანებით არის განსაზღვრული სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. ასევე დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირები. სკოლას ჰყავს ექიმი, ექსპერტებმა ვიზიტისას მიიჩნიეს, რომ სახელმწიფოს მიერ გაცემულ ექიმის სერტიფიკატს ვადა ჰქონდა გასული და სკოლის ექიმის

კვალიფიკაცია თანხვედრაში არ მოდიოდა დამტკიცებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივ №41/ნ/01-23/ნ ბრძანებასთან. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სკოლის ექიმად მუშაობისთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს, საქართველოს ან უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული, საქართველოს კანონმდებლობით აღიარებული სამედიცინო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი და დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატი რომელიმე შემდეგ სპეციალობაში: ა) „პედიატრია"; ბ) „საოჯახო მედიცინა"; გ) „ზოგადი პროფილის ექიმი პედიატრი". დაწესებულებას აქვს აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი. დაწესებულებაში არ არის სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები. სკოლას არ ჰქონდა შესაბამის ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, დაწესებულებამ წარმოადგინა 2023 წლის 04 აგვისტოს #965591 კორესპოდენცია, რომლითაც საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს სთხოვს გეგმის შეთანხმებას. ასევე სკოლას არ ჰქონდა უფლებამოსილი ორგანოს დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ ან მიწერილობა. ასევე არ არსებობდა დასკვნა შენობის ტექნიკური მდგომარეობის და მისი ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ. დაწესებულებას არ ჰყავდა შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც ექნება აკრედიტირებული ორგანოს მიერ გაცემული სერტიფიკატი. **ექსპერტთა შეფასებით, დასკვნის პროექტში ინდიკატორი შეფასდა როგორც „არ შეესაბამება" და დაფიქსირდა შემდეგი ხარვეზები-სკოლას არ ჰქონდა:**

- **უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;**
- **დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ ან გაცემული მიწერილობა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების აღმოფხვრის შესახებ;**
- **შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა (შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს მიერ);**
- **არ ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სამედიცინო პერსონალი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი №41/ნ/01-23/ნ ბრძანების მოთხოვნის შესაბამისად.**

ექსპერტთა რჩევაა, დაწესებულებამ აიყვანოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც ექნება აკრედიტირებული ორგანოს მიერ გაცემული სერტიფიკატი და შრომის უსაფრთხოების ნორმების დარღვევის პრევენციის მიზნით უზრუნველყოფს შრომის უსაფრთხოების ღონისძიებების დანერგვასა და მართვას.

დაწესებულებამ 2023 წლის 14 სექტემბრის #1029255 და 18 სექტემბრის #1168986 კორესპოდენციებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება No99/ნ 2010 წლის 1 ოქტომბრის „საგანმანათლებლო დაწესებულებების

ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 25[1] მუხლის 6 პუნქტის თანახმად წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის მტკიცებულებები. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა შესაბამისობის მტკიცებულება-სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს 2023 წლის 07 სექტემბრის #941790 წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ სკოლის ექიმის სერტიფიკატის ვადა გახდა უვადო „საექიმო საქმიანობის შესახებ“ კანონის მე-100[3] მუხლის საფუძველზე. ასევე დანართი 4-ით წარმოდგენილ იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2023 წლის 07 სექტემბრის #2609582 წერილი, რომლითაც დასტურდება, რომ სკოლის მიერ წარდგენილი საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეესაბამება "საგანგებო მართვის გეგმის მომზადების წესების შემუშავების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 ოქტომბრის №452 დადგენილებით დამტკიცებული წესების მოთხოვნებს და შეთანხმებულ იქნა სამსახურის მიერ. დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა მოიცავს ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით დაგეგმილ აქტივობებს-დასკვნის მოპოვება შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ ან გაცემული მიწერილობა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების აღმოფხვრის შესახებ(12.09.2023-30.10.2023) ; შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა (შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს მიერ)(11.09.2023-30.12.2023) პასუხისმგებელ პირებს, შემსრულებლებისა და სხვა ჩართული მხარეების შესახებ ინფორმაციას, მტკიცებულებებს, რისკების ანალიზს. ექსპერტთა ჯგუფმა გაანალიზა შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში ხარვეზის აღმოფხვრის შესაძლებლობა და მიიჩნია, რომ აღნიშნულ ვადაში სავსებით შესაძლებელია დაგეგმილი აქტივობების განხორციელება. **ექსპერტთა მიერ ავტორიზაციის დებულების 15[2] მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.**

ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში უზრუნველყოს:

- *შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნის მოპოვება(12.09.2023-30.10.2023);*
- *შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება(11.09.2023-30.12.2023).*

2. სკოლაში მომუშავე მანდატურები უზრუნველყოფენ სკოლის ტერიტორიაზე და მის მიმდებარე სივრცეზე უსაფრთხოების დაცვას. სკოლის ყველა მასწავლებელი ასრულებს მასზე დაკისრებულ მორიგეობის ფუნქციას. სკოლაში სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას კონტროლდება სკოლაში შემოსული ყველა სუბიექტის მოსვლის მიზეზი. კლასის ხელმძღვანელები ვალდებულნი არიან წესრიგის დარღვევის შემთხვევაში გამოიძახონ მოსწავლის მშობელი. სკოლაში დამონტაჟებული უსაფრთხოების კამერები შიდა და გარე პერიმეტრზე და ხდება სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლი. სკოლას ჰყავს

მანდატურები, რომელიც ახორციელებენ უსაფრთხოების კონტროლს და ხელს უწყობენ სასკოლო საზოგადოებაში წესრიგის შენარჩუნებას. სკოლას აქვს შინაგანაწესი, რომელიც გამოკრულია თავალსაჩინო ადგილას, იცნობს სკოლაში დასაქმებული პერსონალი და მოსწავლეები. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს; სკოლის ადმინისტრაცია და საგნის მასწავლებლები ცდილობენ თანამშრომლობასა და ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული გარემოს შექმნას, სადაც თითოეული მოსწავლე დაცულად იგრძობს თავს და ფსიქო-ემოციური განვითარების საშუალება მიეცემა. ასევე პოზიტიურია მასწავლებელთა და ადმინისტრაციის თანამშრომელთა ურთიერთობები. სკოლას არ ჰყავს ფსიქოლოგი, თუმცა არიან სპეცმასწავლებლები. ზოგადად სკოლის პოზიტიური ემოციურად უსაფრთხო გარემო სასკოლო საზოგადოებას ჰარმონიული განვითარების საშუალებას აძლევს და უზრუნველყოფს მშვიდობიან თანამშრომლობას ყველა რგოლს შორის. ამასთანავე, სკოლა მუდმივად ცდილობს შემუშავებული ჰქონდეს პრევენციული ღონისძიებები დარღვევების თავიდან ასაცილებლად. უპირველეს ყოვლისა, დამრიგებლები აცნობენ მოსწავლეებს თავიანთ უფლებებსა და მოვალეობებს, მოსწავლეები თავად ქმნიან ქცევის წესებს, რომლებიც შეესაბამება საყოველთაოდ დადგენილ ნორმებსა და სკოლის შინაგანაწესს. სკოლის დირექციის მიერ კონტროლდება რამდენადაა დაცული მასწავლებლებსა და მოსწავლეებს, მშობლებს, სკოლის სხვადასხვა სტრუქტურულ რგოლს შორის თანასწორობასა და ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული კომუნიკაცია. დარღვევების აღმოჩენისას, სკოლა სათანადოდ რეაგირებს თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, ეს იქნება მანდატურის სამსახურისა თუ სამართალდამცველი რგოლების ინფორმირებულობა. ასევე, უპირველეს ყოვლისა, ცდილობს პრობლემის გამომწვევი მიზეზების დადგენას და ისეთი ინტერვენციების განხორციელებას, რომლებიც დაეხმარება დაზარალებულ მხარეს ფსიქო-ემოციური ბალანსის აღდგენაში და დაპირისპირებულ მხარეებს კონსესუსის მიღწევაში. საფეხურების მიხედვით აღნიშნულ თემებზე კლასის ხელმძღვანელების მიერ ტარდება „კლასის საათები“, რომლებზეც უსაფრთხო გარემოს, ყოველდღიური ქცევის წესების, თანატოლებთან ურთიერთობის თემებზე მსჯელობენ. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკამყოფილებულია.**

4. სკოლაში არის დაცული სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, მოწესრიგებული და გამართულია სველი წერტილები, ტარდება სადეზინფექციო სამუშაოები, ყოველდღიურად სველი წესით ლაგდება საკლასო ოთახები, დერეფნები, გამოიყენება სადეზინფექციო საშუალებები სველი წერტილების დასამუშავებლად, თხევად საპონსა და თანამედროვე ხელსაშრობს მოსწავლეებისა და პერსონალისათვის, სკოლას ემსახურება დამლაგებლები, სკოლაში არის სუფთა და უსაფრთხო გარემო. მოწესრიგებული და დასუფთავებულია სკოლის ეზო და მიდამო. სველი წერტილები უზრუნველყოფილია წყალით, საპონით და ქაღალდით. სკოლის ბიუჯეტით და წლიური შესრულებებიდან ჩანს, რომ ამ მიმართულებით სკოლა ხარჯავს ფინანსებს და აქვთ ჰიგიენური საშუალებების მარაგები. ვიზიტის დროს ვიზუალური დათვალიერებისას შენობა იყო მოწესრიგებული და დაცული იყო ჰიგიენის ნორმები. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. დაწესებულების წარმოამდგენლები აცნობიერებენ პერსონალური მონაცემების დაცვის აუცილებლობას. სკოლის სოციალურ ქსელში ფოტომასალა ქვეყნდება მშობელთა ნებართვების საფუძველზე. მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმაცია მოსწავლეს და მშობელს მიეწოდება პირადად, კონფედენციალობის დაცვით. სკოლა ინფორმაციას გაცემს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, პერსონალური მონაცემების დაფარვის შემდეგ. დაწესებულებაში ასევე მოქმედებს პერსონალური მონაცემების დაცვის წესი, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2023 წლის 3 აგვისტოს #2-172 ბრძანებით. **შესაბამისად, ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6. სსიპ ქალაქ ოზურგეთის #1 საჯარო სკოლაში დაცულია პერსონალის და მოსწავლეთა პირადი ინფორმაცია. ასევე სკოლაში არსებული სხვა ტიპის ინფორმაცია, რომელიც შეიძლება იყოს კონფედენციალური ან შეიცავდეს პერსონალურ მონაცემებს. დაწესებულებას შემუშავებული აქვს პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმები, რის მიხედვითაც რეგულირდება აღნიშნული საკითხის მართვა დაწესებულებაში. მექანიზმი მოიცავს ინფორმაციის დამუშავების ფორმებს, მასზე ხელმისაწვდომობას კონკრეტული პირებისთვის უფლებამოსილების ფარგლებში, დამუშავებული ინფორმაციის შენახვასთან დაკავშირებულ საკითხებს, მონაცემთა სუბიექტის უფლებებს. მარეგულირებელში საუბარია პერსონალური მონაცემების დაცვის ოფიცერზე. ამ ეტაპზე სკოლას არ ჰყავს საშტატო ერთეულით განსაზღვრული შესაბამისი პოზიცია და არც სკოლის სტრუქტურაში გვხვდება. აღნიშნული პასუხისმგებლობა სკოლამ სასურველია ბრძანებით დააკისროს რომელიმე პირს, რომელიც საშტატო ერთეულით არის განსაზღვრული. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ექსპერტთა რჩევაა, პერსონალური მონაცემების დაცვის წესი მოვიდეს შესაბამისობაში სკოლის სტრუქტურასა და საშტატო ერთეულით განსაზღვრულ თანამდებობებთან ინდიკატორის აღწერის შესაბამისად.

7. დაწესებულება ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების შეფასებას, პერიოდულად შეისწავლის და აფასებს აღნიშნული მექანიზმების მუშაობის გამართულობას. ამ მიზნით სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედის : დირექტორი ან დირექტორის მოადგილე, მანდატურის სამსახურის წარმომადგენელი, დისციპლინარული საბჭოს თავმჯდომარე, სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე, მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე, რესურსცენტრის წარმომადგენელი. წელიწადში ოთხჯერ ტარდება მრჩეველთა საბჭოს სხდომა, ამ სხდომაზე განიხილება სკოლის ტერიტორიაზე, სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებით არსებულ სიტუაციას და შეიმუშავებენ რეკომენდაციებს. ხოლო სასწავლო წლის ბოლოს დირექტორი წარადგენს ანგარიშს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებით მიღებული რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით. დაწესებულებამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა მრჩეველთა საბჭოს ოქმი, რომლითაც დასტურდება რომ სკოლა ამ მიმართულებით აწარმოებს შეფასებას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ სკოლის შინაგანაწესი;
- ✓ შრომითი ხელშეკრულებები;
- ✓ კორესპოდენციები;
- ✓ პერსონალური მონაცემების დაცვის წესი;
- ✓ მრჩეველთა საბჭოს ოქმები;
- ✓ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა;
- ✓ არგუმენტირებული პოზიცია;
- ✓ საგანგებო მართვის სიტუაციების მართვის სამსახურის კორესპოდენცია;
- ✓ სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს წერილი.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფილია საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით. შენობა-ნაგებობა და ფართი სახელმწიფსგან უსასყიდლოდ აქვს გადაცემული პირველადი სარგებლობის უფლებით, რაც დასტურდება ამონაწერით საჯარო რეესტრიდან. დაწესებულების ეზოში დგას ორი შენობა. ერთი კორპუსი განკუთვნილია დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისთვის. მეორე კორპუსში განთავსებულია საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები, ასევე ადმინისტრაციის სამუშაო ოთახები, ბიბლიოთეკა და კომპიუტერული ლაბორატორია. შენობა არის 3 სართულიანი, ყველა სართულზეა სველი წერტილები. შენობა არის გარემონტებული, ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია. ამავე კორპუსში არის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ლაბორატორია. სასკოლო ბუფეტი, სპორტდარბაზი და სააქტო დარბაზი. სკოლის სპორტდარბაზი აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით. სკოლა გეგმავს ყველა სასკოლო ოთახის ეტაპობრივად აღჭურვას პროექტორით. სკოლას აქვს ბიბლიოთეკა, რომელიც შედგება წიგნადი ფონდისაგან. ბიბლიოთეკაში განთავსებულია ყველა საგნის სასწავლო წიგნის თითო ეგზემპლარი, დამხმარე და მხატვრული ლიტერატურა, ილუსტრირებული მასალები, დამხმარე სახელმძღვანელოები, და ა.შ. სკოლაში ფუნქციონირებს ექიმის ოთახი, არის საჭირო ინვენტარით აღჭურვილი. სკოლას ეზოში აქვს გარე სპორტული მოედანი, რომელიც მოწესრიგებულია, არის შემოღობილი და დაფარულია ხელოვნური საფარით. დაწესებულებას მოთხოვნილი აქვს მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა 1500 მოსწავლე. სკოლაში სწავლობს 600-ზე მეტი მოსწავლე. ამ ეტაპზე სკოლას მფლობელობაში აქვს 830 ინდივიდუალური სკამი და მერხი. დაწესებულებას სასწავლო პროცესს წარმართავს ერთ ცვლაში. შესაბამისად, სკოლამ შეიძლება მიიღოს 1500 მოსწავლე ორ ცვლაში. ისე რომ ცვლაში მოსწავლეთა რაოდენობა არ აღემატებოდეს 830 მოსწავლეს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. ქალაქ ოზურგეთის #1 საჯარო სკოლა უზრუნველყოფს მატერიალური რესურსის ხელმისაწვდომობას როგორც პერსონალისთვის, ისე მოსწავლეებისთვის. სკოლას აქვს ბიბლიოთეკა, რომლითაც სარგებლობენ მოსწავლეები და პედაგოგები,

რაც დასტურდება მკითხველის ბარათებითაც, რომელიც მოიცავს ინფორმაციას გაცემული წიგნების შესახებ. სსიპ ქალაქ ოზურგეთის #1 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 2 აგვისტოს #2-155 ბრძანებით დამტკიცებულია მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, რომლითაც რეგულირდება აღნიშნული საკითხი. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკამყოფილებულია.**

3. სასკოლო საზოგადოება ხელს უწყობს ინკლუზიური გარემოს შექმნას. ამ ეტაპზე სკოლას ჰყავს ეტლით მოსარგებლე მოსწავლეები. სკოლის შემოსასვლელში არის პანდუსი, რომლითაც საშუალება აქვს ეტლით მოსარგებლეს შევიდეს შენობაში. ამავდროულად სკოლაში არის ადაპტირებული საპირფარეშო და სველი წერტილი. დაწესებულების ორივე კორპუსი აღჭურვილია ლიფტით და ეტლით მოსარგებლეს შეუძლია მისით სარგებლობა. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის უზრუნველყოფილია შენობის სივრცეში თავისუფალი გადაადგილება. მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ ბიბლიოთეკით, ლაბორატორიებით და სპორტდარბაზით. ექსპერტებმა ვიზიტისას დაათვალიერეს ორივე ლიფტის მდგომარეობა და დამაკამყოფილებლად იქნა მიჩნეული. ფუნქციონირებს რესურს ოთახი. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლაში არის სასიამოვნო გარემო. არის ბიბლიოთეკა, ღია და დახურული სპორტული მოედანი, ლამაზი ეზო. სკოლა გეგმავს და ახორციელებს სასწავლო პროექტებს. მოსწავლეებისთვის შექმნილია ყველა პირობა, რომ ჰქონდეთ სკოლაში ყოფნის სურვილი. ფუნქციონირებს ბუფეტი, არის კომპიუტერული ლაბორატორია, რომლითაც შეუძლიათ ისარგებლონ დადგენილი გრაფიკით. მოსწავლეებს გამოყოფილი აქვთ სივრცე კლუბებისა და პროექტებზე მუშაობისთვის, ფუნქციონირებს თვითმმართველობის ოთახი. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. დაწესებულება უზრუნველყოფილია სასკოლო სახელმძღვანელოებით, ასევე დამატებითი მასალებით: რუკებით, თვალსაჩინოებებით. სკოლას აქვს ქიმიის, ბიოლოგიის და ფიზიკის ლაბორატორიები, შიდა სპორტული დარბაზი, გარე სპორტული მოედანი. სკოლის სპორტდარბაზი აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, კერძოდ, ფრენბურთის ბადე და კალათბურთის ფარები. სკოლა გეგმავს ყველა სასკოლო ოთახის ეტაპობრივად აღჭურვას პროექტორით. საბუნებისმეტყველო საგნებისთვის საჭირო თვალსაჩინოებები განლაგებულია ლაბორატორიაში. მოსწავლეებს ქიმიის ბიოლოგიის, ფიზიკის გაკვეთილები უტარდებათ ლაბორატორიაში; სადაც განთავსებულია სხვადასხვა რესურსი, რომლის დახმარებითაც მოსწავლეებს შეუძლიათ პრაქტიკული მუშაობა, კვლევის ჩატარება, მისი შედეგის აღრიცხვა, გაანალიზება და სათანადო დასკვნის გამოტანა. სკოლას აქვს ბიბლიოთეკა, რომელიც შედგება წიგნადი ფონდისაგან. ბიბლიოთეკაში განთავსებულია ყველა საგნის სასწავლო წიგნის თითო ეგზემპლარი, დამხმარე და მხატვრული ლიტერატურა, ილუსტრირებული მასალები, დამხმარე სახელმძღვანელოები, და ა.შ. სკოლას ეზოში აქვს გარე სპორტული მოედანი, რომელიც მოწესრიგებულია, არის შემოღობილი და დაფარულია ხელოვნური საფარით. სკოლაში ფუნქციონირებს ტექნოლოგიების ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია

კომპიუტერებით. სკოლას აქვს 57 კომპიუტერი, მათ შორის 15 ლეფთოფი. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- ✓ ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- ✓ მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს ინტერნეტში ჩართული - 57 კომპიუტერი, მათ შორის 15 ლეფთოფი, პროექტორები სკოლაში არსებული ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის გამოყენებით წარმატებით ხორციელდება სწავლა/სწავლების პროცესი, ინტერნეტში

ჩართული კომპიუტერების გამოყენებით წარიმართება სასწავლო პროცესი და კოლეგების სამუშაო შეხვედრები ლაბორატორიებსა და ბიბლიოთეკაში. კომპიუტერთან მუშაობა შეუძლია ნებისმიერ პირს, ვისაც აქვს შესაბამისი უნარ-ჩვევები. დაშვებულია: ტექსტების შეყვანა და რედაქტირება; ინტერნეტით მასალების მოძიება და გადმოწერა; დისკების გამოყენება დასაშვებია უფლებამოსილ პირთან შეთანხმებით; ელექტრონული ფოსტით სარგებლობა. ორივე კორპუსში ხელმისაწვდომია უკაბელო ინტერნეტი. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. დაწესებულებას შექმნილი აქვს დოკუმენტი, რომლითაც განკარგავენ არსებულ ტექნიკას. შექმნილია სამუშაო სივრცეები პედაგოგებისა და მოსწავლეებისთვის. მატერიალური რესურსის განკარგვის წესით რეგულირდება ტექნიკის გამოყენება. სკოლაში გამოყოფილია პასუხისმგებელი პირი, რომელიც უზრუნველყოფს გრაფიკის შესაბამისად ინფრასტრუქტურით სარგებლობას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;
- ✓ ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამის საქმის წარმოების წესი. სკოლაში შიდა დოკუმენტაციის აღრიცხვის მიზნით იწარმოება საკადრო და საერთო სარეგისტრაციო ჟურნალები. საკადრო ჟურნალში ტარდება დასაქმებულთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები, რომლებიც ფორმდება დირექტორის ბრძანებით, ხოლო საერთო ბრძანებებში აღირიცხება

მოსწავლეთა მოძრაობა (ჩარიცხვა-ამორიცხვა, მობილობა და სხვა სახის გადაწყვეტილებები). სკოლაში ასევე წარმოებს შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი. სკოლაში ინახება დასაქმებულთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები კანონმდებლობით დადგენილი ვადით. მასწავლებელთა სტატუსის ცვლილებისას ან ხელშეკრულების ვადის გასვლის შემთხვევაში იდება ახალი ხელშეკრულება, ხოლო სხვა სახის ცვლილებისას კეთდება შეთანხმება, რომელიც ეხება ხელშეკრულებას. მოსწავლეთა პირადი საქმეები მატერიალურად ივსება პირველ კლასში. მასში განთავსებულია მოსწავლეთა პირადი ინფორმაცია და აკადემიური მოსწრება. მობილობის შემთხვევაში პირადი საქმე ფოსტით ეგზავნება შესაბამის სკოლას. დაწესებულებას სკოლის დირექტორის 2023 წლის 2 აგვისტოს #2-158 ბრძანებით დამტკიცებული აქვს საქმიწარმოების წესი, რომელიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან, კერძოდ . ,,საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში და მის სისტემაში შემავალ ორგანოებში ელექტრონული დოკუმენტბრუნვის და ელექტრონული ხელმოწერის სისტემის გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 17 აგვისტოს N951 ბრძანებასთან. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, დოკუმენტაციის წარმოებისთვის აქვს E-flow და E-school ის ბაზა რომელთა მოხმარებაც შეუძლია სკოლის ყველა თანამშრომელს პირადი მომხმარებლის და პაროლის საშუალებით. სკოლა იყენებს ელექტრონულ ფოსტას. სკოლას აქვს ელექტრონული ჟურნალი (onlineschool.emis.ge) . შემოსლი და გასული კორესპოდენციის, ასევე ბრძანებების ატვირთვა ხდება eflow-ში. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. ვიზიტისას ადგილზე გადამოწმდა სკოლის eschool-ის ბაზა. სკოლას სრულყოფილად აქვს ყველა საჭირო მონაცემი ასახული. ყველა საჭირო მონაცემი სწორია და შეესაბამება არსებულ რეალობას. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. დაწესებულებაში ვიზიტისას გადამოწმდა eflow-ში რამდენიმე შემოსული კორესპოდენცია, რომელზეც დაწესებულებამ წარადგინა პასუხი. თითოეულ შემთხვევაში სკოლას დროულად ჰქონდა მიწოდებული ინფორმაცია რესურს ცენტრისთვის. ასევე ვიზიტისას წარმოადგინეს ფინანსური ანგარიგების ამსახველი დოკუმენტების წარდგენის დამადასტურებელი წერილები, სამეურვეო საბჭოსთან წარდგენილი ანგარიშები. საქმისმწარმოებელმა აღნიშნა, რომ შემოსულ განცხადებებზე , როცა რაიმე ტიპის ინფორმაციის გამოთხოვას ეხება, უკუკავშირი ხდება კანონმდებლობით დადგენილ ვადებში. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ საქმისწარმოების წესი;
- ✓ შემოსული კორესპოდენციები;

- ✓ ბაზების ვიზუალური დათვალიერებით.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას არ აქვს ოფიციალური ვებგვერდი. თუმცა იყენებს სოციალურ ქსელს Facebook-ის გვერდს. შესაბამისად, მნიშვნელოვანი ინფორმაცია სკოლის მიერ განხორციელებული თუ დაგეგმილი აქტივობების შესახებ ვრცელდება ამ გვერდის საშუალებით. გარდა ამისა, შექმნილია ჯგუფები სოციალურ ქსელში, სადაც მოსწავლეთა მშობლებს მიეწოდებათ სხვადასხვა სახის ინფორმაცია კლასის დამრიგებლების მიერ. ვიზიტისას სკოლა არ ახორციელებდა საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდის საშუალებით. **ექსპერტთა შეფასებით, დასკვნის პროექტში აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც არ შეესაბამება.**

დაწესებულებამ 2023 წლის 14 სექტემბრის #1029255 და 18 სექტემბრის #1168986 კორესპოდენციებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №99/ნ 2010 წლის 1 ოქტომბრის „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 25[1] მუხლის 6 პუნქტის თანახმად წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა მოიცავს

ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით დაგეგმილ აქტივობას განხორციელების პერიოდს (01.09.2023-01.10.2023) პასუხისმგებელ პირებს, შემსრულებლებისა და სხვა ჩართული მხარეების შესახებ ინფორმაციას, მტკიცებულებებს, რისკების ანალიზს. ექსპერტთა ჯგუფმა გაანალიზა შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში ხარვეზის აღმოფხვრის შესაძლებლობა და მიიჩნია, რომ აღნიშნულ ვადაში სავსებით შესაძლებელია დაგეგმილი აქტივობების განხორციელება. **ექსპერტთა მიერ ავტორიზაციის დებულების 15[2] მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.**

ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში (01.09.2023-01.10.2023) უზრუნველყოს ვებგვერდის შექმნა.

2. დაწესებულების სოციალურ გვერდს მართავს სკოლის საინფორმაციო მენეჯერი. სოციალურ ქსელში გავრცელებული ინფორმაცია არის სანდო და უტყუარი. ხდება გადამოწმება სკოლის დირექციის მიერ და ვრცელდება მხოლოდ მას შემდეგ. ან ვრცელდება სამინისტროს ოფიციალური გვერდიდან აღებული ინფორმაცია. სკოლას არ აქვს ოფიციალური ვებგვერდი, თუმცა მომდევნო ეტაპზე დაწესებულება გეგმავს აღნიშნული პრობლემის მოგვარებას. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. დაწესებულება მუდმივად იღებს უკუკავშირს და აქვს მზაობა გაითვალისწინოს თემის და სასკოლო საზოგადოების აზრი. სკოლა სოციალური ქსელის საშუალებით აზიარებს საკუთარი საქმიანობის შესახებ ინფორმაციას. იღებს უკუკავშირს მშობლებისა და მოსწავლეებისგან. ექსპერტთა შეფასებით, საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის დირექტორმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ სწავლება ხორციელდება ქართულ ენაზე, შესაბამისად სკოლა გეგმავს ვებგვერდი იყოს ერთენოვანი, რადგან არ აქვთ უცხო ენაზე გვერდის ქონის საჭიროება. სკოლას ვიზიტისას არ ჰქონდა ვებგვერდი. **ექსპერტთა შეფასებით, დასკვნის პროექტში აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც არ შეესაბამება.**

დაწესებულებამ 2023 წლის 14 სექტემბრის #1029255 და 18 სექტემბრის #1168986 კორესპოდენციებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №99/ნ 2010 წლის 1 ოქტომბრის „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 25[1] მუხლის 6 პუნქტის თანახმად წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა მოიცავს ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით დაგეგმილ აქტივობას განხორციელების პერიოდს (01.09.2023-01.10.2023) პასუხისმგებელ პირებს, შემსრულებლებისა და სხვა ჩართული მხარეების შესახებ ინფორმაციას, მტკიცებულებებს, რისკების ანალიზს.

ექსპერტთა ჯგუფმა გაანალიზა შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში ხარვეზის აღმოფხვრის შესაძლებლობა და მიიჩნია, რომ აღნიშნულ ვადაში სავსებით შესაძლებელია დაგეგმილი აქტივობების განხორციელება. **ექსპერტთა მიერ ავტორიზაციის დებულების 15² მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.**

ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში (01.09.2023-01.10.2023) უზრუნველყოს ვებგვერდის შექმნა.

5. სკოლის დირექცია გეგმავს ვებგვერდის სტრუქტურა იყოს ინდიკატორის მოთხოვნის შესაბამისი. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია. თუმცა **ექსპერტთა შეფასებით, დასკვნის პროექტში აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც არ შეესაბამება.**

დაწესებულებამ 2023 წლის 14 სექტემბრის #1029255 და 18 სექტემბრის #1168986 კორესპოდენციებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №99/ნ 2010 წლის 1 ოქტომბრის „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 25¹ მუხლის 6 პუნქტის თანახმად წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა მოიცავს ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით დაგეგმილ აქტივობას განხორციელების პერიოდს (01.09.2023-01.10.2023) პასუხისმგებელ პირებს, შემსრულებლებისა და სხვა ჩართული მხარეების შესახებ ინფორმაციას, მტკიცებულებებს, რისკების ანალიზს. ექსპერტთა ჯგუფმა გაანალიზა შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში ხარვეზის აღმოფხვრის შესაძლებლობა და მიიჩნია, რომ აღნიშნულ ვადაში სავსებით შესაძლებელია დაგეგმილი აქტივობების განხორციელება. **ექსპერტთა მიერ ავტორიზაციის დებულების 15² მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.**

ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში (01.09.2023-01.10.2023) უზრუნველყოს ვებგვერდის შექმნა ინდიკატორის მოთხოვნის შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ სკოლის Facebook გვერდი;
- ✓ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

შეფასება:

○

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებამ წარმოადგინა ბოლო ორი წლის ბიუჯეტები თავისი შესრულებებით, რითაც დასტურდება რომ სკოლას აქვს საკმარისი შემოსავლები განახორციელოს სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობები. სკოლა უზრუნველყოფილია სასწავლო რესურსებით, ჰიგიენური საშუალებებით, იხდის გათბობის თანხებს, თუმცა ყოველწლიურად რჩება ნაშთის სახით

გარკვეული თანხმა. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. 2. სკოლა თანხებს განკარგავს დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მიმართავს სამეურვეო საბჭოს კორექტირებისათვის. ინვენტარისა თუ სხვა სახის საგნების შეძენის საჭიროების შემთხვევაში სკოლის მატერიალურ– ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი მიმართავს დირექტორს მოხსენებითი ბარათით, რომელშიც აღწერილია საჭიროება და ბაზრის კვლევა. ყველა საჭირო პროცედურის დაცვით ფორმდება დოკუმენტაცია(ხელშეკრულება, ანგარიშფაქტურა მიღება– ჩაბარების აქტი) და ხდება შესყიდვა. მონიტორინგის ეფექტურ მექანიზმს წარმოადგენს სკოლის დირექტორის ანგარიში ფინანსურ საკითხებზე , რომელსაც იგი წარუდგენს ყოველი წლის 10 დეკემბრამდე სამეურვეო საბჭოს. გარდა ამისა, სკოლა მონიტორინგს უწევს ხარჯებს კვატალურად. სკოლის ბიუჯეტი ყველასთვის ცნობილია. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ სკოლის ბიუჯეტი თავისი შესრულებებით;
- ✓ სამეურვე საბჭოს ოქმები;
- ✓ დირექტორის ანგარიში.

დასტურდება (მტკიცებულებები):

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ქალაქ ოზურგეთის #1 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 02 აგვისტოს 2-156 ბრძანებით დamტკიცებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომლითაც რეგულირდება მოსწავლის ჩარიცხვა, მობილობა, სტატუსის შეჩერება. სკოლას შინაგანაწესით შემუშავებული აქვს აგრეთვე მოსწავლეთა წახალისებისა და დისციპლინური გადაცდომის პრევენციის მექანიზმები, აღნიშნული მექანიზმების ფარგლებში სკოლის დირექციის წარმომადგენელი ვალდებულნი არიან სასწავლო წლის დაწყებიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში, უზრუნველყონ მოსწავლეთა უფლებებისა და წესების გაცნობა ყველა მოსწავლისათვის საინფორმაციო ხასიათის შეხვედრების ან/და სხვა ღონისძიებების ორგანიზებით. მოსწავლეთა უფლებები და წესები, რომლის გაცნობაც ხორციელდება სკოლის მიერ მოსწავლეებისათვის თანხვედრაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. გარდა ამისა, სკოლას აქვს ხელშეკრულება, რომელიც ფორმდება მოსწავლის კანონიერ წარმოადგენელსა და დაწესებულებას შორის. შესაბამისად მოსწავლის უფლებების დაცვის გარანტად შეიძლება ჩაითვალოს აღნიშნული ხელშეკრულება. **ექსპერტთა შეფასებით, სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა.**
2. სკოლის შინაგანაწესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას, ასევე ხელშეკრულებას ეცნობა როგორც კანონიერი წარმომადგენელი, ისე სკოლის პერსონალი. აღნიშნული რეგულაციები არის გამჭირვალე, არ არის ორაზროვანი და არ იძლევა ინტერპრეტირების შესაძლებლობას. შინაგანაწესი გააზრებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, აღნიშნულის უზრუნველსაყოფად სკოლა მოსწავლეებისთვის აწყობს საგანმანათლებლო-საინფორმაციო კამპანიას, რაც გულისხმობს სხვადასხვა აქტივობების ჩატარებას. სკოლის შინაგანაწესს პედაგოგიურ საბჭოსთან შეთანხმებით ამტკიცებს სამეურვეო საბჭო. **ექსპერტთა შეფასებით, მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან.**

3. სკოლამ წარმოადგინა მოსწავლის კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები. აღნიშნული ხელშეკრულება მოიცავს ინფორმაციას როგორც მოსწავლის ვალდებულებების, ისე უფლებების შესახებ. ასევე მოიცავს ინფორმაციას მხარეთა შესახებ, ხელშეკრულების ნომერს, გაფორმების თარიღსა და ადგილს, ხელშეკრულების საგანს. წარმოდგენილი დოკუმენტი სრულად შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. **ექსპერტთა შეფასებით, მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ ხელშეკრულებები;
- ✓ შინაგანაწესი;
- ✓ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულება მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის საკითხის რეგულირებისას ეყრდნობა მოქმედ კანონმდებლობას. დაწესებულებას დამტკიცებული აქვს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომლითაც რეგულირდება მოსწავლის ჩარიცხვასთან და სტატუსის ცვლილებასთან დაკავშირებული საკითხები. აღნიშნული წესი თანხვედრაშია მოქმედ კანონმდებლობასთან ზოგადი განათლების შესახებ კანონთან, „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის №04/ნ ბრძანებასთან, „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 19 სექტემბრის №193/ნ ბრძანებასთან. შესაბამისად, **ექსპერტთა შეფასებით, სკოლას განსაზღვრული არ აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები.**

2. დაწესებულება მოქმედებს მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად, ასევე სკოლის მიერ დადგენილი წესის თანახმად. ვიზიტისას შესწავლილ იქნა სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტები, ასევე ჩატარდა გასაუბრება საქმისმწარმოებელთან. დაწესებულებას მოსწავლის ჩარიცხვას და სხვა პროცედურებს ახორციელებს ზედმიწევნით ზუსტად. შესაბამისად, **ექსპერტთა შეფასებით, სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს.**

3. დაწესებულების პირველ სართულზე განთავსებულია თვალსაჩინო ადგილას სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც მოიცავს ინფორმაციას სკოლის მიერ შეთავაზებული მომსახურების სახეების შესახებ. თუმცა ამ ეტაპზე სკოლა არ ეწევა ფასიან საგანმანათლებლო საქმიანობას. ასევე თვალსაჩიონდ არის გამოკრული სკოლის შინაგანაწესი, რომელიც არეგულირებს მოსწავლის ქცევას და სკოლის პოლიტიკას მოსწავლის მხრიდან არასასურველი ქცევის შემთხვევაში. გარდა ამისა, კლასის კრებებზე ხდება მშობლებისთვის და მოსწავლეებისთვის სკოლის შინაგანაწესის გაცნობა. **ექსპერტთა შეფასებით, სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი.**

4. დაწესებულება ინფორმაციის გაზიარების მიზნით იყენეს სოციალურ ქსელს, რადგან ამ ეტაპისთვის არ აქვს სკოლას ოფიციალური ვებგვერდი. ექსპერტთა მიერ, გადამოწმდა სკოლის ოფიცილაური ფეისბუქ-გვერდი, მასზე განთავსებული ინფორმაცია იყო უტყუარი, შესაბამისობაში მოდიოდა კანონმდებლობასთან და არ შეიცავდა რაიმე ტიპის დისკრიმინაციას. სკოლის წარმომადგენლებმა ინტერვიურებისას განაცხადეს, რომ ყოველთვის სიფრთხილით ეკიდებიან ინფორმაციის გაზიარებას, ხდება დაზუსტება და გადამოწმება და მხოლოდ მას შემდეგ აწვდიან ინფორმაციას სასკოლო საზოგადოების

წევრებს. **ექსპერტთა შეფასებით, სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ მოსწავლეთა ჩარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ✓ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ქალაქ ოზურგეთის #1 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 2 აგვისტოს #2-162 ბრძანებით დამტკიცებულია მოსწავლეთა ადაპტაციის წესი, რომლითაც გასაზღვრული აქვს დეზადაპტაციისას განსახორციელებელი ღონისძიებები. დოკუმენტში ასევე გაწერილია პირველკლასელთა ადაპტაციის მექანიზმი, რომლითაც გაწერილია ის აქტივობები რაც უნდა განხორციელდეს ტრანზაციის პერიოდში. მე-9 მუხლი არეგულირებს სსსმ მოსწავლეების ადამპტაციას სასკოლო გარემოსთან. სკოლა ყველა მშობელს სასწავლო წლის დაწყებამდე აცნობს სპეციალურ ფორმას, რომლითაც მშობელი სკოლას მიაწოდებს ინფორმაციას ბავშვის ჯანმრთელობის, მდგომარეობის თუ სამედიცინო დიაგნოზის შესახებ, ასევე სპეციფიკური საჭიროებების შესახებ, რაც სწავლებას და ბავშვის საგაკვეთილო პროცესში ჩართვას უკავშირდება. მეორე მხრივ, სკოლა მშობლებს აწვდის ინფორმაციას იმ სერვისების შესახებ, რასაც სკოლა ბავშვებს და მის მშობლებს სთავაზობს. სკოლის დირექცია ახორციელებს მონიტორინგს ტრანზიციის პროცესზე და ახდენს მშობელთა ინფორმირებას იმ საკითხებზე, რომ მათ იზრუნონ ბავშვის წინასასკოლო უნარებზე და სასკოლო ადაპტაციაზე. ხშირად გაასეირნოს ბავშვი სკოლის ტერიტორიაზე, გააცნოს მომავალი მასწავლებლები, თუ მშობელმა წინასწარ იცის ვინ იქნება ბავშვის თანაკლასელი, ხელი შეუწყოს გაცნობას და დამეგობრებას. **ექსპერტთა შეფასებით, სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი.**
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან, განხორციელებული ღონისძიებები, თუ პროექტები მიზნად ისახავს ხელი შუწყოს მოსწავლეებს იგრძნონ თავი სასკოლო საზოგადოების წევრებად, ადმინისტრაციასთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლისთვის პრიორიტეტული და ეფექტური მექანიზმი მოსწავლეთა ადაპტაციისათვის არის სასკოლო აქტივობებში, ღონისძიებებსა თუ პროექტებში მათი ჩართვა. დამრიგებლებსა და მასწავლებლებთან ერთად, ბიბლიოთეკარიც ატარებს ღონისძიებებს, სადაც რთავს როგორც უმცროსს, ასევე უფროსი ასაკის მოსწავლეებს თემატიკისა და ინტერესების მიხედვით, პროექტები მოსწავლეებს ეხმარება ადაპტაციაში და უჩნდებათ მიკუთვნებულობის გრძნობა სასკოლო ცხოვრებისადმი. **ექსპერტთა შეფასებით, სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან.**
3. დაწესებულება მუდმივად ზრუნავს თითოეული მოსწავლის აკადამიური მოსწრების გაუმჯობესებაზე. საჭიროების შემთხვევაში ხდება საკონსულტაციო საათის ჩანიშვნა. სკოლა გეგმავს რემედიაციის პროგრამის შექმნას, რომლითაც მოხდება მოსწავლეებისთვის შესაბამისი მხარდამჭერი ღონისძიებების დაგეგმვა. სკოლა საჭიროების შემთხვევაში ახდენს სასწავლო გეგმის მოდიფიცირებას, ან მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის შემთხვევაში მულტიდისციპლინარული გუნდის დასკვნის საფუძველზე ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლებას. **ექსპერტთა შეფასებით, მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად.**

4. ვიზიტისას დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეებისთვის სხვადსხვა ტიპის მხარდაჭერას უწევენ მყისიერად ზეპირი მოთხოვნის საფუძველზე. ზოგიერთი სახის მხარდაჭერა ხორციელდება მოსწავლის მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის მოთხოვნის წერილობითი საფუძველზე. მტკიცებულების სახით წარმოდგენილ იქნა მშობლის განცხადება ცნობის გამოთხოვის შესახებ, რომლის საფუძველზე დაწესებულებამ უმოკლეს პერიოდში გასცა ცნობა. **ექსპერტთა შეფასებით, სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით.**

5. სკოლა ხელს უწყობს არაფორმალური განათლებას. დაწესებულებაში ფუნქციონირებს ოთხი კლუბი, რომელსაც უძღვებიან შესაბამის ან მომიჯნავე საგნების პედაგოგები. მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით შექმნილია: მკითხველთა კლუბი „პარმა“, სამოქალაქო განათლების კლუბი „ახალი თაობა“, ეკო კლუბი, ფოლკლორის კლუბი „საუნჯე“. სკოლის მოსწავლეები ახორციელებენ სოციალურ პროექტებს ჯანსაღი ცხოვრების წესისა და გარემოს მდგრადი განვითარების მიმართულებით. სკოლის მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი განხორციელებულ პროექტებში, რაშიც აქტიური მხარდაჭერაა აქვთ სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან. სკოლაში წარმატებით ფუნქციონირებს სამოქალაქო განათლების კლუბი ,,ახალი თაობა“ . მათ მიერ შემუშავებული პროექტი დაფინანსდა და მოეწყო თანამედროვე ტექნიკითა და ავეჯით აღჭურვილი საზიარო სივრცე. კლუბის წარმატებას ხელი შეუწყო სამოქალაქო განათლების კვალიფიციურმა პედაგოგმა. კლუბებში გაწევრიანება ნებაყოფლობითია, მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ ჩაერთონ სხვადსხვა არაფორმალურ აქტივობებში. სკოლაში აქტიურად მუშაობს მოსწავლეთა თვითმმართველობა. მოსწავლეთა თვითმმართველობა ახორციელებს სკოლის პედაგოგებთან სხვადსხვა აქტივობებს თემთან. სკოლის თვითმმართველობის წევრებმა რამდენჯერმე მოიპოვეს მუნიციალიტეტის დაფინანასება და განახორციელეს სხვადასხვა პროექტები. სკოლაში აქტიური კლუბები შექმნილია დირექტორის ბრძანებით, აქვს კლუბის მუშაობის წესდება შემუშავებული, სამუშაო გეგმა. **ექსპერტთა შეფასებით, სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას.**

6. დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სხვადასხვა აქტივობებთან დაკავშირებით მუდმივად ხდება მოსწავლეთა ზეპირი გამოკითხვა, რომლის საფუძველზეც ხდება სამომავლოდ ცვლილებების განხორციელება და მომსახურების დახვეწა. დაწესებულება სოციალური ქსელის საშუალებით მუდმივად ათავსებს ინფორმაციას სკოლაში მიმდინარე თუ დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ. შესაბამისად, იღებენ მშობლებისა და მოსწავლეებისგან უკუკავშირს და ყოფილა შემთხვევები, როცა დაწესებულებას მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაუხვეწავს საქმიანობა და ცვლილება შეუტანია პროცესში. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს სასკოლო საზოგადოების უკუკავშირის მექანიზმს, რომელიც შემდგომში გამოიყენება საქმიანობის გასაუმჯობესებლად. სკოლაში სტრატეგიული გეგმის შემუშავებამდე მოხდა საქმიანობის შეფასება და

სკოლამ შეიმუშავა კითხვარები მშობლებისა მოსწავლეებისთვის. დაწესებულებამ წარმოადგინა კვლევის ანალიზი, რომელშ გაანალიზებულია მოსწავლეთა და მშობლეთა უკუკავშირები. სკოლამ შემდგომი დაგეგმვის პროცესში გამოიყენა უკუკავშირის შედეგად მიღებული შეფასება. **ექსპერტთა შეფასებით, მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ მოსწავლეთა ადაპტაციის წესი;
- ✓ ფოტომასალა;
- ✓ კითხვარები;
- ✓ კითხვარის ანალიზი;
- ✓ პროექტის გეგმები.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ქალაქ ოზურგეთის #1 საჯარო სკოლა თანამშრომლობს სსიპ კოლეჯი ,,ჰორიზონტთან“ კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების დანერგვის მიზნით , ა(ა)იპ-პროფესიული უნარების სააგენტოს პროგრამების „სტუდენტური და პრესტუდენტური სერვისების განვითარების ხელშეწყობის“ ქვეპროგრამის საჯარო სკოლებში პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობის კომპონენტის ფარგლებში. სკოლა ასევე თანამშრომლობს სხვადასხვა პროფესიულ და უმაღლეს სასწავლებელთან, ეწყობა ღია კარის დღეები, მოსწავლეთა ინფორმირებულობის მიზნით. ვიზიტისას წარმოდგენილი

იქნა „ჰორიზონტთან“ თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტები. **ექსპერტთა შეფასებით, კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის.**

2. დაწესებულება კლასის დამრიგებლების მეშვეობით მუდმივად აწვდის კარიერული დაგეგმვის შესაძლებლობების შესახებ როგორც მშობლებს მშობლეთა კრებებზე, ასევე მოსწავლეებსაც მიეწოდებათ ინფორმაცია სადამრიგებლო საათის და ინდივიდუალური შეხვედრებისას. ასევე სკოლა თავად არის ორგანიზატორი სხვადასხვა უმაღლეს თუ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში წაიყვანოს მოსწავლეები ღია კარის დღეებზე ან წარმომადგენლები მოიწვიონ ადგილზე. **ექსპერტთა შეფასებით, სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით.**

3. დაწესებულებამ გამოკითხა სკოლის მოსწავლეები, რომლებიც ჩართული იყვნენ „ჰორიზონტთან“ თანამშრომლობის პროცესში, პროგრამა იმდენად ეფექტური იყო, რომ სხვა მოსწავლეებმაც გამოთქვეს პროგრამაში ჩართვის სურვილი. შესაბამისად, სკოლა კვლავაც აპირებს მიმართოს „ჰორიზონტს“ თანამშრომლობის თხოვნით. **ექსპერტთა შეფასებით, სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ კოლეჯ ჰორიზონტთან გაფორმებული მემორანდუმი.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ქალაქ ოზურგეთის საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 02 აგვისტოს #2-154 ბრძანებით დამტკიცებულია სსსმ მოსწავლის ზოგადი განათლების უზრუნველყოფის დებულება. მოსწავლისათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციაში აღწერილია სსსმ მოსწავლეთა ჩართვა საგანმანათლებლო სივრცეში, მათი მხარდაჭერა, დამხმარე პროცესები და ხელისშემშლელი მოსალოდნელი საფრთხეები და დასაქმებული პირების მიმართ გაცემული რეკომენდაციები სსსმ მოსწავლეებთან ურთიერთობისას. . ამჟამად სკოლაში ირიცხება 20 სსსმ მოსწავლე 10 - დაწყებით საფეხურზე ; 7 - საბაზო საფეხურზე ; 3 - საშუალო საფეხურზე ; სკოლამ სასწავლო წლის დასაწყისში (სექტემბრის თვეში) შეიმუშავა ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა , რომელშიც ასახულია თვალნათლივ სკოლის როლი და ფუნქცია ინკლუზიური განათლების დანერგვისა და განვითარების კუთხით. დაწესებულებას აქვს სათანადოდ აღჭურვილი რესურს ოთახი. სკოლაში არსებული რესურს ოთახი განთავსებულია პირველ სართულზე, ყველასათვის ადვილად ხელმისაწვდომ სივრცეში. აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით (ადაპტირებული მაგიდა, სკამი, სხვადასხვა სასკოლო რესურსი, კომპიუტერი), რაც ხელს უწყობს სსსმ და შშმ მოსწავლეების სწავლის პროცესი წარმატებით და შეუფერხებლად წარიმართოს. ასევე სკოლას გააჩნია სათანადოდ მოწყობილი ინფრასტრუქტურა ~, დამონტაჟებულია ორთავე კორპუსში ლიფტი, არის ადაპტირებული სველი წერტილები. სსსმ მოსწავლის სწავლა - სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად, სპეციალური მასწავლებელი მოსწავლის საჭიროებიდან გამომდინარე ქმნის ინტერვენციის გეგმსა, რომელსაც სათანადოდ იყენებს ბავშვთან მუშაობის პროცესში, რაც ხელს უწყობს მოსწავლის ცოდნის გაღრმავებას) ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით, სკოლის ადმინისტრაციის ბრძანების საფუძველზე იქმნება ისგ ჯგუფი., რომელიც სსსმ მოსწავლეებისათვის უზრუნველყოფს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას და ხელს უწყობს მის განხორციელებას. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენაში ჩართულია მშობელი. ისგ ჯგუფის მიზანია სასწავლო პროცესი იყოს მოსწავლეზე ორიენტირებული და მორგებული, მაქსიმალურად იყოს გათვალისწინებული მოსწავლის შესაძლებლობები, ინტერესები და საჭიროებები, სწავლა - სწავლების პროცესი მიმდინარეობდეს ისე რომ თითოეული მოსწავლის მიმართ დასახული მიზნები რელევანტური და მიღწევადი იყოს. სკოლას აქვს გამოცდილება შინსწავლების მოსწავლესთან მუშაობის. მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე. გაწერილია შინსწავლებისთვის განსაზღვრული გაკვეთილების განრიგი, საათობრივი დატვირთვა. სკოლას შემუშავებული აქვს მონიტორინგის სისტემაც. ისგ-ის ჯგუფის წევრები განიხილავენ სსსმ მოსწავლეების საგანმანათლებლო პროცესს, გამოწვევებს, სწავლების სტრატეგიების ეფექტურობას და ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში ცვლილებების შეტანის აუცილებლობას. აღნიშნული სამუშაო პროცესი ადასტურებს, რომ სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის მექანიზმები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. 2012 წელს სპეციალური განათლების მასწავლებლის ინიციატივით,განხორციელდა პროექტი სახელწოდებით „რესურს ოთახის აღჭურვა, ინკლუზიური განათლების დანერგვა სკოლაში“. აღნიშნული პროექტი დააფინანსა გერმანიის ფედერაციული

რესპუბლიკის საელჩომ. ამ პროექტის საშუალებით სკოლაში შეიქმნა რესურს ოთახი, რომელიც აღიჭურვა თანამედროვე ტექნიკით, ადაპტირებული ავეჯით (მერხი / სკამი) სველი წერტილებით, სპეციალური წიგნებით, თვალსაჩინოებებით, თოჯინების თეატრის საჭირო რესურსით, ამ პროექტის საშუალებით შესაძლებელი გახდა შესაბამისი , მორგებული სივრცის შექმნა ჩვენი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის.

სკოლა 2021 წლიდან ჩართულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროექტში „ განათლების მიღების მეორე შესაძლებლობა , სოციალური ინკლუზიით „ ქვეპროგრამის ფარგლებში. არსებული პროექტის ფარგლებში საინტერესო კლუბები იყო შემოთავაზებული. ამ პროექტის სამიზნე ჯგუფი არის 5 მოლდაველი მოსწავლე, რომლებიც მეტ ყურადღებასა და სოციალიზაციას საჭიროებენ. პროექტში ჩართულები არიან ასევე სკოლის მოხალისე მოსწავლეები.

პროექტის ფარგლებში სკოლამ შეარჩია და ამუშავდა სხვადასხვა კლუბები (სპორტის კლუბი, თოჯინების თეატრი, ზოოკლუბი).

წლის განმავლობაში იგეგმება სასკოლო თემის წარმომადგენლებთან (მოსწავლე , მშობელი , მასწავლებელი) ცნობიერების ამაღლების მიზნით სხვადასხვა ტიპის ღონისძიებები :

- შშმ პირთა საერთაშორისო დღის ფარგლებში სკოლაში მოეწყო ამავე სკოლის კურსდამთავრებულის შშმ პირის მ.ა ხელნაკეთ ნივთების გამოფენა.
- ცნობიერების ამაღლების მიზნით, მოეწყო შეხვედრა მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან დაუნის სინდრომის მქონე პირთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ნაჩვენები იქნა მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ვიდეო რგოლები, რომელიც ნათლად ასახავდა კონკრეტულად მათთვის დამახასიათებელ ნიშან - თვისებებსა და გამომწვევ მიზეზებს.
- 2 აპრილს, აუტიზმის ცნობიერების ამაღლების მსოფლიო დღესთან დაკავშირებით სკოლაში მოეწყო აუტისტური სპექტრის მოსწავლეთა და მათი თანატოლების ჩართულობით აქტივობები : მოსწავლეებმა დახატეს, ააწყვეს ფაზლები, გაიმართა ასფალტზე ხატვა.
- ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით მოეწყო სხვადასხვა ტიპის აქტივობები : სამაგიდო თამაშები (შაშის , დომინოს , ლოტოს თამაში, შეჯიბრება ბოულინგში.)
- სკოლა უკვე მეორე წელია აქტიურადაა ჩართული ზემოთ ხსენებულ პროექტში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მიერ შემოთავაზებულ პროექტში „ განათლების მიღების მეორე შესაძლებლობა სოციალური ინკლუზიით“ ქვეპროგრამის ფარგლებში, სადაც ჩართულია სკოლის 5 მოლდაველი (ბოშა) მოსწავლე და ასევე 15 მოხალისე მოსწავლე სხვადასხვა კლასიდან. არსებული პროექტის ფარგლებში მუშაობას აგრძელებს კითხვის კლუბი და სპორტის კლუბი.

- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა აქტიური ჩართულობით მე- 2 ა კლასში, მოეწყო ჩვენება იმპროვიზირებული ზღაპრისა „კომბლე“ . რომლის შინაარსი მოიცავდა ტოლერანტობას, მეგობრობას, სიკეთესა და სიყვარულს.

ვიზიტის დროს სკოლის ადმინისტრაციამ აღნიშნა, რომ სსსმ მოსწავლეთა მშობლები აქტიურად არიან ჩართულნი სასწავლო პროცესში და სასკოლო საზოგადოების საერთო ინტერესიც არის სსსმ მოსწავლეების წინსლვისა და განვითარების მხარდაჭერა. სკოლაში არსებობს მრავალფეროვანი რესურსებით აღჭურვილი რესურსოთახი, ადაპტირებული სველი წერტილი, შენობის შესასვლელში პანდუსი, ერთ-ერთი მოსწავლისათვის ადაპტირებული მერხი, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა მაქსიმალურ ხელშეწყობას და ჩართვას სასწავლო პროცესში. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ სსსმ მოსწავლის ზოგადი განათლების უზრუნველყოფის დებულება;
- ✓ ისგ გეგმა;
- ✓ ისგ ჯგუფის ოქმი;
- ✓ მონიტორინგის დამადასტურებელი მასალები;
- ✓ პროექტების გეგმა;
- ✓ პროექტის განხორციელების მტკიცებულებები.

4.2.4. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი

მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს გახანგრძლივებულ სწავლებას და წრეებს, რომელთა ფუნქციონირებაც რეგულირდება სასკოლო სასწავლო გეგმით. დაწესებულებას ასევე გაფორმებული აქვს იჯარის ხელშეკრულებები. აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულებამ წარმოადგინა სამეურვეო საბჭოს 2022 წლის 06 სექტემბრის #2 ოქმი და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის 2022 წლის 16 სექტემბრის #1102444 კორესპოდენცია, რომლითაც სამინისტრო არ არის წინააღმდეგი სკოლამ იჯარით გასცეს ფართი. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკამყოფილებულია.**

2. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას კვების სერვისს, წარმოდგენილი აქვთ დოკუმენტი დანართი „იჯარის ხელშეკრულება“, ხელშეკრულების მიხედვით სკოლას მოიჯარისთვის გადაცემული აქვს სკოლის პირველ სართულზე არსებული 86.7 კვ.მ. ფართის ინვენტართან ერთად დროებით სარგებლობაში გადაცემა, სკოლის ბუფეტის ფუნქციონირების მიზნით. ხელშეკრულებით განსაზღვრული არის იჯარის ფასი და გადახდის პირობები, მხარეთა ვალდებულებები, პასუხისმგებლობები, ფორსმაჟორული და სხვა პირობები. გარდა ამისა, დაწესებულებას სხვადასხვა წრეების ფუნქციონირების მიზნით გაფორმებული აქვს სამი იჯარის ხელშეკრულება. თუმცა ხელშეკრულებებში არ ჩანს რა დანიშნულებით უნდა მოხდეს იჯარის ფართის გამოყენება. დაწესებულებას იჯარასთან დაკავშირებით გამოცხადებული ჰქონდა აუქციონი, ნებართვა კი მიღებული ჰქონდა სახელმწიფო ქონების მართვის სააგენტოსა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტიდან. როგორც სკოლის დირექტორმა აღნიშნა ინტერვიურებისას, სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობით. მიზანი ემსახურება მოსწავლის აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებას და ცნობიერების ამაღლებას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ექსპერტთა რჩევაა, დაზუსტდეს იჯარის ხელშეკრულებებში იჯარის ფართის გამოყენების მიზნობრიობა და დანიშნულება.

3. სკოლაში ფუნქციონირებს გახანგრძლივებული წრე. დამატებითი მომსახურეობა ხორციელდება უსაფრთხოების არსებული ნორმების სრული დაცვით და დაგეგმილია მოსწავლის ინტერესებიდან გამომდინარე. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ იჯარის ხელშეკრულებები;
- ✓ სამეურვეო საბჭო ოქმი;
- ✓ ეკონომიკური დეპარტამენტის ნებართვა;
- ✓ სახელმწიფო ქონების მართვის სააგენტოს ნებართვა.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება-დაწყებითი საფეხური

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას წარმოდგენილი აქვს შესაბამისი დოკუმენტი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის შესახებ. აღნიშნული დოკუმენტი კარგი ინდიკატორია სკოლის ფარგლებში სასკოლო კურიკულუმის დანიშნულებისა და ფუნქციების გააზრების ხარისხის შესაფასებლად. დოკუმენტში მკაფოდაა ჩამოყალიბებული, კურიკულუმის ჩამოყალიბებისა და შემდგომი განვითარების მეთოდოლოგია. ჩაშლილია კურიკულუმის შემადგენელი ნაწილებისა და კომპონენტების შესახებ ინფორმაცია. აღწერილია, თუ რა პრინციპებს ეფუძნება კურიკულუმის განვითარების ეტაპები. მასში წარმოდგენილი და განსაზღვრულია დოკუმენტის დამუშავებისას რა ფუნქცია მოვალეობები ეკისრება დირექციას და რა პედაგოგებს. კურიკულუმის რევიზიის ნაწილში მკაფიოდაა ჩამოყალიბებული, თუ როგორ უნდა მოხდეს, სასკოლო საზოგადოებების წევრების ინტერესებისა და შეხედულებების ასევე პრიორიტეტების მიხედვით არსებული კურიკულუმის გარდაქნა და მისი რევიზია. მასში გათვალისწინებულია, მოსწავლეთა შედეგების განსაზღვრა, ასევე მშობელთა ჩართულობა და კათედრებისა და დირექციის

როლი და დანიშნულება აღნიშნულ პროცესში. სკოლას წარმოდგენილი აქვს შექმნილი კურიკულუმის ჩარჩოები. მასში თეორიული და პრაქტიკული თვალსაზრისით ყველა კომპონენტი სწორადაა გაწერილი. წარმოდგენილი დოკუმენტაცია, იძლევა დასკვნის საშუალებას, რომ საგნობრივი კათედრის ფარგლებში არსებობს თეორიული და პრაქტიკული მზაობა, კურიკულუმის შექმნასთან დაკავშირებით.

უცხოური ენის შესწავლა სკოლაში მიმდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმისა და უცხოური ენის საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად, პირველი უცხოური ენა არის ინგლისური, მეორე უცხოური ენა არის გერმანული და რუსული, ხოლო მესამე უცხოური ენა არის ფრანგული. ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, სკოლაში, პირველი უცხოური ენის შესწავლა იწყება პირველ კლასში, ხოლო მეორე უცხოური ენის შესწავლა კი მეხუთე კლასში, მესამე უცხოური ენა ისწავლება საშუალო საფეხურზე არჩევით საგნად. სასკოლო საზოგადოებისთვის სკოლას შექმნილი აქვს კითხვარები (კითხვარი - გაიდლაინი პედაგოგებისთვის; გაიდლაინი მოსწავლეებისთვის; გაიდლაინი მასწავლებლებისთვის). აღნიშნული კითხვარები ამ ეტაპისთვის წარმადგენს სამუშაო ვერსიას. რაც სავსებით ნორმალურია, რადგან სკოლა კურიკულუმების დაგეგვისა და განვითარების პროცესშია. აღნიშნული კითხვარების არსებობა კი გამოხატავს სკოლის მზაობას კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში აისახოს სასკოლო საზოგადოების ინტერესი, შესაძლებლობები და პრიორიტეტები.

უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას ამ ეტაპზე არ ჰყავს ტექნოლოგიების პედაგოგი და ინტერვიუ ჩატარდა მათემატიკის კათედრის წევრებთან, პედაგოგებმა ნათლად ისაუბრეს იმ პროცესებზე, რაც კურიკულუმის შემუშავების დროს მიმდინარეობს, კერძოდ: იმართება პედაგოგთა შეხვედრები, სადაც ერთობლივად განიხილავენ კურიკულუმში შემავალ და გავლილ საკითხებს, მიმდინარე პროცესებს. კურიკულუმში შემავალი გარკვეული საკითხები მუშავდება კომპლექსური დავალებებით. დავალებები იმგვარად არის შედგენილი რომ მასში ასახულია მოსწავლეთა შესაძლებლობები, ინტერესები შეხედულებები.

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბემისად, კურიკულუმში ჩაშენებულია კომპლექსური დავალებები. კათედრის წევრები იკრიბებიან და ერთად ჯერდებიან მომდევნო წლის კურიკულუმზე. რომელი დავალებები შეიტანონ, რომელმა აქტივობემა გამოიწვია მოსწავლეთა დაინტერესება. ***ექსპერტთა შეფასებით, მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

2. სკოლის მიერ წარმოდგენილია „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ სადაც აღწერილია როგორ ხდება კურიკულუმის შემუშავებისა და განხორციელების დროს სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება. კათედრის წევრებთან გასაუბრების დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო წლის განმავლობაში ხდება მოსწავლეთა ინტერესებზე დაკვირვება, მასწავლებელი ქმნის კურიკულუმის სამუშაო ვერსიას, რომლის დაზუსტება და გაუმჯობესება ხდება სასკოლო კათედრების სხდომებზე, ხოლო კურიკულუმის შემუშავებასა და მოდიფიცირებაში, ასევე, აქტიურად არიან ჩართულები სკოლის დირექციის წევრები, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში მასწავლებლებს აძლევენ

მეთოდურ რეკომენდაციებს. შემუშავებულია კომპლექსური დავალების ბარათები, რაც მიუთითებს მშობლების ჩართულობაზე. ინტერვიუს დროს ნათელი გახდა, რომ კათედრების წევრები კურიკულუმის შემუშავების პროცესის უშუალო მონაწილენი არიან, გამოკვეთილი აქვთ სასკოლო საზოგადოების ინტერესები, რაც გათვალისწინებული იქნება სასკოლო კურიკულუმის შექმნის პროცესში. მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით მოხდება სსსმ მოსწავლეებისათვის რესურსების შერჩევა და დავალებების მოდიფიცირება. კათედრის წევრების გასაუბრების და დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაციის მიხედვით, კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები.

გარდა ამისა, უცხოური ენის შესწავლა სკოლაში მიმდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმისა და უცხოური ენის საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად, პირველი უცხოური ენა არის ინგლისური, მეორე უცხოური ენა არის გერმანული. ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, სკოლაში, პირველი უცხოური ენის შესწავლა იწყება პირველ კლასში, ხოლო მეორე უცხოური ენის შესწავლა კი მეხუთე კლასში. არჩევით საგნად კი სკოლა მოსწავლეებს, სწავლების მესამე საფეხურზე სთავაზობს ფრანგულ ენას, რაც თავისთავად გულისხმობს მოსწავლეთა (სასკოლო საზოგადოების) ინტერესის გათვალისწინებას;

მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე სკოლაში ასევე ფუნქციონირებს სხვადასხვა არაფორმალური განათლების კლუბი, კერძოდ: ეკო კლუბი, კითხვის კლუბი, სამოქალაქო კლუბი, რაც ეხმარება სასკოლო საზოგადოებას მრავალმხრივი შესაძლებლობების გამოვლენასა და ახალი უნარების დაუფლებაში.

მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მოსწავლეებთან და მშობლებთან დიალოგის საშუალებით და მთლიანად სასკოლო საზოგადოების აზრის გათვალისწინებით, გამოიკვეთა სასურველი სპორტული აქტივობები და კომპლექსური დავალების იდეები, რათა მათი ინტერესი იქნას გათვალისწინებული კურიკულუმების შემუშავებისას. ***ექსპერტთა შეფასებით, მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

3. სასკოლო კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების კონკრეტული წარმოამდგენლების მიერ. აღნიშნული დოკუმენტის შემუშავების პროცესი ჩამოყალიბებულია კონკრეტულ დოკუმენტში - "კურიკულუმის მეთოდოლოგია". მასში აღწერილია, როგორ ხდება ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. დეტალურადაა აღწერილი კურიკულუმის შემუშავებაში, რა როლი და ფუნქცია აქვს მასწავლებელს, კათედრის ხელმძღვანელსა და დირექციის წარმოამადგენლებს. პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა რამდენიმე ფაქტორი. პედაგოგები აღნიშნავენ, რომ კურიკულუმზე მუშაობის პროცესი თანამშრომლობით გარემოში მიმდინარეობს, მასში მონაწილეობს კათედრის ყველა წევრი და ასევე გათვალისწინებულია, სასკოლო საზოგადოების სხვა წარმომადგენელთა ინტერესებიც.

სკოლაში ამ ეტაპზე არ არის კომპიუტერული ტექნოლოგიების პედაგოგი თუმცა კათედრას აქვს ტექნოლოგიების მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმი, რომელიც გაზიარებულია კათედრაზე. ასევე მომავალი სასწავლო წლისათვის გეგმავენ ღია

კარის დღეების ჩატარებას. ეს შეიძლება მივიჩნიოთ იმის დასტურად, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. (ინტერვიუ)

სასკოლო საზოგადოების ინტერესის გამოსკველვად, სკოლას შექმნილი აქვს კითხვარები: მასწავლებლებისთვის, მოსწავლეებისთვისა და მშობლებისთვის, რაც ერთგვარ თანამონაწილეობას გულისხმობს კურიკულუმის შემუშავებისას. გარდა ამისა, სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმა (რომელის ნაწილიც გახლავს სასკოლო კურიკულუმი) შეთანხმნებულია სამეურვეო საბჭოსთან (რომელიც აერთიანებს სასკოლო საზოგადოებას: მასწავლებელს, მშობელსა და მოსწავლეს) და დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს მიერ. გარდა ამისა, ინტერვიურებისას გამოიკვეთა, რომ კათედრის წევრები (პირველი, მეორე და მესამე უცხოური ენის მასწავლებლები) მჭიდროდ თანამშრომლობენ ერთმანეთთან;

კურიკულუმში დაგეგმილია კომპლექსური დავალებები, რაც განათლების თანამედროვე პარადიგმების განხორციელების საშუალებას იძლევა, ეს კი თავისთავად გულისხმობს თითოეულ მოსწავლეზე ორიენტირებულობას. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლის მხარდამჭერ გარემოს ქმნის საინტერესო აქტივობებით და მოსწავლეებთან პოზიტიური დამოკიდებულებით, ითვალისწინებენ და წაახალისებენ მათ ინიციატივებს. წარმოდგენილი დოკუმენტის და კათედრის წევრებთან გასუბრების შედეგების დროს მიღებული ინფორმაცის თანახმად სასკოლო კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

წლის დასაწყისში სკოლა აპირებს მოაწყოს ,,ღია კარის დღე“ სადაც 2023-2024 წლის სასკოლო კურიკულუმი გაეცნობა სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლს (მოსწავლე, მშობელი,მასწავლებელი). ***ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

4. დოკუმენტ “კურიკულუმის მეთოდოლოგიას“, საგნობრივი კურიკულუმების ნიმუშებსა და სკოლის წარმოამადგენლებთან პირადი გასაუბრების საფუძველზე, იკვეთება კონტურები, რომ სასკოლო საზოგადოების ყველა წარმოამადგენელი, როგორც დირექცია და პედაგოგები, ასევე მშობლები და მოსწავლეები იზიარებენ კურიკულუმის მნიშვნელობასა და ფუნქციას. დოკუმენტი საჯაროა და მასზე თავისუფალი წვდომა აქვს სასკოლო საზოგადოების თითოეულ წარმოამდგენელს.

სასწავლო წლის დასაწყისში სკოლა - დამრიგებელი მოსწავლეებს აცნობს კომპლექსურ დავალებებს,ასევე კომპლექსური დავალების ბარათებს სასწავლო წლის დასაწყისში გაუგზავნიან მშობლებს და გააცნობენ მოსწავლეებს, დამრიგებელი ატარებს მშობელთა კრებებს და სხვა საორგანიზაციო საკითხების მოგვარებასთან ერთად, დიდი დრო ეთმობა სკოლის სასწავლო გეგმის გაცნობას. გაცნობა ხდება, როგორც საინფორმაციო დაფის საშუალებით, ასევე შეხვედრებზე, კერძოდ, მოსწავლეებსა და მშობლებს აცნობენ: სადამრიგებლო პროგრამებს, კლუბების საქმიანობას და ა.შ. ხოლო გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ

მშობლებისთვის გაზიარება ხდება , ასევე ელექტრონულ პლატფორმებზე (მაგ,teams-ის პლატფორმაზე) და სოციალური ქსელის დახურულ ჯგუფებში. ***ექსპერტთა შეფასებით, მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ დოკუმენტი - "კურიკულუმის მეთოდოლოგია"
- ✓ სკოლის წარმომადგენლებთან ინტერვიუ
- ✓ საგნობრივი კურიკულუმის ნიმუშები
- ✓ სკოლის მშობელთა კრების ოქმი
- ✓ გაიდლაინი პედაგოგებისთვის, გაიდლაინი მშობლებისათვის,გაიდლაინი მოსწავლეებისათვის,თვითშეფასების ფორმა

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ პედაგოგები კურიკულუმს განიხილავენ, როგორც მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის და განვითარების გზას. წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში გათვალისწინებულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნები . წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოში ჩანს, რომ მუშავდება ყველა სამიზნე ცნება . შერჩეული კომპლექსური დავალებები ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე. პედაგოგები აკვირდებიან მოსწავლეების ნამუშევრებს მთელი წლის მანძილზე , აანალიზებენ ნამუშევრებს საფეხურის შედეგებთან და სამიზნე ცნებებთან მიმართებით.

კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმის ჩარჩოები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, რაც დასტურდება კლასების მიხედვით თემების, კონტექსტმაგალითებისა და კომპლექსურ დავალებებზე სამუშაო სასწავლო რესურსების ჩამონათვალით.

სკოლაში პირველი უცხოური ენა არის ინგლისური, მისი სწავლება ხორციელდება პირველი კლასის მეორე სემეტრიდან. ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საათობრივი დატვირთვის მიხედვით. მეორე უცხოური ენა არის გერმანული და რუსული. მეორე უცხოური ენის სწავლებაც ხორციელდება ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, ისწავლება მეხუთე კლასიდან. სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესი იგეგმება თემატურად. თითოეული თემის ფარგლებში მუშავდება სტანდარტის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება.

წარმოდგენილ დაგემილ თემატურ ბლოკებში არ არის ყველგან ჩაშენებული კომპლექსური დავალების პირობა. მეორე უცხოურ ენაში (გერმანულში) წარმოდგენილია ერთი კომპლექსური დავალების იდეა ერთი კონკრეტული კლასისთვის (მთელი სასწავლო წლის მანძილზე), ამ კონკრეტული კომპლექსური დავალების იდეიდან, კურიკულუმის ჩარჩოდან გამომდინარე და მასწავლებლებთან გასაუბრებიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლა გამოხატავს სრულ მზაობას ამ მიმართულებით წარმატებით გააგრძელოს საქმიანობა.

სკოლის მიერ წარმოდგენილი ტექნოლოგიების (ი.ს.ტ) კურიკულუმის ჩარჩოდან ჩანს რომ კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმივისა და განვითარების გზას, მაგალითად, მეორე კლასის კურიკულუმის ჩარჩოში მოსწავლეები ჯერ ეცნობიან პირობით ნიშნებს, შემდეგ ინტერნეტ ქსელის შესახებ ასრულებენ დავალებას „ჩემი ქსელი“ და ამ ორი საკითხის გაერთიანებით მოსწავლეები თავადაც გადიან ავტორიზაციას Teams-ში და ასევე აკეთებენ ილუსტრაციას პროგრამაში შესვლის შესახებ. (მე-2 კლასი კომპიუტერული ტექნოლოგია)

სკოლაში ფუნქციონირებს ეკო კლუბი და წარმოდგენილია განხორციელებული აქტივობები, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნული და სოციო-ემოციური განვითარებას, ზრდის მოტივაციას და ფორმალური და არაფორმალური განათლების კომპონენტში მოსწავლეთა აქტიური და თანასწორი ჩართულობის საშუალებას იძლევა.მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა პედაგოგების მზაობა დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომებთან დაკავშირებით, ისაუბრეს საკუთარ გამოცდილებაზე კომპლექსური დავალებების განხორციელების კუთხით და გააკეთეს ზუსტი აქცენტები კომპლექსური დავალების, როგორც შუალედური მიზნის მნიშვნელობაზე. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზიდან და კათედრის წევრებთან ფოკუს-ჯგუფის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს შედეგებიდან ჩანს, რომ კათედრებს აქვს საკმარისი მზაობა , გამოცდილება და ხედვა, წარმატებით დაგეგმოს და განავითაროს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესი.

მნიშვნელოვანია ,რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ ყველა მოსწავლე არის უნიკალური თავისი ფიზიკური შესაძლებლობებით, ფსიქო-ემოციური მახასიათებლებით და კურიკულუმი არის მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლის

პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზა. მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე გაწერილია კომპლექსური დავალების მრავალფეროვანი იდეები, რომელიც გათვლილია თითოეული მოსწავლის უნარებსა და შესაძლებლობებზე. კურიკულუმებში ყველა საჭირო რესურსი ჰიპერლინკის სახითაა მოცემული. ***ექსპერტთა შეფასებით, მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

2. სკოლის მიერ შემდგომი სასწავლო წლისათვის წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმის ჩარჩოში თითოეული კლასისთვის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად განსაზღვრულია გრძელვადიანი მიზნები, მუშავდება ყველა სამიზნე ცნება, მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება და მზაობა იმისათვის, რომ დაგეგმონ და განახორციელონ პროცესი საინტერესოდ, რათა მიზანმიმართული იყოს, მოსწავლის გლობალურ-ფუნქციური უნარების განვითარებაზე. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში მკაფიოდაა განსაზღვრული, რომ კურიკულუმის მთავარი ორიენტირი სკოლისთვის არის ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიანი მიზნები (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები) აგრეთვე გამოკვეთილია, რომ კურიკულუმის განვითარების პროცესის მთავარი პრინციპია სასკოლო კურიკულუმის შემუშავება მოხდეს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად; ხდება საკითხების შერჩევა, რომელიც ისწავლება სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგნებში საფეხურის ფარგლებში (იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად დაძლიეს მოსწავლეებმა წინა წლის სასწავლო გეგმით განსაზღვრული პროგრამა); საკითხების განსაზღვრა, რომლებიც ისწავლება სხვა საგნის საკითხებთან ინტეგრირებით; იმის განსაზღვრა, თუ რა ფორმით უნდა გამოხატოს მოსწავლემ ცოდნა შესასწავლ საკითხთან/საკითხებთან დაკავშირებით (თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით); აქტივობებისა და სასწავლო რესურსების აღწერა, რომლებიც ეფექტურად იქნა გამოყენებული წინა წელს შუალედურ სასწავლო მიზანზე მუშაობისას; სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის და საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოს ანალიზი, აგრეთვე დაწყებითების კათედრის წევრებთან ფოკუს-ჯგუფის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ კათედრებს აქვს გამოცდილება კომპლექსური დავალებების დაგეგმვა /განხორციელების აგრეთვე, სამომავლო ხედვა და მზაობა საგნობრივი კურიკულუმები მიმართოს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებზე, (სამიზნე ცნებები და შედეგები), პროცესში გააქტიუროს მოსწავლის გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი) და განუვითაროს მოსწავლეს გამჭოლი კომპეტენციები (მაკროცნება)

წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს რომ სკოლა ხელს უწყობს 21-ე საუკუნის გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებას. ეს დასტურდება საგნობრივ კურიკულუმებშიც , კომპლექსური დავალებები იმგვარად არის აგებული რომ მოსწავლეები იღებენ ინფორმაციას სხვადასხვა საინტერესო საკითხების შესახებ და დავალების ბოლოს წარმოადგენენ

პრეზენტაციებს, ვიდეო რგოლებსა და პლაკატებს აღნიშნულ თემებზე. (თვითშეფასების ფორმა, პედაგოგის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია)*ექსპერტთა შეფასებით, მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომებს. სკოლის მიერ წარმოდგენილი 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტის მიხედვით სკოლა გეგმავს აქტივობებს მოსწავლეთა საჭიროებების დადგენის მიზნით და შედეგებიდან გამომდინარე კურიკულუმის მოდიფიცირებას. სკოლას განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლის შემთხვევაში ინდივიდუალური გეგმების შემუშავება და მოსწავლის პირველადი მართვა, რაც უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში.სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ასახულია შემთხვევები, რომ კონკრეტული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისათვის, სკოლის ფარგლებში იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელშიც ჩართულია კათედრის წარმომადგენელი პედაგოგებიც. პედაგოგებთან გასაუბრების დროს, მათ დააფიქსირეს თავიანთი მიდგომა აღნიშნული საკითხის მიმართ და განაცხადეს, რომ პედაგოგები მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების პროცესში, შეისწავლან მოსწავლეთა ინდივიდუალურ ინტერესებსა და მოთხოვნებს და აძლევენ მათ საშუალებას აირჩიონ მათვის საინტერესო საკითხი, ან თუნდაც შემოქმედებითი პროდუქტი. პედაგოგების თქმით, ისინი სამომავლოდ გეგმავენ, რომ სრულად გაითვალისწინონ დიფერენცირებული და ინდივიდუალური მიდგომები და მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით, კომპლექსური დავალებების შესრულებისას, დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებს მისცენ საშუალება აირჩიონ ხატვას, ძერწვასა და სხვადასხვა შემოქმედებით აქტივობას შორის.

დაწყებითი საფეხურის **უცხოური ენების** კურიკულუმში დიფერეცირებული / ინკლუზიური სწავლების პრინციპები გამოკვეთლად არ არის ასახული. თუმცა კურიკულუმში, კომპლექსურ დავალებაზე სამუშაოდ, მოცემულია კონტექსტ მაგალითები რომელიც ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომას. ამ მიმართულების გასამყარებლად, ექსპერტთა ჯგუფმა, სკოლისგან მასწავლებლებთან ინტერვიურებისას მიიღო დამატებითი ინფორმაცია, მასწავლებლები დაწყებით საფეხურზე იყენებენ სხვადასხვა დამატებით მასალას, აქტივობებსა და თვალსაჩინოებას. რაც გამოიხატება დამატებითი მასალის მიწოდებით. სკოლას წარმოდგენილი აქვს ინდივიდუალური გეგმები, თუმცა აღნიშნული არ არის წარმოდგენილი უცხოურ ენაში. თვითშეფასების კითხვარში სკოლა აღნიშნავს, რომ ჰყავს 20 სსსმ მოსწავლე. უცხოური ენის მიმართულებით არ არის წარმოდგენილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. თუმცა სკოლის ზოგადი მზაობა ამ მიმართულებით ჩანს დაწყებით საფეხურზე შექმნილი ინდივიდუალური გეგმები (სხვა საგნებში), გარდა უცხოური ენისა. სკოლას ასევე წარმოდგენილი აქვს სპეციალური მასწავლებლიე სამოქმედო გეგმა და მულტიდუსციპლინური გუნდის შეხვედრის ოქმები, რაც ასევე ადასტურებს სკოლის მზაობას.

მასწავლებლებთან საუბრის დროს გამოიკვეთა, რომ ისინი ადაპტირებას უკეთებენ აქტივობებს და მიზნებს. გეგმავენ ინდივიდუალურ გეგმებს. რიგ შემთხვევაში ეს გამოიხატება კონკრეტული საჭიროებით, მაგალითად მოსწავლეს რომელსაც კითხვა უჭირს, კითხვის გასაუმჯობესებელ დავალებას, მაგალითად, ჯერ ნაბეჭდი და ხელნაწერი ასო შეუსაბამონ ერთმანეთს, ნახატი და სიტყვა და ა.შ. ასევე, გასაუბრების დროს, ერთ-ერთმა პედაგოგმა აღნიშნა, რომ სსსმ მოსწავლისთვის შექმნა ისეთი დავალება, რომ საბოლოო პროდუქტი წარმოედგინა დიორამის მეშვეობით, კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი გახდა მისთვის უფრო მარტივი, სახალისო და მოსწავლე აქტიურად ჩაერთო სასწავლო პროცესში.

სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტი სსსმ მოსწავლესთან მუშაობის გამოცდილება, სადაც აღწერილია, რომ სკოლა 2021 წლიდან ჩართულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროექტში „ განათლების მიღების მეორე შესაძლებლობა,სოციალური ინკლუზიით “ ქვეპროგრამის ფარგლებში .

არსებული პროექტის ფარგლებში საინტერესო კლუბები იყო შემოთავაზებული

ამ პროექტის სამიზნე ჯგუფი არის 5 მოლდაველი მოსწავლე, რომლებიც მეტ ყურადღებასა და სოციალიზაციას საჭიროებენ. პროექტში ჩართული იყვნენ მოხალისე მოსწავლეები . პროექტის კოორდინატორი თავის გუნდთან ერთად თვლის, რომ ეს არის საჭირო პროგრამა საგანმანათლებლო სივრცეში, რომელიც უკავშირდება სოციალურ ინკლუზიას.

პროექტის ფარგლებში სკოლამ შეარჩია და ამუშავდა სხვადასხვა კლუბები.

საჯარო სკოლა არეგულირებს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდებას. გაწერილია სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების იდენტიფიცირებისა და სსსმ სტატუსის მოპოვების , ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებისა და შესრულების რეგულაციები. მასწავლებლები ქმნიან ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს სსსმ მოსწავლეთა აკადემიური, კოგნიტური და შემეცნებითი უნარ-ჩვევების გათვალისწინებით, უზრუნველყოფენ, რომ სსსმ მოსწავლეები თანაბრად იყვნენენ ჩართული საგაკვეთილო პროცესში და სასკოლო ცხოვრებაში. აქტიურად ქმნიან სასწავლო ადაპტირებულ რესურსებს. დაგეგმილია აქტივობები, განსაზღვრულია მასალის მიწოდების, წარმოდგენის სხვადასხვა ფორმა, ყველა ტიპის მოსწავლის ინტერესების, შესაძლებლობების და საჭიროებების გათვალისწინებით. გაკვეთილზე ხდება მრავალფეროვანი რესურსის გამოყენება; წარმოდგენილი დოკუმენტაციის და გასაუბრების შედეგად კათედრას აქვს არსებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით ხედვა და მზაობა სასწავლო პროცესში გაითვალისწინოს დიფერენცირებულ/ინკლუზიური მიდგომები.

სექტემბრიდან აპირებენ მოსწავლეების შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებით კიდევ უფრო მეტად დახვეწოს კურიკულუმი.

სკოლაში, სპეციალური განათლების პედაგოგები აქტიურად არიან ჩართული არაფორმალურ განათლებაში. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა აქტიური ჩართულობით მე- 2 ა კლასში, მოეწყო ჩვენება იმპროვიზირებული ზღაპრისა „კომბლე“ . რომლის შინაარსი მოიცავდა ტოლერანტობას, მეგობრობას, სიკეთესა და სიყვარულს,

მოსწავლეებმა მაქსიმალურად წარმოაჩინეს საკუთარი შესაძლებლობები. ***ექსპერტთა შეფასებით, მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

4. ესთეტიკური აღზრდის კათედრის მიერ წარმოდგენილია შეფასების სხვადასხვა ფორმები: განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა.

უცხოური ენაში სკოლა დაწყებით საფეხურზე იყენებს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ განმავითარებელ და განმსაზღვრელ (V და VI კლასებში) შეფასებას. სკოლას წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ნიმუში დაწყებით საფეხურზე. შეფასების ნიმუშები წარმოდგენილია მეორე ენის ფარგლებში. განმავითარებელი შეფასების ნიმუში ეფუძნება: კონტექსტმაგალითსა და სამიზნე ცნების შესაბამის მკვიდრ წარმოდგენებს. ცხრილში მოცემულია დავალების შესაბამისი მოლოდინები. განმსაზღვრელი შეფასების ცხრილში მოცემულია სამიზნე ცნება, ცნების შესაბამისი ინდიკატორი (დავალების ფარგლებში) და შესაბამისი ქულა.

წარმოდგენილ შეფასების სქემაში, სკოლას სამიზნე ცნებად დაწყებით საფეხურზე შერჩეული აქვს - ჟანრი“, აღნიშნული ცნება დაწყებით საფეხურზე არ გვაქვს, გვაქვს „ტექსტი“. ინდიკატორი დახარვეზებული არ არის რადგან, ამ ორ ცნებას შორის ბევრია საერთო და შესაბამისად საკითხები, ქვესაკითხები და მკვიდრი წარმოდგენები სწორად არის განსაზღვრული.

სხვა საგნობრივი ექსპერტები აღნიშნავენ,რომ სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმის ნიმუშში წარმოდგენილია, რომ სკოლისთვის მნიშვნელოვანია შეფასების მიზნიდან გამომდინარე, მოსწავლეთა შეფასება დაუკავშირდეს არა მხოლოდ სწავლების შედეგს, არამედ სწავლის პროცესსაც. ამის უზრუნველსაყოფად სკოლაში გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი. განმსაზღვრელი შეფასება ადგენს მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში. აფასებს ცოდნათა ურთიერთდაკავშირების, ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენებისა და ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარს; განმავითარებელი შეფასება ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. მისი მიზანია ხელი შეუწყოს მოსწავლის წინსვლასა და განვითარებას. განმავითარებელი შეფასებით ფასდება ცოდნის კონსტრუირებისა და ცოდნათა ურთიერთდაკავშირების პროცესი, მოსწავლის მიერ თავისივე ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენის უნარი, ცოდნის სამივე კატეგორიის ათვისების პროცესი, ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარი, ასევე დგინდება წინარე ცოდნა/წარმოდგენები. პროექტით დგინდება, რომ შეფასება მისაღწევ შედეგებზეა გათვლილი. გრძელვადიან მიზნებზე და მეთოდიკურ ორიენტირებზეა მიმართული შეფასების კრიტერიუმები და გამომდინარეობს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენებიდან, რაც საშუალებას იძლევა შეფასდეს მოსწავლის მიღწევა გრძელვადიან მიზნებთან და საგნის მისაღწევ შედეგებთან მიმართებით ; კათედრის წევრების ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ იყენებენ განმავითარებელი

შეფასების მრავალფეროვან ინსტრუმენტებს, შეფასება სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია და იგი მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდურ ორიენტირებს. ***ექსპერტთა შეფასებით, მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***
ექსპერტთა რჩევაა: ესთეტიკური აღზრდის საგნებში სასწავლო წლის დაწყებამდე კიდევ უფრო დაკონკრეტდეს შეფასების რუბრიკები სამიზნე ცნებასთან, ცნების მკვიდრ წარმოდგენებთან და სტანდარტის შედეგებთან მიმართებით.

5. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში გამოკვეთილია პრინციპები, რომელსაც ეფუძნება სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესი, კერძოდ : სასკოლო კურიკულუმის შემუშავება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად; კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე; სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწყვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე; კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს; სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესი მჭიდრო კავშირშია სკოლაში მიმდინარე დამხმარე და მმართველობით პროცესებთან. კურიკულუმის შემუშავებაზე მუშაობა იწყება კონცეპტუალურ ჩარჩოს შესახებ მსჯელობით. განხილვის საგანია გამოწვევები, რომლებიც იკვეთება მოსწავლეზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პარადიგმის რეალიზების/ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების დანერგვის პროცესში (სასწავლო პროცესის ორიენტირება გრძელვადიან მიზნებზე, სასწავლო პროცესის დაფუძნება კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებზე, უპირობოდ პოზიტიური სასწავლო გარემო შექმნა): დაწყებითების კათედრის პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს რომ ზოგიერთ კურუკულუმში შესული კომპლექსური დავალების იდეა წინა სასწავლო წლის გამოცდილებაზე დაყრდნობით დაგეგმეს და გაითვალისწინეს წინა წლის საქმიანობის ანალიზი და გამოცდილება. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზიდან და კათედრის წევრებთან ფოკუს-ჯგუფის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს შედეგად ჩანს, რომ მასწავლებლებს აქვთ სამომავლო ხედვა და მზაობა დაგეგმვის პროცესში ითვალიწინებენ წინარე გამოცდილების ანალიზს. ***ექსპერტთა შეფასებით, მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ ინტერვიუ სკოლის წარმომადგენლებთან;
- ✓ საგნობრივი კურიკულუმების ნიმუშები;
- ✓ კათედრაზე შემავალი საგნობრივი დისციპლინების ფარგლებში შექმნილი შეფასების რუბრიკის ნიმუშები;
- ✓ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების ოქმები;

- ✓ თვითშეფასების კითხვარი;
- ✓ სსსმ მოსწავლესთან მუშაობის გამოცდილება.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლში მოქმედი : ეკო კლუბი, სამოქალაქო განათლების კლუბი, მკითხველთა კლუბი, ფოლკლორის კლუბი, აგრეთვე შერჩეული კომპლექსური დავალებები არის შესაძლებლობა იმის, რომ სასწავლო პროცესში განხორციელდეს ისეთი აქტივობები , სადაც მოსწავლე არის ცენტრალური სუბიექტი, ანუ იგი აიდენტიფიცირებს, განიხილავს და წყვეტს პრობლემებს; ეცნობა ახალ ინფორმაციას, ამუშავებს მას და განიხილავს სხვადასხვა კონტექსტში და სხვადასხვა თვალთახედვით; გადმოსცემს

და ხსნის იდეებს თავისი სიტყვებით იქნება ეს წერილობით თუ დისკუსიების სახით. მოსწავლე ქმნის კომპლექსური დავალების პროდუქტს. მოსწავლის მოტივაციისა და სწავლის პროცესის ეფექტიანობისათვის თანამშრომლობით სწავლის ფორმა ჯგუფური და წყვილებში მუშაობა აქვს შერჩეული, სადაც მოსწავლეს შესაძლებლობა აქვს მუდმივად ინტერქციაში იყოს თანატოლთან, გასცეს და მიიღოს დაუყოვნებლივი უკუკავშირი, გაიზიაროს პასუხისმგებლობა საბოლოო შედეგზე. სასკოლო პროექტი კი ქმნის შესაძლებლობას თანამშრომლობითი გზით, ყველა ასაკის და საჭიროების მოსწავლე აქტიურად და თანაბრად იყოს ჩართული სხვადასხვა აქტივობებში, შერჩეული აქტივობები კი ქმნის მოსწავლის მაღალი ჩართულობის წინაპირობას, იძლევა მოსწავლის შინაგანი მოტივაციის აღძვრის შესაძლებლობას. ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარემ იქმნება პოზიტიური სასკოლო კულტურა და საკლასო კლიმატი, რაც ხელისშემწყობია მოსწავლის შემოქმედებით პროცესებში ჩართულობისათვის. მოსწავლეს უფლება აქვს კანონმდებლობით დადგენილი წესით, წერილობით ან/და ზეპირად გამოხატოს საკუთარი აზრი და გამოიჩინოს ინიციატივა, რომლის მხარდაჭერის მიზნით სკოლა უზრუნველყოფს სპეციალური სამუშაო სივრცის მოწყობასა და საინფორმაციო კამპანიას და ხელს შეუწყობს ინიციატივების განხორციელებას .ასევე მნიშვნელოვანი და საინტერესოა საბუნებისმეტყველო კათედრის გამოცდილება, კერძოდ, ერთობლივად შემუშავებული სამუშაო გეგმის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობები, რომლებიც ექსკურსიების, პროექტებისა და სხვა ღონისძიებებით ასევე იძლევა ღიაობის, მაღალი მიმღებლობის, პრობლემაზე ორიენტირებულობისა და მოსწავლის ინიციატივების წახალისების შესაძლებლობას.

კათედრების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებში გამოკვეთილია საკვანძო სტრუქტურული ერთეულები: თემა, საკითხი, ცნება, რესურსი. კათედრა დაწყებით საფეხურზე გეგმავს კომპლექსური დავალებებით წარმართოს სწავლა სწავლების პროცესი, რაც განაპირობებს მოსწავლეების ჩართულობას შემოქმედებით პროცესში, კურიკულუმში ასახული განხორციელებული და დაგეგმილი კომპლექსური დავალებები მოსწავლეს აძლევს საშუალებას შეიძინოს ცოდნა, ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით,რადგან კომპლექსური დავალებების პირობები კავშირშია ჩვენს (მოსწავლის) ყოვლედღიურ ცხოვრებასთან, ეს ფაქტორი კიდევ უფრო მეტად რთავს მოსავლეს სასწავლო პროცესში. გარდა ამისა, კურიკულუმები შექმნილია ეროვნულ გეგმაში მოცემულ საგნორბივ სტანდარტსა და გრიფირებული სახელმძღვანელობის მიხედვით (ძირითად რესურსს წარმაოადგენს), რაც კიდევ ერთხელ მიგვითითებს, რომ მოსწავლის წინარე ცოდნა და გამოცდილება გათვალისწინებულია და დაკავშირებულია იმ გამოწვევებთან, რასაც მას კომპლექსური დაველების პირობა უყენებს. თითოეული ეს ურთერთდაკავშირებული ელემენტი კი ხელს უწყობს მოსწავლის აქტიურ ჩართვას შემოქმედებით პროცესში.

გასაუბრებისას გაირკვა, რომ გეგმავენ სკოლაში სპორტული ღონისძიებების ჩატარებას, რადგან კლასგარეშე სპორტული აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდას და მათ აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობისკენ უბიძგებს.მნიშვნელოვანია,აღინიშნოს,რომ დაწყებითი საფეხურის მათემატიკის კურიკულუმში კარგად ჩანს მოსწავლეთა

შემოქმედებით პროცესში აქტიური ჩართულობა რომლის ნათელი მაგალითია, ერთ-ერთი კომპლექსური დავალება ,,ჩემი საოცნებო გასართობი პარკი'' . მოსწავლეებს უწევთ პრობლემის გადაჭრა , სტრატეგიების გააზრება, და სხვადასხვა ტიპის პროდუქტის შექმნა. ***ექსპერტთა შეფასებით, მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

2.სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმი ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმას, რომელიც თავად მოიაზრებს კონტრუქტივისტულ მიდგომას და ძველ გამოცდილებაზე ახლის დაშენების პრინციპს. უცხოური (პირველი და მეორე) ენის საგნობრივი კურიკულუმში ჩანს, რომ ერთი თემატური ერთეულიდან გამომდინარეობს მეორე და ხდება წინა თემის ფარგლებში დასწავლილი ერთეულების განმტკიცება. საგონრივი კურიკულუმი ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმასა და სასკოლო სახელმძღვანელოებში (პირველი უცხოური ენის შემთხვევაში გარდა პირველი კლასისა) შემოთავაზებულ თემატურ ერთეულებს.

სკოლაში სასწავლო პროცეს მიმდინარეობს მესამე თაობის ე.ს.გ-ს მიხედვით. შესაბამისად, სასწავლო პროცესში პედაგოგები იყენებენ კომპლექსურ დავალებებს, რომელიც თავისთავად მოიცავს ახალი ცოდნის კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. მაგალითად ,სკოლის მიერ წარმოდგენილ კომპიუტერული ტექნოლოგიების კომპლექსურ დავალებაში საბოლოო პროდუქტის შექმნამდე მოსწავლეებს სჭირდებათ გაიხსენეონ ქსელის ფუნქციონირების პრინციპები რათა შეძლონ ინტერნეტის ფუნქციონირების პრინციპების შესწავლა. აღნიშნულ საკითხის გახსენება კი იწვევს წინარე ცოდნის გააქტიურებას. (ტექნოლოგია, კომპლექსური ტექნოლოგია)

გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ კათედრის წევრებს , კურიკულუმის შედგენის დროს გათვალისწინებული აქვთ მოსწავლეთა ასაკი, მათი ინტერესები. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით; კომპლექსური დავალებების გაცნობის საფუძველზე, იქ ,სადაც წარმოდგენილია საკვანძო კითხვები, კითხვებზე პასუხის შემთხვევაში შესაძლებელია წინარე ცოდნის გააქტიურება და ახალი ცოდნის კონსტრუირება.

საზოგადოებრივ მეცნიერებებში აღნიშნულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, ამ ინდიკატორის შეფასება რთულია. თუმცა კურიკულუმის ნიმუშებში, ის კონკრეტული გრაფა, რომელიც ცოდნათა ურთიერთდაკავშირებასა და წინარე ცოდნის, შესასწავლ საკითხთან დაკავშირებას ემსახურება, წარმოდგენილ დოკუმენტებში უკვე შევსებულია. კურიკულუმის ჩარჩოს შესაბამის გრაფაში - "მაგალითები შედარებისთვის" პედაგოგებს წარმოდგენილი აქვთ უკვე ცნობილი საგნობრივი საკითხები. შესაბამისად, სწავლა-სწავლების პროცესში, აღნიშნულ კომპონენტებზე დაყრდნობით კარგადაა შესაძლებელი წინარე ცოდნის გააქტიურება და ნაცნობ კონტექსტებზე ახალი ცოდნის დაშენებას. ***ექსპერტთა შეფასებით, მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

3. სკოლის ფარგლებში სწავლის სწავლა, გააზრებულია, როგორც კომპლექსური დავალებების განხორციელების უწყვეტი პროცესი და მოსწავლეთა მხრიდან ამ პროცესის შეფასება და სამომავლოდ გათვალისწინება. წარმოდგენილ, უცხოური (პირველი და მეორე) ენის საგნობრივ კურიკულუმში მოცემულია თემის შესაბამისი კომლპექსური დავალება. კომპლექსური დავალება ასევე მოიცავს საკვანძო შეკითხვებს რომლებიც გასდევს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესს. კომპლექსური დავალება თავისი ბუნებით, მოითხოვს მეტაკოგნიციას, რადგან დავალების შესრულების შემდეგ მოსწავლე ანალიზის შედეგად გამოკვეთს საკუთარ ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს. აღნიშნული კომპონენტის შესახებ უცხოური ენის მასწავლებლებმა დაასაბუთეს, რომ ისინი მოსაწავლეებს დაწყებით საფეხურზე ხშირად უსვამენ დამატებით დასაფიქრებენ შეკითხვებს. სასწავლო პროცესში კომპლექსური დავალების მიმდინარეობა იმგვარადაა დაგეგმილი, რომ მოსწავლემ შეძლოს და გააცნობიეროს საკუთარი სწავლის მართვა. შეაფასოს და გააკეთოს მონიტორინგი . მოსწავლეს დავალების შესრულების ეტაპზე უწევს კონკრეტული ამოცანის მოთხოვნების მიღება , მისი გადაჭრის ეფექტური სტრატეგიების მოძებნა და გამოყენება. ამის შემდგომ ახდენს საკუთარი სასწავლო გამოცდილებების რეგულაცია. სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალაში : სამომავლოდ დაგეგმილ -საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩოებში, სასკოლო პროექტში ჩანს, რომ პროცესი ისეა დაგეგმილი მასწავლებლის მიერ, რომ მოსწავლემ განსაზღვროს დავალების/შესასრულებელი საქმიანობის ღირებულება, დაგეგმვა- როგორ შეასრულოს დავალება, როგორ მოახდინოს სწავლის პროცესის მონიტორინგი და სწავლის პროცესის დროს თავისი ქცევის სოციო-ემოციური მართვა . კომპლექსური დავალება მოიცავს საკვანძო შეკითხვებს, რომლებიც გასდევს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესს. კომპლექსური ბუნების დავალებების დანერგვის მიზნებსა და არსებულ მტკიცებულებებში ამოიცნობა კომპლექსური დავალებების კრიტერიუმების დაფარვის წარმოდგენა – გასიტყვებისას სწავლის სწავლაზე მხარდაჭერა რეფლექსიის სახით. კათედრაზე პედაგოგები მიზანმიმართულად იყენებენ სწავლის, კვლევისა და ინფორმაციის მოძიების სხვადასხვა სტრატეგიას; მოსწავლეებს ასწავლიან ძირითად მასალაზე ხაზგასმას, მთლიანი მასალის დანაწევრებას და დანაწევრებული მასალის ათვისებას. ხოლო ემოციური კომპონენტის გასავითარებლად ეხმარებიან მოსწავლეებს ისწავლონ შეცდომის დანახვა და გამოსწორება, ის რომ არ ეშინოდეთ შეცდომის დაშვების, ისწავლონ ემოციების კონტროლი. სასწავლო პროცესში სწავლის სწავლაზე აქცენტების დასმა მასწავლებელთა პრაქტიკის ბუნებრივი ნაწილია, რაც სკოლაში ვიზიტისას დადასტურდა. პედაგოგოებს აქვს გამოცდილება და მზაობა სასწავლო პროცესში აქცენტი გაკეთდეს სწავლის სწავლაზე; ***ექსპერტთა შეფასებით, მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული) კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებული სწავლება თავისთავად უზრუნველყოფს ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებას ,ვინაიდან კომპლექსური დავალების შედეგი არის პროდუქტი, რომლის დამზადებასაც სჭირდება დეკლარატიული ცოდნა,

პროცედურების განხორციელება და ნასწავლის ტრანსფერი ახალ გარემოში. ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ კათედრის წევრები ცოდნის სამივე კატეგორიაზე ორიენტირდებიან ,მაგალითად, ინგლისურ ენაში „ჩემი საოცნებო კვირა“, დავალების ფარგლებში მოსწავლეს უწევს ცოდნათა ორგანიზება დეკლარატიული ცოდნის გამოყენება (დაუფლებული ენობრივი ნიშნებისა და ტექსტურ მახასიათებლების), პირობისეულად გამოყენება.ასევე ნათელი მაგალითია დაწყებითი საფეურის მათემატიკის კურიკულუმი, კომპლექსური დავალება ,, ბარათი მეგობარს ''განხორციელების ეტაპები იძლევა იმის საშუალებას, რომ მოსწავლემ შეიძინოს ფაქტობრივი ცოდნა, შემდეგ მოსწავლე ასრულებს კონკრეტულ აქტივობებს და უკვე იცის , როგორ შეასრულოს ესა თუ ის პირობა. ბოლო ეტაპზე კი შეძენილ ცოდნას იყენებს , საბოლოო პროდუქტის შესაქმნელად, მოსწავლეები ამზადებენ ბარათებს . ***ექსპერტთა შეფასებით, მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

5.სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალაში კურიკულუმის ჩარჩოებში იკვეთება , რომ ახალი სასწავლო წლისთვის დაიგეგმება და განხორციელდება კომპლექსური დავალებები.კომპლექსური ბუნების დავალებები, სწორედ ის საკვანძო ასპექტები თუ სტრუქტურულ ერთეულებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. იგი ყოველი განსაზღვრული თემით არის რა მოსწავლის გამოცდილების კონტექსტი, უზრუნველყოფს სასწავლი მასალის კავშირს მოსწავლის ცოდნასთან, მის ინტერესებსა და წარმოდგენებთან. მიემართება მოსწავლეთა ფუნქციური უნარების გამომუშავებას და ორიენტირებულია მოსწავლეთა ცოდნის ტრანსფერზე რეალურ ცხოვრებაში და ქმნის მოსწავლის პიროვნული მოქმედების არეალს. მისი განხორცილების დროს მოხდება ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. კათედრის წევრებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა , რომ პროცესი იწყება წინარე ცოდნის გააქტიურებით, მასწავლებლის მიერ შეთავაზებული შინაარსი, საკითხი და პრობლემა მოსწავლისთვის უცხო არ არის, რაც საშუალებას აძლევს, რომ იფიქროს პრობლემაზე, გამოწვევაზე, გაუმკლავდეს იმ აქტივობებს, რომლებსაც მასწავლებელი სთავაზობს, ამისათვის თავს უყრის ყველა იმ უნარსა და ცოდნას, რაც მას ამ მიმართულებით რელევანტურად მიაჩნია, ის ორიენტირებულია პრობლემის გადაჭრაზე, ნაცვლად ახალი მასალის დასწავლისა . ითვალისწინებს მათ გამოცდილებას, არგუმენტებს, ცდილობს უპასუხოს კონტრარგუმენტით, მოძებნოს გამოსავალი. ყველა ეს აქტივობა კი მისგან მოითხოვს ყველა გამოცდილების მობილიზებასა და ცოდნების ინსტრუმენტად გარდაქმნას. ამავდროულად შესაძლებელია ცოდნის ინტეგრირებულად გამოყენებაც არაფორმალურ პროექტულ და პრობლემაზე დაფუძნებულ აქტივობების ფარგლებში.ამ მიმართულებით სკოლას აქვს გამოცდილება.ჯერ კიდევ G-PRIED-ს დაწყებითი განათლების პროექტის ფარგლებში სკოლაში წარმატებით იგეგმებოდა და ხორციელდებოდა ინტეგრირებული გაკვეთილები. სკოლამ ეს წარმატებული პრაქტიკა სასწავლო პროცესის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილად აქცია და მომავალშიც გააგრძელებს ამ მიმართულებით მუშაობას. ცოდნის ორგანიზებათა მონიტორინგმა ცხადყო, რომ საგანთა შორის ინტეგრირება და ცოდნის ორგანიზება საბოლოოდ ეხმარება მოსწავლეებს სკოლაში მიღებული ცოდნა ცხოვრებაშიც გამოიყენონ- ვკითხულობთ თვითშეფასების ფორმაში. თუმცა

საზოგადოებრივ მეცნიერებებში სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ამ ინდიკატორის სრულფასოვანი შეფასების საშუალებას არ იძლევა. რადგან შუალედურ სასწავლო მიზნად განსაზღვრულია კომპლექსური დავალებები, ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას კი ხელი ეწყობა კომპლექსური დავალებების საშუალებით, შესაბამისად, შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. თვითშეფასების დოკუმენტში, სკოლის წარმოამდგენლები საუბრობენ, რომ მათ მიერ განხორციელებული აქტივობები ამ თვალსაზრისით შედეგიანი აღმოჩნდა და მომავალი სასწავლო წლისათვის შექმნილი კურიკულუმები მეტად ეფექტური იქნება მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირების უზრუნველყოფის თვალსაზრისით. ინდიკატორი მეტწილად შეესაბამება სტანდარტს.

სკოლის გამოცდილებიდან გამომდინარე, ინტერვიუერებისას გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა ცოდნა ორგანიზებულია და ურთიერთდაკავშირებული, რაც გამოიხატება მოსწავლეთა მიერ შესრულებულ დავალებებში.

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურულუმის მიხედვით სწავლა-სწავლება პროცესში ხდება ცონდათა ურთიერთ დაკავშირება. კერძოდ, დაწყებით საფეხურზე უცხოური ენის სწავლა-სწავლების პროცესი დაგეგმილია თემატურად, სასწავლო პროცესში გამოყენებულია გრიფირებული სახელმძღვანელი, რაც მიუთითებს იმას, რომ უზრუნველყოფილია ცოდნის ორგანიზება და ურთერთდაკავშირება. მაგალითად, კომპლექსური დავალების იდეა გერმანულ ენაში „ახალი ცხოველის შექმნა“, დავალების შესასრულებლად, მოსწავლეს უწევს ექვსივე გლობალურ-ფუნქციური უნარის ჩართვა, გარდა ამისა საგნის ჭირლში, ის აერთიანებს უკვე დაუბლებულ ენობრივ უნარებს და უმატებს ახლად დაუფლებულ ენობრივ საშუალებებს. გარდა ამისა, მასწავლებლებთან გასაუბრებით გაირკვა, რომ მასწავლებლები ხშირად ერთოვლივად გეგმავენ გაკვეთილებს, ინტეგრირებული გაკვეთილებს უცხოური ენების ჭრილში (გაიხსენეს ერთ-ერთი კულინარიული შეხვედრა, სამიზნე ენის ქვეყნების სამზარეულოს წარდგენა).

დაწყებითი კლასების პედაგოგები კომპლექსური დავალებების განხორციელების ეტაპებს გეგმავენ ისე , რომ ხელს უწყობს მოსწავლეებში გააზრებას, დამახსოვრებას და ცოდნის ფუნქციური გამოყენების შესაძლებლობას. შერჩეულია ისეთი კომპლექსური დავალებები, რომ მოსწავლემ შეძლოს ცოდნის დაკავშირება ყოველდღიურ ცხოვრებასთან, მაგალითად , ,,ფინანსური მათემატიკა (გაყიდვების მენეჯერი ერთი დღით)'' აღნიშნული დავალებაში გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის სწორედ ის საკვანძო ასპექტები, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწვავლების საშუალებას აძლევს მოსწავლეს. ასევე მნიშვნელოვანია ინტეგრირებული გაკვეთილები, რომელიც თავისთავად ხელს უწყობს ცოდნის ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. ***ექსპერტთა შეფასებით, მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ ინტერვიუ სკოლის წარმომადგენლებთან;
- ✓ საგნობრივი კურიკულუმების ნიმუშები;
- ✓ კომპლექსური დავალებები, სასწავლო აქტივობები, პროექტები, ღონისძიებები;
- ✓ სსსმ მოსწავლეებთამ მუშაობის დამადასტურებელი მტკიცებულებები;
- ✓ თვითშეფასების ფორმა.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოებში სავალდებულო თემის ფარგლებში შერჩეული საკითხები მიმართულია გრძელვადიანი მიზნებისკენ, საგნის კონტექსტში მუშავდება კონკრეტული სამიზნე ცნება/ცნებები. „კურიკულუმის დაგეგმვის მეთოდოლოგიის“ თანახმად სამიზნე ცნებებს აზუსტებს მკვიდრი წარმოდგენები, ქვეცნებები, საფეხურის საკვანძო შეკითხვები. რომლებიც დაგეგმილი პროცესის ნაწილია, ვინაიდან მკვიდრი წარმოდგენები შემოსაზღვარავს ცნების არეალს, სწორედ მისგან გადმოთარგმნილი შეფასების კრიტერიუმები აქვს ჩაშლილი დავალების პირობას, რომელიც კარნახობს მოსწავლეს კომპლექსური დავალების შესრულება რა მიმართულებით უნდა მოხდეს. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზიდან და კათედრის წევრებთან ფოკუს-ჯგუფის ფარგლებში განხორციელებული

ინტერვიუს შედეგად ჩანს, რომ კათედრას აქვს გამოცდილება სასწავლო პროცესმა უზრინველყოს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისება საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით.

დაწყებითების საფეხურზე, საზოგადოებრივი მეცნიერებების წარმოამდგენელ საგნებში შექმნილ კურიკულუმებში, შესაბამის ადგილასაა წარმოდგენილი სამიზნე ცნებები. საგან "მე და საზოგადოების" ფარგლებში შექმნილი კურიკულუმის ნიმუშებში, სამიზნე ცნებები სწორადაა გაწერილი და ძირითად საკითხებთან შესაბამისობაც მკაფიოა. ისეა გაწერილი ორივე დოკუმენტი, რომ ადგილზეა ყველა სამიზნე ცნების დამუშავებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო აქტივობები. რაც შეეხება საგან "ჩვენი საქართველოს" ფარგლებში შექმნილ კურიკულუმის ნიმუშებს, დოკუმენტში გაწერილი არ გახლავთ ყველა სასწავლო თემა, შესაბამისად დოკუმენტი დასრულებას საჭიროებს. რა ნაწილიც წარმოდგენილია დოკუმენტში, მასში ასახულია ყველა კომპონენტი და ასევე გაწერილია ყველა სამიზნე ცნების ათვისებისათვის საჭირო საგანმანათლებლო აქტივობები.
მასწავლებლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს მზაობა კომპლექსურ დავალებებში გაწერილი ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები მიემართება სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების დამუშავებას. ***ექსპერტთა შეფასებით, მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

2.წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ კურიკულუმებში წარმოდგენილი თემები და თემების შესაბამისი საკითხები, ხელს უწყობს მოსწავლეთა ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, ასევე სოციო-ემოციური სფეროს განვითარებას. მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებს, ფიზიკური განვითარების დონეს, შესაძლებლობებს. სკოლაში ხორციელდება სხვადასხვა პროექტები და აქტივობები ,მაგალითად, მათემატიკის მასწავლებლები ახორციელებენ კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომლის ფარგლებშიც ქმნიან შემდეგი ტიპის პროდუქტს: წითელქუდას დახმარება ბოქლომის კოდის გაგებაში, რათა მან მგლის მიერ ჩაკეტილი ბებია გაათავისუფლოს.მოსწავლეები მოსწავლეებს უწევთ ერთმანეთთან თანამშრომლობა , უვითარდებათ კომინიკაციის უნარ -ჩვევები. საზოგადოებრივ მეცნიერებებში 2023-2024 სასწავლო წლისთვის სკოლამ შეარჩია პრიორიტეტული თემა: „გარემოს დაცვა"და აღნიშნულის ფარგლებში გეგმავს განახორციელოს აქტივობები რომელიც დااააკმაყოფილებს მოსწავლეთა ასაკობრივ შესაძლებლობებს და მათ ინტერესებს. განავითარებს მოსწავლეთა ფიზიკურ, შემეცნებით და სოციო-ემოციურ სფეროს. სკოლის მიერ წარმოდგენილია საგნობრივი კურიკულუმები სადაც თითოეული თემის ფარგლებში წარმოდგენილი ძირითადი შესასწავლი საკითხები და კომპლექსური დავალებები მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარების ხელშეწყობის საშუალებას იძლევა. მართალია, საგნობრივ კურიკულუმებში ასახულია კომპლექსური დავალების რამდენიმე იდეა, მაგრამ მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ კომპლექსური დავალების განხორციელების დროს მოსწავლეები დიდი ინტერესით ერთვებიან საგაკვეთილო პროცესში, მათთვის ყველაზე სახალისო პროდუქტის შექმნაა, ასევე ხალისით ერთვებიან კომპლექსური დავალების განხორციელების დროს საინტერესო აქტივობებში, მსჯელობენ საკუთარ ძლიერ და სუსტ მხარეებზე, აცნობიერებენ

სხვების პოზიციას და შესწავლილი საკითხიდან გამომდინარე გამოხატავენ ემპათიას სხვების მიმართ, თანაკლასელებთან ამყარებენ პოზიტიურ ურთიერთობებს, უმკლავდებიან სტრესულ და კონფლიქტურ სიტუაციებს, პერსონალურ თუ სოციალურ ქცევებს შორის აკეთებენ ეთიკურ და კონსტრუქციულ არჩევანს. ვფიქრობ ამგვარი ქმედებები ემსახურება მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას, რაც ვლინდება კომპლექსური დავალების განხორციელების დროს. ***ექსპერტთა შეფასებით, მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

3.წარმოდგენილი დაკვირვების კითხვარების, , თვითშეფასების ფორმების საშუალებით დგინდება, რომ შეფასების სისტემა ორიენტირდება არა მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნაზე, არამედ ითვალისწინებს მოსწავლის პიროვნული განვითარებისთვის აქტუალურ ყველა გარემოებას , როგორია მოსწავლის ჩართულობა სასწავლო პროცესში , რა ფაქტორები უწყობს/უშლის სასწავლო პროცესში მოსწავლის აქტიურ მონაწილეობას ხელს , და ა.შ. შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში და განუყოფელი ნაწილია მოსწავლის ყოველდღიური პროცესის; რაც იკვეთება ასევე წარმოდგენილ უკვე განხორცილებულ კომპლექსური დავალების გეგმაში, სადაც პირობაში ჩაშენებულია შეფასების კრიტერიუმები, რომლის საშუალებითაც მასწავლებელი აფასებს თითოეული მოსწავლის მიერ შექმნილ კომპლექსური დავალების პროდუქტს, სამიზნე ცნების თითოეული მკვიდრი წარმოდგენის შესაბამისად. ასევე მოსწავლის თვითშეფასების საშუალებას იძლევა კომპლექსური დავალების ბარათის ბოლოს. მოსწავლეთა ჰოლისტური შეფასების მექანიზმად და მოსწავლეთათვის განმავითარებელი უკუკავშირის მისაცემად, კომპლექსური დავალების პირობაში ჩაშენებულია შეფასების კრიტერიუმები, სადაც შეფასება ცოდნის გაგებასა და გამოყენებაზეა ფოკუსირებული, რაც გულისხმობს შეფასების ორიენტაციას მოსწავლის შესაძლებლობების, უნარების, პოტენციალის განვითარების დინამიკაზე; შეფასების ამოცანები შეესაბამება მოსწავლეების საჭიროებებს და გამომდინარეობს მათგან. ასეთი შეფასება ეხმარება მოსწავლეებს განავითარონ ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები. არსებული შეფასება წარმოადგენს მოსწავლის პროფილის დიფერენცირებულ ანალიზი, რომელიც ავლენს მათ ძლიერ და სუსტ მხარეებს და აძლევს მოსწავლს კონსტრუქციულ უკუკავშირს იმასთან მიმართებაში, თუ როგორ მიმდინარეობს სასწავლო პროცესი და როგორ შეიძლება იმუშაოს არსებულ გამოწვევებზე; წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზიდან და კათედრის წევრებთან გასაუბრებიდან გამოიკვეთა რომ, კათედრას აქვს გამოცდილება და შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე; ***ექსპერტთა შეფასებით, მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

4. შეფასება არის ვალიდური, მოსწავლეებმა იციან, რომ შეფასდებიან მხოლოდ იმ საკითხში, რისი შეფასებაც აქვს მასწავლებელს განზრახული. შეფასება არის გამჭვირვალე , მოსწავლეებმა იციან თუ როგორ შეფასდება მათი შრომა. იციან რა, კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა პასუხმა თუ ნაშრომმა. შეფასების რუბრიკებს ასევე აცნობენ მშობლებსაც. მასწავლებლებს აქვთ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების გამოყენების გამოცდილება. წინასწარ აცნობენ შეფასების

რუბრიკებს მოსწავლეებს. ახალი სასწავლო წლისთვის შერჩეული იქნება კომპლექსური დავალებები, რომელთა აუცილებელ კომპონენტს შეფასების კრიტერიუმები შეადგენს. მოსწავლეებისთვის თავიდანვე ამ კრიტერიუმების შეთავაზება შეფასების სისტემის სანდოობას და გამჭვირვალობას უზრუნველყოფს. როგორც ინტერვიუს დროს აღნიშნეს, პედაგოგებმა სასწავლო წლის დაწყებამდე კათედრის ფარგლებში იქმნება შეფასების კრიტერიუმები, რომლის შედგენაშიც ჩართული არიან აქტიურად მასწავლებლები. შეფასების კრიტერიუმები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების და სასკოლო თემის დაინტერესებული პირების მიერ, ინფორმირებულნი არაინ მშობლები. შეფასების კრიტერიუმების ღიაობა და ობიქტურობა ხელს უწყობს სკოლას ამ მიმართულებით სანდოობის მაღალი ხარისხი ჰქონდეს. გაკვეთილის დასაწყისში მასწავლებლები აცნობენ მოსწავლეებს ამ რუბრიკებს. შეფასების სიხშირეს მონიტორინგს უწევს ადმინისტრაცია ელექტრონული ჟურნალის სისტემატური მონიტორინგის გზით. მოსწავლე აქტიურადაა ჩართული კრიტერიუმების შემუშავების, განხილვის პროცესში, რაც შეფასების ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირვალობას უზრუნველყოფს.

მაგალითად,უცხოურ ენაში „საკომუნიკაციო სიტუაციაში მეტყველების განხორციელება სხვადასხვა მიზნით“ და ა.შ. შეფასების სისტემის გამჭვირვალობაზე მეტყველებს, ის ფაქტი, რომ დამრიგებელი წლის დასაწყისში მოსწავლეებსა და მშობლებს აცნობს სასკოლო სასწავლო გეგმას, რაც მოიაზრებს შეფასების სისტემის გაცნობასაც. გარდა ამისა, კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პირველი ეტაპი, ხომ სწორედ პირობის გაცნობაა, შესაბამისად, შეფასების გამჭვირვალობას ეს ფაქტორიც ადასტურებს..მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ მოსწავლის შეფასების განხორციელებისას, მნიშვნელოვანია ობიექტურობა, და ამიტომ შეფასების სისტემა არის სანდო, ვალიდური, ობიექტური, გამჭვირვალე და სამართლიანი. ***ექსპერტთა შეფასებით, მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

5.სკოლას აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, სადაც გაწერილი აქვთ ყველა განმახორციელებელი რგოლის ვალდებულება. კათედრებზე ხდება მოსწავლის მიღწევების აღწერა და ანალიზი. სკოლაში შეფასების სისტემის ვერიფიკაციაზე პასუხისმგებელია დირექცია, რომელიც ახორციელებს დაკვირვებას სასწავლო პროცესზე და რეკომენდაციებს აძლევს მასწავლებლებს.სკოლას გააზრებული აქვს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის არსებობის მნიშნელობა. სკოლას განსაზღვრული აქვს გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტების ვალიდურობა, სანდოობა, გამჭირვალობა, გაწერილი აქვს გარე და შიდა შეფასების ეტაპები. ***ექსპერტთა შეფასებით, მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

6.სკოლის მიერ წარმოდგენილ თვიშეფასების კითხვარში აღიშნულია, რომ სკოლა იცავს დოკუმენტაციის წარმოებასთან და სკოლაში მათ შენახვასთან დაკავშირებულ რეგულაციებს. კანონის შესაბამისად (2013 წლის 22 აგვისტო 113/ნ ბრძანება) სკოლაში უზრუნველყოფილია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების აღრიცხვა და შენახვა, რაც მტკიცდება წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე. მოსწავლის პირად საქმეში შეტანილია წლიური შეფასებები, ცნობები და საჭიროების შემთხვევაში ექსტერნატზე ინფორმაცია. ხდება ელექტრონული ჟურნლის წარმოება. შეფასებასთან დაკავშირებულ

მონაცემებს, მტკიცებულებებს მასწავლებლები გადასცემენ კათედრას, რომელიც აწარმოებს მათ აღრიცხვას და შენახვას კანონმდებლობის შესაბამისად. რაც შეეხება შემაჯამებელ დავალებებს, მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს, გარკვა რომ სკოლა აწარმოებს შემაჯამებელი დავალების შეფასების ანალიზს, მათ აქვთ თითოეული მოსწავლის ნაშრომი შენახული.
სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვას და არანაკლებ 3 წლის ვადით შენახვას, რაც დადასტურდა გასაუბრების სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით როგორც, მატერიალურად, ასევე ელექტრონულად. სკოლა იცავს დოკუმენტაციის წარმოებასთან და სკოლაში მათ შენახვასთან დაკავშირებულ რეგულაციებს. მოსწავლეთა პირადი საქმეებისა და მათი შეფასებების წესი განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით. ***ექსპერტთა შეფასებით, მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ ინტერვიუ სკოლის წარმომადგენლებთან;
- ✓ საგნობრივი კურიკულუმების ნიმუშები,შეფასების რუბრიკები;
- ✓ სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების დოკუმენტი;
- ✓ შეფასების რუბრიკის ნიმუშები;
- ✓ შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი ;
- ✓ მოსწავლეთა თვითშეფასების ბარათები.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო, კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია კათედრის ყველა წევრი, საჭიროების შემთხვევაში დირექცია აძლევს მეთოდურ დეკომენდაციებს, ხდება მოსწავლეებზე დაკვირვება და მათი ინტერესების გათვალისწინება. პედაგოგებთან გასაუბრების დროსაც იგრძნობოდა მხარდაჭერა, ერთიანობა და გუნდურობა. ხდება სსსმ მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინება, პროექტებსა და ოლიმპიადებში მონაწილეობა მხარდაჭერილია.

სკოლის მისიასა და ხედვაში აისახება მოსწავლის მიმართ მხადამჭერი და მიმღებლობითი გარემო, გარდა ამისა ეს მიმღებლობა გამოხატულია სასწავლო პროგრამებსა და არჩევანის თავისუფლებაში. სკოლა მოსწავლეებს არჩევითად სთავაზობს მეორე უცხოურ ენას: ფრანგულს, გერმანულსა და რუსულს შორის. გარდა ამისა, სკოლაში შემუშავებულია მოსწავლის საჭიროებას მორგებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. სასკოლო დღის რეჟიმის მიხედვით მოსწავლეებს აქვთ შესვენების დრო გაკვეთილებს შორის (შესვენებების ხანგრძლივობა, ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემული ხანგრძლივობის შესაბამისია). სკოლის მიერ წამოდგენილ კურიკულუმებში (დაწყებით სფეხურზე) გათვალისწინებულია მოსწავლი ინდივიდუალური და ასაკობირვი თავისეურება.

სასწავლო წლის დასაწყისში (პედაგოგი საბჭოს 2022 წლის 08 სექტემბრის N1 სხდომაზე) სკოლაში შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელშიც ასახულია ე.ს.გ-ს სწავლა-სწავლების პროცესის ორგანიზების ადმინისტრაციული და კონცეპტუალური საკითხები. გეგმაში გაწერილია სკოლის მისია, მოსწავლის აკადემიური შეფასების წესები, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე. (სასკოლო სასწავლო გეგმა) ასევე სკოლას მტკიცებულებად წარმოდგენილი აქვს ი.ს.გ სადაც დეტალურად არის აღწერილი მოსწავლის განვითარების გზა. გასაუბრების პროცესში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. დანერგილი აქვთ კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი, რეგულარულად ესწრებიან ერთმანეთს. ხორციელდება საგნობრივი პროექტები , რომელიც მოსწავლეს რეალიზების საშუალებას აძლევს. სსსმ მოსწავლეების ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისად შექმნილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. კათედრები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, შექმნილია პოზიტიური გარემო. საგნობრივი კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია კათედრის ყველა წევრი, საჭიროების შემთხვევაში დირექცია აძლევს მეთოდურ რეკომენდაციებს, ხდება მოსწავლეებზე დაკვირვება და მათი ინტერესების და საჭიროებების გათვალისწინება. უზრუნველყოფილია გლობალური ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გამომუშავების ხელშეწყობა, რაც კათედრაზე კომპლექსური დავალებების სწავლებითაა შესაძლებელი . ასევე სკოლაში შექმნილი პოზიტიური გარემო, თანამშრომლობითი კულტურა, მიმღებლობა და ღიაობა, სასკოლო საზოგადოებას ჰარმონიულად განვითარების საშუალებას აძლევს. მასწავლებლები საუბრობენ პრობლემაზე ორიენტირებული კომუნიკაციის პრაქტიკასა და გაზიარებული პასუხისმგებლობებზე, რომ ნებისმიერ მასწავლებელს საშუალება აქვს ისარგებლოს სასწავლო პროცესისაგან თავისუფალი

ფართით ან საერთო სარგებლობის სივრცეებით ნებისმიერ დროს, რათა განახორციელოს მისი ინიციატივები. სასწავლო პროცესთან დაკავშირებული კითხებისთვის ყველას ეძლევა საკმარისი დრო როგორც პედსაბჭოზე, ასევე შეუზღუდავად შეუძლიათ პირადი საუბრები და შეხვედრები როგორც დირექციასთან, ასევე კოლეგებთან. ამისათვის მათ აქვთ ფართი, მუდმივი ინტერნეტი და სასკოლო რესურსი. სკოლის მიერ შემუშავებულია კითხვარები, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეს წახალისებული და გათვალისწინებული იქნას მისი ინიციატივები. პედაგოგებთან გასაუბრების დროსაც იგრძნობოდა მხარდაჭერა, ერთიანობა და გუნდურობა. სკოლაში ხდება სსსმ მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინება. სასწავლო პროცესში შექმნილია მიმღებლობითი და მხარდამჭერი გარემო. სკოლას განხორციელებული აქვს პროექტები: „ ზოოკლუბი“, „ ნორჩი მეგობრები“, სადაც ნებისმიერ მოსწავლეს მათი ეთნიკური და რელიგიური კონფენსის მიუხედავად, მიეცათ საშუალება ჩართულიყვნენ აქტივობების განხორცილების პროცესში.

სკოლის უმთავრესი ღირებულებაა ის, რომ თანამშრომლობა წარმატებით ხორციელდება სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს შორის, სკოლა ნამდვილად ერთი გუნდია, სადაც ერთის წარმატება ყველას წარმატებადაა მიჩნეული და ყველა ერთმანეთის ხელშემწყობია.სკოლა, თავისი რელიგიური და ეთნომრავლფეროვანი გარემოდან გამომდინარე, ქმნის ტოლერანტობაზე დამყარებულ პოზიტიურ სასწავლო გარემოს, სადაც ნებისმიერი ეთნიკური წარმომავლობისა თუ რელიგიური კონფესიის ადამიანი თავს გრძნობს სასკოლო საზოგადოების ღირსეულ ნაწილად, სკოლაში სწავლობს ხუთი მოლდოველი, ერთი თურქი, ორი სომეხი ეროვნების წარმომადგენლები, ისინი მოიაზრებიან სკოლის ერთიანი გუნდის წევრად, რომელსაც უსმენენ, აფასებენ, ხელს უწყობენ, ეხმარებიან, თანამშრომლობენ, იზიარებენ და უზიარებენ შეხედულებებს, რაც, საბოლოოდ, დემოკრატიულ ღირებულებებზე აღზრდილი პიროვნების ფორმირებას უწყობს ხელს.- ვკითხულობთ თვითშეფასების ფორმაში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე შეიძლება ითქვას რომ სკოლაში ტარდება სხვადასხვა სახის ღონისძიებები, გამოფენები. სკოლაში აქტიურად მიმდინარეობს საკლუბო მუშაობა - ფოლკლორის კლუბი ,,საუნჯე“, კლუბი ,,კინო სკოლაში“- რომლებშიც მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული.

ასევე წარმოდგენილია სკოლის მიერ ნებადართული წრეობრივი საქმიანობები.სიმღერის, გალობის, ხელოვნების, სპორტული ცეკვების, სამეჯლისო ცეკვების, უცხო ენების, გახანგრძლივებული სწავლების, ფრენბურთის და ა.შ. წრეები. ყოველივე ეს მიანიშნებს, რომ სასკოლო საზოგადოება ცდილობს იზრუნოს მოსწავლის პიროვნულ და აკადემიურ წინსვლაზე. ***ექსპერტთა შეფასებით, მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

2.დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩოში შერჩეული კომპლექსური დავალებები უზრუნველყოფენ მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს, სადაც წამყვანია მოსწავლის ავტონომიურობა, არჩევანი,

წინარე გამოცდილება და თვითრეგულაცია. მასწავლებლები ორიენტირებულები არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. კურიკულუმის ჩარჩოებში განსაზღვრულია თემები, თემის ფარგლებში შერჩეული საკითხები, კომპლექსური დავალებები, რომელთა გაწერა სექტემბრამდე იგეგმება შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად. საჭიროების შემთხვევაში სკოლა შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს, წაახალისებს ინტეგრირებულ გაკვეთილებს და პროექტებში მონაწილეობას. სკოლას 2023- 2024 სასწავლო წლისთვის შერჩეუული აქვს პრიორიტეტული თემა გარემოს დაცვა, რომლის ფარგლებში სკოლა გეგმავს საკოლო პროექტის განხორციელებას სადაც აქტიურად იქნება ჩართული დაწყებითი კლასის მოსწავლეები. სკოლაში ფუნქციონირებს ეკო კლუბი, სამოქალაქო განათლების კლუბი, კითხვის კლუბი და ფოლკლორის კლუბი, სადაც ხდება მოსწავლეების შესაძლებლობების და ინტერესების გათვალისწინებით გეგმავს და ახორციელებს აქტივობებს. ის, რომ სასწავლო პროცესის ცენტღში დგას თითოეული მოსწავლე და მის მიერ მიღწეული შედეგი ეს აისახება დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში, კერძოდ ,შემოთავაზებულ კომპლექსურ დავალებებსა და დავალებების იდეებში. მაგალითად, მეორე ენის, მიმართულებით, „ჩემი ცხოვრება და ჩემი ოჯახი“, აღნიშნული დავალების შესასრულებლად, მოსწავლე საკუთარ ინტერესებს, საკუთარ გამოცდილებას უკავშირდება, მისი მზადება ამ დავალების შესასრულებლად კი (ეტაპების გავლისას), მხარდაჭერილია მასწავლებლის მხრიდან. თვითშეფასების კითხვარში აღნიშნულია, რომ მოსწავლეების შეფასება დაწყებით საფეხურზე ხდება განმავითარებელი შეფასებით,სწავლა-სწავლების პროცესში გათვალისწინებულია დიფერენცირებული მიდგომა. ინტერვიურების დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ თითოეული მოსწავლე დგას სასწავლო პროცესის ცენტრში, ისინი მდმივად ცდილობენ მოსწავლის მხარდაჭერასა და მასზე ორიენტირებას. ***ექსპერტთა შეფასებით, მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

3.სკოლაში სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურას და კომუნიკაციას. ხდება მასწავლებელთა შეხვედრები, პრაქტიკის გაზიარება, სიახლეების დანერგვა. სკოლაში ხორციელდება ურთიერთდასწრება გამოცდილების გაზიარების მიზნით. სკოლამ განახორციელა მასწავლებლების, მოსწავლეების და მშობლების გამოკითხვა, რათა მაქსიმალურად ყოფილიყო გათვალიწინებული სასკოლო საზოგადოების ინტერესები და სურვილები სკოლის განვითარების პროცესში. გეგმავენ, რომ მასწავლებელთა შეხვედრები იყოს უფრო ხშირი და შინაარსობრივი, პროდუქტიული. სკოლის ფარგლებში თანამშრომლობითი კულტურის შესახებ წარმოდგენას გვიქმნის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისათვის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმა ,რომელშიც ჩართულია პედაგოგები ყველა სკოლა აქტიურად თანამშრომლობს თემში ინოვაციის და ტექნოლოგიების ცენტრთან, კოლეჯ „ჰორიზონტთან“ და თემში არსებულ სხვადასხვა დაწესებულებებთან, რასაც მოწმობს ერთობლივად დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობები. კათედრის წევრებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მაღალია კათედრის წევრებს შორის ურთიერთთანამშრომლობა და კომუნიკაცია. სისტემაიურად ხდება ერთობლივი

ინტეგრირებული აქტივობების დაგეგმვა განხორციელება, რესურსების შექმნა, წარმატებული პრაქტიკის და გამოცდილების გაზიარება.ასევე მნიშვნელოვანია, აღნიშნული მიმართულებით სკოლის მიერ ჩატარებული პატარა კვლევა, „სასკოლო კულტურა და მენეჯმენტი“, კველვაში გამოკვეთილად უსვამენ ხაზს მასწავლებლები (სამიზნე ჯგუფი), რომ გამოცდილებას მუდმივად უზიარებენ ერთმანეთს, გამოთქვამენ სურვილს, რომ იყოს ანონიმური გამოკითხვები მასწავლის შესახებ და შედეგები გადაეცეს მასწავლებელს, რათა მან იზრუნოს გაუმჯობესებაზე. ამასთანავე, თანამშრომლობით კულტურაზე მეტყველებს ერთობლივად შექმნილი და გაზიარებული კურიკულუმები. ***ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

4 . სკოლა ზრუნავს პოზიტიური სასწავლო კლიმატის დამკვიდრებაზე, თანამშრომლობითი კულტურის გაღრმავებაზე. სკოლა გეგმავს თანამშრომელთა წახალისებისა და მასტიმულირებელი სისტემის ამოქმედება, წარმატებული მოსწავლეების წახალისება, უსაფრთხო, ორგანიზებული და კარგად დისციპლინირებული გარემოს შექმნა, საგაკვეთილო პროცესის მოდერნიზაცია და ინტეგრირებული სწავლება ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით და ა. შ. მასწავლებელთა საქმინობიდან, სასკოლო კურიკულუმებიდან, ინტერვიურებიდან ჩანს, რომ პოზიტიური კლიმატი სკოლის ადმინისტრაციის და მასწავლებლების მთავარი საზრუნავია და მრავალფეროვან აქტივობებს და ღონისძიებებს გეგმავს, ახორციელებს აღნიშნული საკითხის უზრუნველსაყოფად. სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილი აქვს ისეთი აქტივობები, რომელიც ხელს უწყობს პოზიტიური კლიმატის შექმნას სკოლისა და კლასის დონეზე. მაგ. გარდა კურიკულარული პროცესებისა სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს დამატებით საგანმანათლებოლო და სააღმზრდელო მომსახურებას, რომელიც მოსწავლის პიროვნულ ზრდაზე არის მიმართული.ატარებენ საკლასო თუ სასკოლო ღონისძიებებს. მაგალითად, კონფერენცია :“ რა , სად ,როდის „. ყველაზე ჭკვიანი’’, სადაც გამოყენებულია სახალისო მათემატიკური ამოცანები. მასწავლებლები იყენებენ შინაგანი და გარეგანი მოტივაციის ამაღლების სხვადასხვა ხერხებს, გამჭვირვალე განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასების რუბრიკებს, მოსწავლეთათვის მიცემულ პოზიტიურ უკუკავშირს და ა.შ. თავიანთი სწავლებით და დადებითი მაგალითებით მოსწავლეებს უღვივებენ ცოდნის დაუფლების წყურვილს. სასწავლო პროცესი არის არა მოსაწყენი და რუტინული სამუშაო, არამედ ცოცხალი, ხალისიანი, საინტერესო და ახალი ცოდნის მიღებაზე ორიენტირებული. სკოლაში ყველა მოსწავლეს აქვს კითხვაზე პასუხის გაცემისა და დისკუსიაში მონაწილეობის თანაბარი შესაძლებლობა; მოსწავლეთა ნაშრომების შეფასებისას სკოლის მასწავლებლები იყენებენ ობიექტურ კრიტერიუმებს, დიდ ყურადღებას უთმობენ იმას, თუ რა პრინციპით ახდენენ მოსწავლეთა წახალისებას. სკოლაში დაცულია სისუფთავე და სანიტარული ნორმები. სასკოლო და საკლასო გარემოს გაუმჯობესებაში აქტიურად არან ჩართული მოსწავლეები, რასაც მოწმობს ეკო კლუბის მიერ დაგეგმილი და განხორციებული აქტივობები. რაც

ხელს უწყობს სასკოლო და საკლასო გარემოს მიმართ მათი პასუხისმგებლობის გრძნობის გაღრმავებას. ***ექსპერტთა შეფასებით, მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ ინტერვიუ სკოლის წარმომადგენლებთან;
- ✓ საგნობრივი კურიკულუმების ნიმუშები;
- ✓ პედსაბჭოს ოქმი;
- ✓ სამეურვეო საბჭოს ოქმი;
- ✓ სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების დოკუმენტი;
- ✓ სკოლის შინაგანაწესი;
- ✓ კომპლექსური დავალებები;
- ✓ პროექტები;
- ✓ წრეების ნუსხა, ფოლკლორის კლუბი ,,საუნჯე, კლუბი ,,კინო სკოლაში“.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.ვიზიტის პერიოდში, აღნიშნული მიმართულებით დაინტერესდა ექსპერტთა ჯგუფი, სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ კათედრა მუდმივად იკრიბება და აანალიზებს განვლილ სამუშაოებს, მაგალითად მოსწავლეთა შემაჯამებელ დავალებებს , შემდეგ საჭიროების შესაბამისად გეგმავს სხვდასხვა აქტივობას. სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტის სახით "სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია" სადავ არსებული ჩანაწერიდან დგინდება, რომ სასკოლო კურიკულუმის განვითარება უწყვეტი პროცესია. ის გულისხმობს შემდეგი ფაზების ყოველწლიურ მონაცვლეობას: ა) კურიკულუმი შემუშავება; ბ) დანერგვა; გ) დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება; დ) გადასინჯვა და რევიზია .სკოლას გაწერილი აქვს დეტალურად თუ როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი და შეფასება და რომელ პრინციპებს უნდა დაეყრდნოს. დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება კურიკულუმის განვითარების პროცესის განუყოფელი ნაწილია იმის აღწერა, თუ: - რამდენად მიმდინარეობს პროცესები დაგეგმილი ჩარჩოს ფარგლებში (მონიტორინგი); - რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი (შეფასება)? სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან. კვლევა და შეფასება ტარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით (ვადები, ინსტრუმენტები) და წარიმართება სამი მიმართულებით: - მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად; - სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობელების გადაჭრისთვის); - სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის) ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით სკოლას დოკუმენტში გაწერილი აქვს პროცესი დეტლურად და უზრუნველყოფს მონიტორინგს და შეფასებას განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად. ***ექსპერტთა შეფასებით, მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

2. სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგსა და შეფასებას აქვს მხარდამჭერი ფუნქცია. მისი მიზანი არის სასკოლო საზოგადოებას დაეხმაროს სასწავლო შედეგების მიღწევაში, უკეთესი გარემოს შექმნაში. მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ მეთოდური მიდგომის მთავარ მიზანს წარმოადგენს გამოვლენილი პრობლემების გადაჭრა. ასევე სკოლის თვითშეფასებით დასტურდება, რომ მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება პრობლემის აღმოფხვრის მიზნით. სკოლაში უწყვეტად მიმდინარეობს შეფასების პროცესი, რომლის საფუძველზეც ხდება საჭიროებების გამოვლენა და ინტერვენციების დაგეგმვა, თუკი გადაჭრის გზები არ აღმოჩნდება ქმედითი, ხდება ახალი ფორმების, ინსტრუმენტების ძიება, რომლებიც სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერაზე არის ორიენტირებული.

მეთოდოლოგიის დოკუმენტში ხაზგასმული არის სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობის გაძლიერება ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას წარმოადგენს. ამ მიზნით სკოლაში შექმნილია ხარისხის მართვის ჯგუფი. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებ სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და დაგეგმის მეთოდოლოგია და „შიდა საქმიანობის ხარისხი"- იკვეთება, რომ ხარისხის უზრუნველყოფა გულისხმობს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასთან, განხორციელებასთან და შემდგომ მის შეფასებასთან დაკავშირებული აქტივობების გაუმჯობესებისკენ მიმართული ღონისძიებების ერთობლიობას, აგრეთვე, ხარისხის უზრუნველსაყოფად საჭიროა პროგრამების, მიმდინარე სასწავლო პროცესის სისტემატური გადახედვა, კონტროლი რათა შენარჩუნებული იქნას ხარისხი და ეფექტურობა და სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფისა და მუდმივი გაუმჯობესების მიზნით, სკოლა მუდმივად ახორციელებს სასწავლო პროგრამების განხორციელების შეფასების და შემდგომი გაუმჯობესების, ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის და სკოლის მატერიალური რესურსების გაუმჯობესებას. შესაბამისად სკოლა აქვს მზაობა და გაწერილი საქმიანობების თანამიმდევრობა, როგორ უზრუნველყოს მონიტორინგისა და შეფასების შედეგების გათვალისწინებით სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერა და დახმარება. ***ექსპერტთა შეფასებით, მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

3.კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის ინსტრუმენტში ინსტრუმენტში ხაზგასმული არის, რომ მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სხვადასხვა პრობლემების მოგვარებას: მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ხდება სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოკვეთილი პრობლემების გადასაჭრელად; პედაგოგიურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებას და მათ გადაჭრას ემსახურება სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიულ განვითარებაზე დაკვირვება .

მონიტორინგი და შეფასება მუდმივი პროცესია და სასკოლო საზოგადოების განვითარებაზე არის ორიენტირებული.

ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა შედეგებს მუდმივად იყენებენ მომავალი სამუშაოს დაგეგმვისათვის. ისინი ხშირად ხვდებიან მოსწავლეებს ინდივდუალური საჭიროებიდან გამომდინარე. მასწავლებლებთან გასაუბრებით ასევე დადგინდა, რომ მონიტორინგის მიზნით სკოლა ატარებს დიაგნოსტიკურ ტესტირებებს, რაც ემსახურება მომდევნო სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დახვეწას , გამოვლენილი სირთულეების გაანალიზებას .სკოლის მიერ წარმოდგენილია დოკუმენტი "სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია", სადაც დეტალურადაა გაწერილი ფუნქციები, პასუხისმგებლობები სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის; განსაზღვრულია სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში მონაწილეობის ფორმები - ფუნქციებსა და პასუხისმგებლობებს შორის, რომლებიც სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში გამოიკვეთება ზოგიერთი თანხვედრაშია სასკოლო საზოგადოების წევრების ყოველდღიურ საქმიანობასთან, ზოგიერთი კი - მათ დირექტორის სპეციალური ბრძანებით

დაევალებათ. მოხდება აღწერა, თუ: - რამდენად მიმდინარეობს პროცესები დაგეგმილი ჩარჩოს ფარგლებში (მონიტორინგი); - რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი. კვლევა და შეფასება ჩატარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით. მოხდება მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად; - სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობლების გადაჭრისთვის); - სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის) აღნიშნული დოკუმენტაციის ანალიზიდან შეგვიძლია დავადგინოთ , რომ სკოლაში კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას. ***ექსპერტთა შეფასებით, მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ კურიკულუმის დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- ✓ საგნობრივი კურიკულუმების ნიმუშები;
- ✓ სხვა საგნობრივი კათედრების სხდომის ოქმები;
- ✓ პედაგოგებთან პირადი გასაუბრება;
- ✓ სკოლის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
- ✓ სკოლის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის ბრძანება N2-21;
- ✓ სკოლის თვითშეფასების ანალიზი;
- ✓ ვერიფიკაციის მექანიზმი.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების პროცესის შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, როგორც მეთოდოლოგიის დოკუმენტში არის აღნიშნული ინფორმაციის შეგროვება ხდება სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფებისაგან: მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნულ სასწავლო გეგმასთან მიმართებაში, ასევე ინფორმაცია გროვდება პედაგოგებზე დაკვირვების გზით მათი პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირების მიზნით, მიმდინარეობს სკოლის ინსტიტუციური განვითარების კვლევა თანამშრომლობითი პროცესების გაღრმავების მიზნით. შეფასების პროცესში ჩართული არის სკოლის კათედრა, რომლებიც უზრუნველყოფენ შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენებას, კათედრის წევრები მხარს უჭერენ და ახორციელებენ ჰოლისტურ მიდგომებს.

სკოლაში შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, კერძოდ: როგორც კომპლექსურ დავალებებს,ასევე შემაჯამებელ სამუშაოებს. აღნიშნული დავალებების შეფასება ხორციელდება წინასწარ შეთანხმებული ინსტრუმენტებითა და გაწერილი რუბრიკების მიხედვით. მაგალითად, დაწყებით საფეხურზე, კომპიუტერულ ტექნოლოგიებში განმავითარებელი შეფასებისათვის იყენებს როგორც სოლო ტაქსონომიას , ასევე კომენტარებს. ***ექსპერტთა შეფასებით, მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

2. სასკოლო კურიკულუმის შეფასება ხორციელდება მრავალფეროვანი კონტექსტების გათვალისწინებით. როგორც კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში არის აღნიშნული, დოკუმენტის განვითარების პროცესში მრავალი მხარე არის ჩართული: მოსწავლეები, მშობლები, მასწავლებლები, დირექცია. მაგალითად, დაკვირვების საგანი არის რამდენად გაუმჯობესდა წინა მოსწავლეთა შედეგები, რა იყო მშობლებთან კომუნიკაციის ხელისშემშლელი ფაქტორები, რა

ფაქტორები უშლიდა ხელს დირექციას მასწავლებლების პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირებაში და ა. შ. თვითშეფასების კითხვარის მიხედვით იკვეთება, რომ სკოლაში მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა მოსწავლეთა უნარებზე დაკვირვებას და შედეგების მოდიფიცირებას.
სკოლის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებში ჩანს რომ საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში სხვადასხვა თემატიკაზე ხორციელდება პროექტები. აღნიშნული აქტივობები კი იძლევა საშუალებას მოსწავლის სხვადასხვა კონტექსტში შეფასებას.
ითვალისწინებენ რა ,მოსწავლეების სხვადასხვა უნარებსა და შესაძლებლობას . რაც შესაძლებობას აძლევს მასწავლებლებს, გამოკვეთოს მოსწავლის მრავალმხრივი შესაძლებლობა და ინტერესი. გასაუბრების დროს გაირკვვა, რომ მასწავლებლები გამოთქვამენ მზაობას დახვეწონ და განავითარონ შეფასების რუბრიკები.კათედრის წევრებთან გასაუბრების შემდეგ და წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების და შეფასების რუბრიკების, აგრეთვე სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგის მიხედვით სკოლაში შეფასება განხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით; ***ექსპერტთა შეფასებით, მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

3. სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების პროცესში გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი ინფორმაციის შეგროვების მიზნით: დაკვირვება, დიაგნოსტირების მეთოდები, ხდება შედეგების ანალიზი. კურიკულუმის მეთოდოლოგიით განსაზღვრული არის სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისა და მათგან უკუკავშირის მისაღებად სხვადასხვა არხების გამოყენება: ელექტრონული ფოსტა, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა, სკოლის ფეისბუქ-გვერდი, ბეჭდვითი სიტყვა, საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიური ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან. მასწავლებლები ცდლობენ გაიგონ მოსწავლეების, მშობლების და მასწავლებლების აზრი სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხეთან დაკავშირებით. ამისთვის იყენებენ გამოკითხვას, ინტერვიუს , დაკვირვებას, ფოკუს ჯგუფებს . შეფასების პროცესში ჩართული არიან მოსწავლეებიც. მასწავლებლებს მიეცათ რეკომენდაცია უფრო მეტად მრავალფეროვანი მეთოდები გამოიყენონ მოსწავლეთა მონაცემების შეგროვებისას. ***ექსპერტთა შეფასებით, მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***
4. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში: „ სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“- ასახულია რომ შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით. მოსწავლეთა შეფასების, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების და კურიკულუმის განვითარების მიზნით. სკოლა გეგმავს მათ მიერ შემუშავებული შეფასების სისტემა მორგებული იყოს მოსწავლეთა ინტერესებზე, შესაძლებლობებზე, საჭიროებებზე, რესურსებს წვდომასა და სხვა ფაქტორებზე .სამომავლოდ გეგმავენ შექმნან შეფასების ერთიანი ბაზა. ***ექსპერტთა შეფასებით, მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ ინტერვიუ სკოლის წარმომადგენლებთან , ვერიფიკაციის მექანიზმი
- ✓ საგნობრივი კურიკულუმების ნიმუშები
- ✓ სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების დოკუმენტი
- ✓ საზოგადოებრივ მეცნიერებებში შემავალ საგნებში წარმოედგენილი დოკუმენტაცია
- ✓ სკოლის კურიკულუმის დანერგვის მეთოდოლოგია

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის რევიზიის მნიშვნელობა და განხორციელების წესი დეტალურადაა წარმოადგენილი წარმოდგენილ დოკუმენტში - "კურიკულუმის მეთოდოლოგია". მასში გაწერილია ნაბიჯები, რომელზე დაყრდნობითაც უნდა მომხდარიყო კურიკულუმის ეტაპობრივი განვითარება. კურიკულუმის განახლება და განვითარება ხდება მთელი წლის განმავლობაში, სასწავლო წლის განმავლობაში, შეგროვილი მონაცემების საფუძველზე. პედაგოგებისა და სკოლის წარმოამადგენელთა განცხადებით, სკოლა კურიკულუმის განვითარების მიზნით მომავალი სასწავლო წლის განმავლობაში გეგმავს სადიაგნოსტიკო შეფასების წარმოებას. მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავებისათვის სარეკომენდაციო პაკეტი იქმნება რამდენიმე კომპონენტზე დაყრდნობით, რაც დეტალურადაა გაწერილი სკოლის მიერ შემოთავაზებული დოკუმენტის ფარგლებში. აღნიშნული კომპონენტებია, კათედრული მუშაობა, მოსწავლეთა ჩართულობის გაანალიზება, მოსწავლეთა შეფასებებზე დაკვირვება და პროგრესის დიაგნოსტირება, ასევე დირექციის ჩართულობა პროცესში. სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმაში დეტალურად არის გაწერილი ამოცანები, აქტივობები, შესრულების ვადები და პასუხისმგებელი პირები, მაგალითად გაწერილია საგნობრივი კათედრის მუშაობის პრინციპები, სადაც მასწავლებლებმა საგნობრივ კათედრებზე უნდა შეიმუშაონ საგნობრივი კურიკულუმები. ამ ეტაპზე სკოლაში მიმდინარეობს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის განსზღვრა, რომლის მიხედვითაც კათედრები მომავალი სასწავლო წლისათვის შექმნიან ახალ კურიკულუმს (სასკოლო სასწავლო გეგმა).

ჩანს, რომ სკოლას გაცნობიერებული აქვს კურიკულუმის რევიზიის მნიშვნელობა და განხორციელების წესი, რომელიც დეტალურადაა წარმოდგენილი დოკუმენტში - "კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია". მასში გაწერილია ნაბიჯები, რომელზე დაყრდნობითაც უნდა მოხდეს კურიკულუმის ეტაპობრივი განვითარება. კურიკულუმის განახლება და განვითარება ხდება მთელი წლის განმავლობაში, სასწავლო წლის განმავლობაში, შეგროვილი მონაცემების საფუძველზე. მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავებისათვის სარეკომენდაციო პაკეტი იქმნება რამდენიმე კომპონენტზე დაყრდნობით, რაც დეტალურადაა გაწერილი სკოლის მიერ შემოთავაზებული დოკუმენტის ფარგლებში. აღნიშნული კომპონენტებია, კათედრული მუშაობა, მოსწავლეთა ჩართულობის გაანალიზება, მოსწავლეთა შეფასებებზე დაკვირვება და პროგრესის დიაგნოსტირება, ასევე დირექციის ჩართულობა პროცესში. აღნიშნული დოკუმენტაციის ანალიზიდან და გასაუბრებიდან გამომდინარე ექსპერთა შეფასებით სკოლა კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტის მიხედვით განახორციელებს მის განვითარებას. ***ექსპერტთა შეფასებით, მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

2.კურიკულუმის გადამუშავების პროცესი გაწერილია სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში, ასევე თვითშეფასების ფორმაში წარმოდგენილია, კურიკულუმში განხორციელებული რევიზიის კონკრეტული მაგალითები. კურიკულუმის რევიზია ეყრდნობა წინარე გამოცდილებას. დოკუმენტის მიხედვით სკოლის ფარგლებში კურიკულუმის გადამუშავება ხორციელდება საგნობრივ კათედრებზე, სადაც პედაგოგთა ჯგუფი ხელმძღვანელობს რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინებით. განიხილება მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხი სასწავლო პროცესში, ასევე მოსწავლეთა შედეგებზე დაკვირვებით დგინდება კურიკულუმით განსაზღვრულმა საგანმანათლებლო აქტივობებმა რამდენად გამოიწვია მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესება. მშობელთა ჩართულობის ხარისხის გაანალიზება და ასევე მათი ინფორმირების მექანიზმების ეფექტურობის. კურიკულუმის გადამუშავების პროცესი გაწერილია სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში " სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია". კურიკულუმის რევიზია ეყრდნობა წინარე გამოცდილებას. დოკუმენტის მიხედვით სკოლის ფარგლებში კურიკულუმის გადამუშავება ხორციელდება საგნობრივ კათედრებზე, სადაც პედაგოგთა ჯგუფი ხელმძღვანელობს რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინებით. განიხილება მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხი სასწავლო პროცესში, ასევე მოსწავლეთა შედეგებზე დაკვირვებით დგინდება კურიკულუმით განსაზღვრულმა საგანმანათლებლო აქტივობებმა რამდენად გამოიწვია მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესება. მშობელთა ჩართულობის ხარისხის გაანალიზება და ასევე მათი ინფორმირების მექანიზმების ეფექტურობის შეფასება. შესაბამისად სკოლა კურიკულუმის გადამუშავების პროცესში დაეფუძნება წინარე გამიცდილებას და გაითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. ***ექსპერტთა შეფასებით, მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ დოკუმენტი - კურიკულუმის მეთოდოლოგია;
- ✓ საგნობრივი კურიკულუმის ნიმუშები;
- ✓ სკოლის მასწავლებლებთან ინტერვიუ.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის მიერ წარმოდგენილია სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია. დოკუმენტში ჩაშლილია კურიკულუმის შემადგენელი ნაწილებისა და კომპონენტების შესახებ ინფორმაცია. აღწერილია, თუ რა პრინციპებს ეფუძნება კურიკულუმის განვითარება. მასში წარმოდგენილი და განსაზღვრულია დოკუმენტის დამუშავებისას, რა ფუნქცია-მოვალეობები ეკისრება დირექციასა და პედაგოგებს. მასწავლებელებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტები. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხვედრულებების, შესაძლებლობების და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგია. სკოლის კურიკულუმის განვითარების პროცესი მოიცავს ოთხ ეტაპის : 1. დაგეგმვა ; 2. დანერგვის; 3. დანერგვისპროცესის მონიტორინგი და შეფასება ;

4. რევიზიის ეტაპი.სკოლას წარმოდგენილი აქვს კითხვარები მასწავლებლებისთვის, მოსწავლეებისთვის და მშობლებისთვის, რომლის საშუალებით მოახდინეს სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების და პრიორიტეტების იდენტიფიცირება, რომლის გათვალისწინებაც მოხდება სკოლის კურიკულუმის შემუშავების პროცესში. ***ექსპერტთა შეფასებით, მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

2. სკოლის მიერ წარმოდგენილია „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“, სადაც აღწერილია როგორ ხდება კურიკულუმის შემუშავებისა და განხორციელების დროს სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება. გასაუბრების დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო წლის განმავლობაში ხდება მოსწავლეთა ინტერესებზე დაკვირვება, მასწავლებელი ქმნის კურიკულუმის სამუშაო ვერსიას, რომლის დაზუსტება და გაუმჯობესება ხდება სასკოლო კათედრების სხდომებზე, ხოლო კურიკულუმის შემუშავებასა და მოდიფიცირებაში, ასევე, აქტიურად არიან ჩართულები სკოლის დირექციის წევრები, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში მასწავლებლებს აძლევენ მეთოდურ რეკომენდაციებს. შემუშავებულია კომპლექსური დავალების ბარათები, რაც მიუთითებს მშობლების ჩართულობაზე. ინტერვიუს დროს ნათელი გახდა, რომ კათედრების წევრები კურიკულუმის შემუშავების პროცესის უშუალო მონაწილენი არიან, გამოკვეთილი აქვთ სასკოლო საზოგადოების ინტერესები, რაც გათვალისწინებული იქნება სასკოლო კურიკულუმის შექმნის პროცესში. მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით მოხდება სსსმ მოსწავლეებისათვის რესურსების შერჩევა და დავალებების მოდიფიცირება. საბუნებისმეტყველო კათედრის წევრების გასაუბრების და დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაციის მიხედვით, კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები.
სკოლას შექმნილი აქვს კითხვარები: მასწავლებლებისთვის, მოსწავლეებისთვისა და მშობლებისთვის, რაც გულისხმობს რომ სკოლას აქვს მზაობა სასკოლო კურიკულუმების შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების ასახოს ინტერესები. გარდა ამისა, უცხოური ენის შესწავლა სკოლაში მიმდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმისა და უცხოური ენის საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად, პირველი უცხოური ენა არის ინგლისური, მეორე უცხოური ენა არის გერმანული. ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, სკოლაში, პირველი უცხოური ენის შესწავლა იწყება პირველ კლასში, ხოლო მეორე უცხოური ენის შესწავლა კი მეხუთე კლასში. არჩევით საგნად კი სკოლა მოსწავლეებს, სწავლების მესამე საფეხურზე სთავაზობს ფრანგულ ენას, რაც თავისთავად გულისხმობს მოსწავლეთა (სასკოლო საზოგადოების) ინტერესის გათვალისწინებას; გეოგრაფიის პედაგოგმა ინტერვიუს პროცესში აღნიშნა, რომ VIII კლასის მოსწავლეებმა განსაკუთრებული ინტერესი გამოხატეს, ერთი კონკრეტული საგნობრივი საკითხის მიმართ, პედაგოგმა გადაწყვიტა გაეთვალისწინებინა მოსწავლეთა ინტერესი და ამ საკითხს მიუძღვნა კომპლექსური დავალება და ასახა კურიკულუმში. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.

პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ წლის ბოლოს ტარდება გამოკითხვა თუ რამდენად კმაყოფილი არიან მოსწავლეები კომპლექსურ დავალებებზე მუშაობით, რა მოსწონთ, რა უადვილდებათ, რა არ მოსწონთ, რისი შეცვლის ან დამატების სურვილი აქვთ. აღნიშნულ მტკიცებულებებს მასწავლებლები იყენებენ კურიკულუმის შექმნის პროცესში.სამომავლოდ სკოლას აქვს აქვთ მზაობა, კურიკულუმში ასახოს მოსწავლეთა ინტერესები, მათი უკუკავშირი, შესაძლებლობები, განვითარების არსებული დონე და აპირებენ შეიმუშაონ განვითარების პოტენციურ დონეზე გადასვლის პერსპექტივა. ***ექსპერტთა შეფასებით, მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

3. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში-"კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია",დეტალურად არის აღწერილი, როგორ ხდება ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. გამოკვეთილია რა როლი და ფუნქცია აქვს მასწავლებელს, კათედრის ხელმძღვანელსა და დირექციის წარმოამადგენლებს. მეთოდოლოგიაში ვკითხულობთ, რომ კურიკულუმი შემუშავებული იქნება სასკოლო საზოგადოების მიერ. ისინი გაითვალისწინებენ წინა წლის მიღწევებს და ცდილობენ ახალი სტრატეგიების შემუშავებით ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებისკენ სვლას. უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ჩართულობა ამ პროცესში, აქტიური უკუკავშირი მათთან .კურიკულუმში დაგეგმილია კომპლექსური დავალებები, რაც განათლების თანამედროვე პარადიგმების განხორციელების საშუალებას იძლევა, ეს კი თავისთავად გულისხმობს თითოეულ მოსწავლეზე ორიენტირებულობას. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლის მხარდამჭერ გარემოს ქმნის საინტერესო აქტივობებით და მოსწავლეებთან პოზიტიური დამოკიდებულებით, ითვალისწინებენ და წაახალისებენ მათ ინიციატივებს. წარმოდგენილი დოკუმენტის და გასუბრების შედეგების დროს მიღებული ინფორმაცის თანახმად, სასკოლო კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. ***ექსპერტთა შეფასებით, მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

4."კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია'' რომლის საფუძველზე, იკვეთება რომ სასკოლო საზოგადოების ყველა წარმომადგენელი, როგორც დირექცია და პედაგოგები, ასევე მშობლები და მოსწავლეები, აცნობიერებენ კურიკულუმის მნიშვნელობასა და ფუნქციას. შესაბამისად, დოკუმენტი საჯაროა და მასზე თავისუფალი წვდომა აქვს სასკოლო საზოგადოების თითოეულ წარმოამდგენელს. კურიკულუმის გაზიარება ხდება კათედრაზე, მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფის შეხვედრებზე. მშობლებთან კომპლექსური ბარათების გაზიარება ხდება ონლაინ სივრცეში თიმსისა და მესენჯერის ჯგუფებში. ექსპერტთა შეფასებით კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადობის მიერ. ***ექსპერტთა, შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ დოკუმენტი - "კურიკულუმის მეთოდოლოგია";

- ✓ სკოლის წარმომადგენლებთან ინტერვიუ;
- ✓ საგნობრივი კურიკულუმის ნიმუშები;
- ✓ სკოლის მშობელთა კრების ოქმი;
- ✓ თვითშეფასების ფორმა;
- ✓ გზამკვლევი პედაგოგებისთვის, გაიდლაინი მშობლებისათვის;
- ✓ გზამკვლევი მოსწავლეებისათვის, მშობლის ბარათი;
- ✓ შეფასების რუბრიკები;
- ✓ სასკოლო სასწავლო გეგმა.

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.საბაზო საფეხურზე 2023-2024 სასწავლო წლისთვის კურიკულუმის ჩარჩოები, სადაც რიგ სავალდებულო თემებში შერჩეული საკითხების საშუალებით თემაში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება, როგორც გრძელვადიანი მიზანი. პედაგოგიურ საბჭოზე განიხილეს საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო, რომელის სრულყოფა მოხდება ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე. სკოლაში ფუნქციონირებს ეკო კლუბი და წარმოდგენილია განხორციელებული აქტივობები, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნული და სოციო-ემოციური განვითარებას, ზრდის მოტივაციას და ფორმალური და არაფორმალური განათლების

კომპონენტში მოსწავლეთა აქტიური და თანასწორი ჩართულობის საშუალებას იძლევა. მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა პედაგოგების მზაობა დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომებთან დაკავშირებით, ისაუბრეს საკუთარ გამოცდილებაზე კომპლექსური დავალებების განხორციელების კუთხით და გააკეთეს ზუსტი აქცენტები კომპლექსური დავალების, როგორც შუალედური მიზნის მნიშვნელობაზე. ***ექსპერტთა შეფასებით, მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

2. სკოლის მიერ შემდგომი სასწავლო წლისათვის წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმის ჩარჩოში თითოეული კლასისთვის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად განსაზღვრულია გრძელვადიანი მიზნები, მუშავდება ყველა სამიზნე ცნება, მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება და მზაობა იმისათვი, რომ დაგეგმონ და განახორციელონ პროცესი საინტერესოდ, რათა მიზანმიმართული იყოს, მოსწავლის გლობალურ-ფუნქციური უნარების განვითარებაზე. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში მკაფიოდაა განსაზღვრული, რომ კურიკულუმის მთავარი ორიენტირი სკოლისთვის არის ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიანი მიზნები (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები) აგრეთვე გამოკვეთილია , რომ კურიკულუმის განვითარების პროცესის მთავარი პრინციპია სასკოლო კურიკულუმის შემუშავება მოხდეს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად; ხდება საკითხების შერჩევა, რომელიც ისწავლება სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგნებში საფეხურის ფარგლებში (იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად დაძლიეს მოსწავლეებმა წინა წლის სასწავლო გეგმით განსაზღვრული პროგრამა); საკითხების განსაზღვრა, რომლებიც ისწავლება სხვა საგნის საკითხებთან ინტეგრირებით; იმის განსაზღვრა, თუ რა ფორმით უნდა გამოხატოს მოსწავლემ ცოდნა შესასწავლ საკითხთან/საკითხებთან დაკავშირებით (თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით); აქტივობებისა და სასწავლო რესურსების აღწერა, რომლებიც ეფექტურად იქნა გამოყენებული წინა წელს შუალედურ სასწავლო მიზანზე მუშაობისას; სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის და საგნობრივიი კურიკულუმის ჩარჩოს ანალიზი, აგრეთვე კათედრის წევრებთან ფოკუს-ჯგუფის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ კათედრას აქვს გამოცდილება კომპლექსური დავალებების დაგეგმვა /განხორციების აგრეთვე, სამომავლო ხედვა და მზაობა საგნობრივი კურიკულუმები მიმართოს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებზე, (სამიზნე ცნებები და შედეგები), პროცესში გააქტიუროს მოსწავლის გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი) და განუვითაროს მოსწავლეს გამჭოლი კომპეტენციები (მაკროცნება)

უცხოურ ენაში კურიკულუმები მიემართება გლობალური ფუნქციური უნარებისკენ, რისი თვალსაჩინო მაგალითიც არის კურიკულუმის თემატური დაგეგმვა დაკომპლექსური დავალებები. მაგალითად, ბლოგის შექმნა, კურიკულუმში მოცემული

კონტექსტ მაგალითები მოსწავლეს უბიძგებს შემოქმედებითობისკენ, კრიტიკული აზორვნებისკენ. ***ექსპერტთა შეფასებით, მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

3.სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტი სსსმ მოსწავლესთან მუშაობის გამოცდილება, სადაც აღწერილია, რომ სკოლა 2021 წლიდან ჩართულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროექტში „ განათლების მიღების მეორე შესაძლებლობა, სოციალური ინკლუზიით „ ქვეპროგრამის ფარგლებში. არსებული პროექტის ფარგლებში საინტერესო კლუბები იყო შემოთავაზებული. ამ პროექტის სამიზნე ჯგუფი არის 5 მოლდაველი მოსწავლე, რომლებიც მეტ ყურადღებასა და სოციალიზაციას საჭიროებენ. პროექტში ჩართული იყვნენ მოხალისე მოსწავლეები . პროექტის კოორდინატორი თავის გუნდთან ერთად თვლის, რომ ეს არის საჭირო პროგრამა საგანმანათლებლო სივრცეში, რომელიც უკავშირდება სოციალურ ინკლუზიას.

პროექტის ფარგლებში სკოლამ შეარჩია და ამუშავდა სხვადასხვა კლუბები.

საჯარო სკოლა არეგულირებს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდებას. გაწერილია სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების იდენტიფიცირებისა და სსსმ სტატუსის მოპოვების , ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებისა და შესრულების რეგულაციები. მასწავლებლები ქმნიან ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს სსსმ მოსწავლეთა აკადემიური, კოგნიტური და შემეცნებითი უნარ-ჩვევების გათვალისწინებით, უზრუნველყოფენ, რომ სსსმ მოსწავლეები თანაბრად იყვნენ ჩართული საგაკვეთილო პროცესში და სასკოლო ცხოვრებაში. აქტიურად ქმნიან სასწავლო ადაპტირებულ რესურსებს. დაგეგმილია აქტივობები, განსაზღვრულია მასალის მიწოდების, წარმოდგენის სხვადასხვა ფორმა, ყველა ტიპის მოსწავლის ინტერესების, შესაძლებლობების და საჭიროებების გათვალისწინებით. გაკვეთილზე ხდება მრავალფეროვანი რესურსის გამოყენება; წარმოდგენილი დოკუმენტაციის და გასაუბრების შედეგად საბუნებისმეტყველო კათედრას აქვს არსებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით ხედვა და მზაობა სასწავლო პროცესში გაითვალისწინოს დიფერენცირებულ/ინკლუზიური მიდგომები.

უცხოური ენა - საბაზო საფეხურის კურიკულუმში დიფერცირებული / ინკლუზიური სწავლების პრინციპები გამოკვეთლად არ არის ასახული. თუმცა კურიკულუმში, კომპლექსურ დავალებაზე სამუშაოდ, მოცემულია სხვადასხვა ტიპის კონტექსტ მაგალითები, რომელიც ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომას. ამ მიმართულების გასამყარებლად, ექსპერტთა ჯგუფმა, სკოლისგან მასწავლებლებთან ინტერვიურებისას მიიღო დამატებითი ინფორმაცია, მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ისინი სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას პრაქტიკულად ახორციელებენ დიფერენცირებულ მიდგომას, რაც გამოიხატება სხვადასხვა სახით შესრულებულ აქტივობებში (ვიდეო, აუდიო და ა.შ.) სკოლას წარმოდგენილი აქვს ინდივიდუალური გეგმები, თუმცა აღნიშნული არ არის წარმოდგენილი უცხოურ ენაში. თვითშეფასების კითხვარში სკოლა აღნიშნავს, რომ ჰყავს 20 სსსმ მოსწავლე. უცხოური ენის მიმართულებით არ არის წარმოდგენილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. თუმცა სკოლის ზოგადი

მზაობა ამ მიმართულებით ჩანს დაწყებით საფეხურზე შექმნილი ინდივიდუალური გეგმები (სხვა საგნებში), გარდა უცხოური ენისა. სკოლას ასევე წარმოდგენილი აქვს სპეციალური მასწავლებლის სამოქმედო გეგმა და მულტიდუსციპლინური გუნდის შეხვედრის ოქმები, რაც ასევე ადასტურებს სკოლის მზაობას.

მასწავლებლებთან საუბრის დროს გამოიკვეთა, რომ ისინი ადაპტირებას უკეთებენ აქტივობებს და მიზნებს. გეგმავენ ინდივიდუალურ გეგმებს. რიგ შემთხვევაში ეს გამოიხატება კონკრეტული საჭიროებით, მაგალითად მოსწავლეს რომელსაც კითხვა უჭირს, კითხვის გასაუმჯობესებელ დავალებას, მაგალიტად ჯერ ნაბეჭდი და ხელნაწერი ასო შეუსაბამონ ერთმანეთს, ნახატი და სიტყვა და ა.შ.

პედაგოგებთან გასაუბრებით დადგინდა რომ შემუშავებული აქვთ ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, სექტემბრიდან აპირებენ მოსწავლეების შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებით კიდევ უფრო მეტად დაიხვეწოს კურიკულუმი.

სკოლაში დასაქმებული სპეციალური მასწავლებლების მიერ, სასკოლო თემის წარმომადგენლებთან, ცნობიერების ამაღლების მიზნით იმართება სხვადასხვა ტიპის ღონისძიებები: შშმ პირთა საერთაშორისო დღის აღნიშვნა და მათი ნაკეთობების გამოფენა, დაუნის სინდრომის მქონე პირთა საერთაშორისო დღე,აუტიზმის ცნობიერების ამაღლების მსოფლიო დღე და ა.შ. ***ექსპერტთა შეფასებით, მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

4. საბაზო საფეხურზე პედაგოგები სასწავლო პროცესში იყენებენ შეფასების სხვადასხვა ფორმებს: განმავითარებელ შეფასებას, განმსაზღვრელი შეფასებას, მოსწავლეთა თვითშეფასების ბარათებს. აღნიშნული შეფასების რუბრიკები ზოგიერთ შემთხვევაში ზოგად ხასიათს ატარებს, არ არის დაკონკრეტებული თემას, საკითხსა და ცნებასთან. ამიტომ საჭიროებს მეტად დახვეწას. ინტერვიუს დროს პედაგოგებმ გამოთქვეს მზაობა სწავლის დაწყებამდე გადახედონ შეფასების რუბრიკებს. სხვა შემთხვევაში სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმის ნიმუშში წარმოდგენილია, რომ სკოლისთვის მნიშვნელოვანია შეფასების მიზნიდან გამომდინარე, მოსწავლეთა შეფასება დაუკავშირდეს არა მხოლოდ სწავლების შედეგს, არამედ სწავლის პროცესსაც. ამის უზრუნველსაყოფად სკოლაში გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი. განმსაზღვრელი შეფასება ადგენს მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში. აფასებს ცოდნათა ურთიერთდაკავშირების, ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენებისა და ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარს; განმავითარებელი შეფასება ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. მისი მიზანია ხელი შეუწყოს მოსწავლის წინსვლასა და განვითარებას. განმავითარებელი შეფასებით ფასდება ცოდნის კონსტრუირებისა და ცოდნათა ურთიერთდაკავშირების პროცესი, მოსწავლის მიერ თავისივე ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენის უნარი, ცოდნის სამივე კატეგორიის ათვისების პროცესი, ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარი, ასევე დგინდება წინარე ცოდნა/წარმოდგენები. პროექტით დგინდება, რომ შეფასება მისაღწევ შედეგებზეა გათვლილი. გრძელვადიან მიზნებზე და მეთოდიკურ ორიენტირებზეა მიმართული შეფასების კრიტერიუმები და

გამომდინარეობს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენებიდან, რაც საშუალებას იძლევა შეფასდეს მოსწავლის მიღწევა გრძელვადიან მიზნებთან და საგნის მისაღწევ შედეგებთან მიმართებით ; ***ექსპერტთა შეფასებით, მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

ექსპერტთა რჩევაა: ესთეტიკური აღზრდის საგნებში სასწავლო წლის დაწყებამდე კიდევ უფრო დაკონკრეტდეს შეფასების რუბრიკები სამიზნე ცნებასთან, ცნების მკვიდრ წარმოდგენებთან და სტანდარტის შედეგებთან მიმართებით.

5.სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში გამოკვეთილია პრინციპები, რომელსაც ეფუძნება სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესი, კერძოდ : სასკოლო კურიკულუმის შემუშავება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად; კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე; სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწყვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე; კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს; სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესი მჭიდრო კავშირშია სკოლაში მიმდინარე დამხმარე და მმართველობით პროცესებთან. კურიკულუმის შემუშავებაზე მუშაობა იწყება კონცეპტუალურ ჩარჩოს შესახებ მსჯელობით. განხილვის საგანია გამოწვევები, რომლებიც იკვეთება მოსწავლეზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პარადიგმის რეალიზების/ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების დანერგვის პროცესში (სასწავლო პროცესის ორიენტირება გრძელვადიან მიზნებზე, სასწავლო პროცესის დაფუძნება კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებზე, უპირობოდ პოზიტიური სასწავლო გარემო შექმნა) უცხოური ენა - კურიკულუმის დაგეგმვის მეთდოლოგიაში ჩანს ეს მიმართულება, როდესაც მასწავლებლები აანალიზებენ მოსწავლეების ნამუშვერებს, აზიარებენ კათედრაზე და შემდეგ კათედრის გამგეები აანალიზებენ საკუთარ გამოცდილებას უზიარებენ კოლეგებს და შესაბამისად გეგამვენ სასწავლო პროცესს. დეგეგმვის პროცესში წინარე გამოცდილების ანალიზის წერილობითი დასტური / მტკიცებულება არ აქვს, თუმცა მასწავლებლების განმარტებით, წინარე გამოცდილების ანალიზი ძირითადად, ზეპირსიტყვიერად მიმდინარეობდა შესაბამისად, წერილობით ამის დასტური მათ არ აქვთ, თუმცა ინტერვიურებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ეყრდნობიან როგორც წინარე ასევე ერთმანეთის გამოცდილებას***ექსპერტთა შეფასებით, მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ ინტერვიუ სკოლის წარმომადგენლებთან;
- ✓ საგნობრივი კურიკულუმების ნიმუშები;

- ✓ შეფასების რუბრიკები;
- ✓ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების ოქმები;
- ✓ თვითშეფასების კითხვარი;
- ✓ სასკოლო სასწავლო გეგმა.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლში მოქმედი: ეკო კლუბი, სამოქალაქო განათლების კლუბი, მკითხველთა კლუბი, ფოლკლორის კლუბი, აგრეთვე შერჩეული კომპლექსური დავალებები არის შესაძლებლობა იმის, რომ სასწავლო პროცესში განხორციელდეს ისეთი

აქტივობები , სადაც მოსწავლე არის ცენტრალური სუბიექტი, ანუ იგი აიდენტიფიცირებს, განიხილავს და წყვეტს პრობლემებს; ეცნობა ახალ ინფორმაციას, ამუშავებს მას და განიხილავს სხვადასხვა კონტექსტში და სხვადასხვა თვალთახედვით; გადმოსცემს და ხსნის იდეებს თავისი სიტყვებით იქნება ეს წერილობით თუ დისკუსიების სახით. მოსწავლე ქმნის კომპლექსური დავალების პროდუქტს. მოსწავლის მოტივაციისა და სწავლის პროცესის ეფექტიანობისათვის თანამშრომლობით სწავლის ფორმა ჯგუფური და წყვილებში მუშაობა აქვს შერჩეული, სადაც მოსწავლეს შესაძლებლობა აქვს მუდმივად ინტერქციაში იყოს თანატოლთან, გასცეს და მიიღოს დაუყოვნებლივი უკუკავშირი, გაიზიაროს პასუხისმგებლობა საბოლოო შედეგზე. სასკოლო პროექტი კი ქმნის შესაძლებლობას თანამშრომლობითი გზით, ყველა ასაკის და საჭიროების მოსწავლე აქტიურად და თანაბრად იყოს ჩართული სხვადასხვა აქტივობებში, შერჩეული აქტივობები კი ქმნის მოსწავლის მაღალი ჩართულობის წინაპირობას, იძლევა მოსწავლის შინაგანი მოტივაციის აღძვრის შესაძლებლობას. ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე, იქმნება პოზიტიური სასკოლო კულტურა და საკლასო კლიმატი, რაც ხელისშემწყობია მოსწავლის შემოქმედებით პროცესებში ჩართულობისათვის. მოსწავლეს უფლება აქვს კანონმდებლობით დადგენილი წესით, წერილობით ან/და ზეპირად გამოხატოს საკუთარი აზრი და გამოიჩინოს ინიციატივა რომლის მხარდაჭერის მიზნით სკოლა უზრუნველყოფს სპეციალური სამუშაო სივრცის მოწყობასა და საინფორმაციო კამპანიას და ხელს შეუწყობს ინიციატივების განხორციელებას, ასევე მნიშვნელოვანი და საინტერესოა საბუნებისმეტყველო კათედრის გამოცდილება, კერძოდ, ერთობლივად შემუშავებული სამუშაო გეგმის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობები, რომლებიც ექსკურსიების, პროექტებისა და სხვა ღონისძიებებით ასევე იძლევა ღიაობის, მაღალი მიმღებლობის, პრობლემაზე ორიენტირებულობისა და მოსწავლის ინიციატივების წახალისების შესაძლებლობას.
საბაზო საფეხურის მათემატიკის კურიკულუმში ნათლად ჩანს მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესში აქტიური ჩართულობა მაგალითად , ერთ-ერთი კომპლექსური დავალება ,,მარტივი და რთული პროცენტი, ანაბარზე თანხის დადება'' ამის ნათელი მაგალითია. მოსწავლეებს უწევთ პრობლემის გადაჭრა , სტრატეგიების გააზრება, და სხვადასხვა ტიპის პროდუქტის შექმნა.
გასაუბრებისას გაირკვა, რომ გეგმავენ სპორტული ღონისძიებების ჩატარებას, რადგან კლასგარეშე და სკოლისგარეშე სპორტული აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდას და მათ აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობისკენ უბიძგებს. ***ექსპერტთა შეფასებით, მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია კურიკულუმის შემუშავებაზე მუშაობა იწყება კონცეპტუალურ ჩარჩოს შესახებ მსჯელობით. განხილვის საგანია გამოწვევები, რომლებიც იკვეთება მოსწავლეზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პარადიგმის რეალიზების/ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების დანერგვის პროცესში (სასწავლო პროცესის ორიენტირება გრძელვადიან მიზნებზე, სასწავლო პროცესის დაფუძნება კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებზე, უპირობოდ პოზიტიური სასწავლო გარემო შექმნა):

ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შინაარსის სხვადასხვაგვარად ინტერპრეტირება; დანერგვის ინსტრუმენტების დაკავშირება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან წინარე ცოდნის გააქტიურების საშუალებას იძლევა. ***ექსპერტთა შეფასებით, მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

3.საზოგადოებრივ მეცნიერებებში სკოლის ფარგლებში სწავლის სწავლა, გააზრებულია, როგორც კომპლექსური დავალებების განხორციელების უწყვეტი პროცესი და მოსწავლეთა მხრიდან ამ პროცესის შეფასება და სამომავლოდ გათვალისწინება. ასევე ამ პროცესზე დაკვირვება. ინდიკატორი მეტწილად შეესაბამება სტანდარტს, თუმცა სხვა შემთხვევაში, სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალაში სამომავლოდ დაგეგმილ -საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩოებში, სასკოლო პროექტში ჩანს, რომ პროცესი ისეა დაგეგმილი მასწავლებლის მიერ, რომ მოსწავლემ განსაზღვროს დავალების/შესასრულებელი საქმიანობის ღირებულება, დაგეგმვა- როგორ შეასრულოს დავალება, როგორ მოახდინოს სწავლის პროცესის მონიტორინგი და სწავლის პროცესის დროს თავისი ქცევის სოციო-ემოციური მართვა . კომპლექსური დავალება მოიცავს საკვანძო შეკითხვებს, რომლებიც ლაიტმოტივად გასდევს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესს. კომპლექსური ბუნების დავალებების დანერგვის მიზნებსა და არსებულ მტკიცებულებებში ამოიცნობა კომპლექსური დავალებების კრიტერიუმების დაფარვის წარმოდგენა – გასიტყვებისას სწავლის სწავლაზე მხარდაჭერა რეფლექსიის სახით. კათედრაზე პედაგოგები მიზანმიმართულად იყენებენ სწავლის, კვლევისა და ინფორმაციის მოძიების სხვადასხვა სტრატეგიას; მოსწავლეებს ასწავლიან ძირითად მასალაზე ხაზგასმას, მთლიანი მასალის დანაწევრებას და დანაწევრებული მასალის ათვისებას. ხოლო ემოციური კომპონენტის გასავითარებლად ეხმარებიან მოსწავლეებს ისწავლონ შეცდომის დანახვა და გამოსწორება, ის რომ არ ეშინოდეთ შეცდომის დაშვების, ისწავლონ ემოციების კონტროლი. სასწავლო პროცესში სწავლის სწავლაზე აქცენტების დასმა მასწავლებელთა პრაქტიკის ბუნებრივი ნაწილია, რაც სკოლაში ვიზიტისას დადასტურდა. პედაგოგოებს აქვს გამოცდილება და მზაობა სასწავლო პროცესში აქცენტი გაკეთდეს სწავლის სწავლაზე; ***ექსპერტთა შეფასებით, მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

4.საგნობრივი საკითხების სიღრმისეული გააზრებისა და სასწავლო მასალის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებისთვის სკოლის მიერ მოწოდებულ მასალაში ,კერძოდ, სამომავლოდ დაგეგმილ - კურიკულუმის ჩარჩოებში დაორგანიზდება ის კომპლექსური დავალებები, რომლებიც უნდა განახორციელედეს. შესაბამისად კომპლექსური დავალებიის შესრულების დროს აქცენტი გაკეთდება ცოდნის სამ კატეგორიაზე. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზიდან და ფოკუს-ჯგუფის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს შედეგად ჩანს, რომ კათედრებს აქვს გამოცდილება და მზაობა, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებული იყოს ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);ამ მხრივ, საინტერესოა, საბაზო საფეხურის მათემატიკის კურიკულუმი ,როელიც დაგეგმილია იმგვარად , რომ აქცენტი კეთდება ცოდნის სამივე კატეგორიაზე . მაგალითად, კომპლექსური დავალება ,, მანქანის სამუხრუჭე მანძილის გამოთვლა სხვადასხვა სიჩქარით

და სხვადასხვა ტიპის გზაზე მოძრაობის პირობებში''განხორციელების ეტაპები იძლევა იმის საშუალებას, რომ მოსწავლემ შეიძინოს ფაქტობრივი ცოდნა, შემდეგ მოსწავლე ასრულებს კონკრეტულ აქტივობებს და უკვე იცის , როგორ შეასრულოს ესა თუ ის პირობა. ბოლო ეტაპზე კი შეძენილ ცოდნას იყენებს , საბოლოო პროდუქტის შესაქმნელად. ***ექსპერტთა შეფასებით, მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

5.სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალაში კურიკულუმის ჩარჩოებში იკვეთება , რომ ახალი სასწავლო წლისთვის დაიგეგმება და განხორციელდება კომპლექსური დავალებები.კომპლექსური ბუნების დავალებები, სწორედ ის საკვანძო ასპექტები თუ სტრუქტურულ ერთეულებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. იგი ყოველი განსაზღვრული თემით არის რა მოსწავლის გამოცდილების კონტექსტი, უზრუნველყოფს სასწავლი მასალის კავშირს მოსწავლის ცოდნასთან, მის ინტერესებსა და წარმოდგენებთან. მიემართება მოსწავლეთა ფუნქციური უნარების გამომუშავებას და ორიენტირებულია მოსწავლეთა ცოდნის ტრანსფერზე რეალურ ცხოვრებაში და ქმნის მოსწავლის პიროვნული მოქმედების არეალს. მისი განხორციელების დროს მოხდება ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. საბუნებისმეტყველო კათედრის წევრებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა , რომ პროცესი იწყება წინარე ცოდნის გააქტიურებით, მასწავლებლის მიერ შეთავაზებული შინაარსი, საკითხი და პრობლემა მოსწავლისთვის უცხო არ არის, რაც საშუალებას აძლევს, რომ იფიქროს პრობლემაზე, გამოწვევაზე, გაუმკლავდეს იმ აქტივობებს რომლებსაც მასწავლებელი სთავაზობს, ამისათვის თავს უყრის ყველა იმ უნარს და ცოდნას, რაც მას ამ მიმართულებით რელევანტურად მიაჩნია, ის ორიენტირებულია პრობლემის გადაჭრაზე, ნაცვლად ახალი მასალის დასწავლისა . ითვალისწინებს მათ გამოცდილებას, არგუმენტებს, ცდილობს უპასუხოს კონტრარგუმენტით, მოძებნოს გამოსავალი. ყველა ეს აქტივობა კი მისგან მოითხოვს ყველა გამოცდილების მობილიზებასა და ცოდნების ინსტრუმენტად გარდაქმნას. ამავდროულად შესაძლებელია ცოდნის ინტეგრირებულად გამოყენებაც არაფორმალურ პროექტულ და პრობლემაზე დაფუძნებულ აქტივობების ფარგლებში. შესაბამისად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში ხელი შეეწყობა ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირების პროცესს.

 საბაზო კლასების პედაგოგები კომპლექსური დავალებების განხორციელების ეტაპებს გეგმავენ ისე , რომ ხელს უწყობს მოსწავლეებში გააზრებას, დამახსოვრებას და ცოდნის ფუნქციური გამოყენების შესაძლებლობას. შერჩეულია ისეთი კომპლექსური დავალებები, რომ მოსწავლებ შეძლოს ცოდნის დაკავშირება ყოველდღიურ ცხოვრებასთან, მაგალითად ,,მიუვალი ადგილის გაზომვა და მთის სიმაღლის დადგენა სამკუთხედების მსგავსების ნიშნების გამოყენებით;'' აღნიშნული დავალებაში გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის სწორედ ის საკვანძო ასპექტები, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას აძლევს მოსწავლეებს. ***ექსპერტთა შეფასებით, მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ ინტერვიუ სკოლის წარმომადგენლებთან;
- ✓ საგნობრივი კურიკულუმების ნიმუშები;
- ✓ სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების დოკუმენტი;
- ✓ სსსმ მოსწავლეებთამ მუშაობის დამადასტურებელი მასალები;
- ✓ პროექტები.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოებში სავალდებულო თემის ფარგლებში შერჩეული საკითხები მიმართულია გრძელვადიანი მიზნებისკენ, საგნის კონტექსტში მუშავდება კონკრეტული სამიზნე ცნება/ცნებები. „კურიკულუმის დაგეგმვის მეთოდოლოგიის“ თანახმად სამიზნე ცნებებს აზუსტებს მკვიდრი წარმოდგენები, ქვეცნებები, საფეხურის საკვანძო შეკითხვები. რომლებიც დაგეგმილი პროცესის ნაწილია, ვინაიდან მკვიდრი წარმოდგენები შემოსაზღვარავს ცნების არეალს, სწორედ მისგან გადმოთარგმნილი შეფასების კრიტერიუმები აქვს ჩაშლილი დავალების პირობას, რომელიც კარნახობს მოსწავლეს კომპლექსური დავალების შესრულება რა მიმართულებით უნდა მოხდეს. სწავლა

სწავლების პროცესში მკაფიოდაა გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებასა და მკვიდრ წარმოდგენას შორის და იმგვარადაა დაგეგმილი სწავლა სწავლება, რომ უზრუნველყოს სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისება და მოსწავლის ხანგრძლივ მეხსიერებაში დარჩენა. ***ექსპერტთა შეფასებით, მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

2.2023-2024 სასწავლო წლისთვის სკოლამ შეარჩია პრიორიტეტული თემა: „გარემოს დაცვა“და აღნიშნულის ფარგლებში გეგმავს განახორციელოს აქტივობები, რომელიც დააკმაყოფილებს მოსწავლეთა ასაკობრივ შესაძლებლობებს და მათ ინტერესებს. განავითარებს მოსწავლეთა ფიზიკურ, შემეცნებით და სოციო-ემოციურ სფეროს. სკოლის მიერ წარმოდგენილია საგნობრივი კურიკულუმები ,სადაც თითოეული თემის ფარგლებში წარმოდგენილი ძირითადი შესასწავლი საკითხები და კომპლექსური დავალებები მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარების ხელშეწყობის საშუალებას იძლევა. მართალია, საგნობრივ კურიკულუმებში ასახულია კომპლექსური დავალების რამდენიმე იდეა, მაგრამ მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ კომპლექსური დავალების განხორციელების დროს მოსწავლეები დიდი ინტერესით ერთვებიან საგაკვეთილო პროცესში, მათთვის ყველაზე სახალისო პროდუქტის შექმნაა, ასევე ხალისით ერთვებიან კომპლექსური დავალების განხორციელების დროს საინტერესო აქტივობებში, მსჯელობენ საკუთარ ძლიერ და სუსტ მხარეებზე, აცნობიერებენ სხვების პოზიციას და შესწავლილი საკითხიდან გამომდინარე გამოხატავენ ემპათიას სხვების მიმართ, თანაკლასელებთან ამყარებენ პოზიტიურ ურთიერთობებს, უმკლავდებიან სტრესულ და კონფლიქტურ სიტუაციებს, პერსონალურ თუ სოციალურ ქცევებს შორის აკეთებენ ეთიკურ და კონსტრუქციულ არჩევანს. ვფიქრობ ამგვარი ქმედებები ემსახურება მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას, რაც ვლინდება კომპლექსური დავალების განხორციელების დროს.

სკოლაში საბაზო საფეხურის მოსწავლეებისათვის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების პედაგოგის მიერ ფუნქციონირებს კლუბი ,,კინო სკოლაში“ რომლის მიზანია: სასკოლო სივრცეში ცნობიერების ამაღლება, დისკრიმინაციული გამოვლინების ფაქტების აღმოფხვრა და თანასწორუფლებიანი გარემოს ჩამოყალიბება კინოხელოვნების გზით.

ფილმების, როგორც ინსტრუმენტის გამოყენება ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი ,თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის. ფილმების ჩვენების შემდეგ ხდება განხილვა დებატები მოსწავლეებს შორის. ეს ყველაფერი ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციო-ემოციურ განვითარებას. ***ექსპერტთა შეფასებით, მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

3.საბაზო საფეხურის მათემატიკის მასწავლებლები იზიარებენ შეფასების სისტემის მნიშვნელობას.იყენებენ როგორც განმავითარებელ,ისე განმსაზღვრელშეფასებას. აქვთ მზაობა, რომ სექტემბრისთვის შექმნან შეფასების რუბრიკები თემის ფარგლებში.

სხვა საგნობრივი ჯგუფების მიერ წარმოდგენილი დაკვირვების კითხვარების, თვითშეფასების ფორმების საშუალებით დგინდება, რომ შეფასების სისტემა ორიენტირდება არა მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნაზე, არამედ ითვალისწინებს მოსწავლის

პიროვნული განვითარებისთვის აქტუალურ ყველა გარემოებას , როგორია მოსწავლის ჩართულობა სასწავლო პროცესში , რა ფაქტორები უწყობს/უშლის სასწავლო პროცესში მოსწავლის აქტიურ მონაწილეობას ხელს , და ა.შ. შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში და განუყოფელი ნაწილია მოსწავლის ყოველდღიური პროცესის; რაც იკვეთება ასევე წარმოდგენილ უკვე განხორციელებულ კომპლექსური დავალების გეგმაში, სადაც პირობაში ჩაშენებულია შეფასების კრიტერიუმები, რომლის საშუალებითაც მასწავლებელი აფასებს თითოეული მოსწავლის მიერ შექმნილ კომპლექსური დავალების პროდუქტს, სამიზნე ცნების თითოეული მკვიდრი წარმოდგენის შესაბამისად. ასევე მოსწავლის თვითშეფასების საშუალებას იძლევა კომპლექსური დავალების ბარათის ბოლოს. მოსწავლეთა ჰოლისტური შეფასების მექანიზმად და მოსწავლეთათვის განმავითარებელი უკუკავშირის მისაცემად, კომპლექსური დავალების პირობაში ჩაშენებულია შეფასების კრიტერიუმები, სადაც შეფასება ცოდნის გაგებასა და გამოყენებაზეა ფოკუსირებული, რაც გულისხმობს შეფასების ორიენტაციას მოსწავლის შესაძლებლობების, უნარების, პოტენციალის განვითარების დინამიკაზე; შეფასების ამოცანები შეესაბამება მოსწავლეების საჭიროებებს და გამომდინარეობს მათგან. ასეთი შეფასება ეხმარება მოსწავლეებს განავითარონ ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები. არსებული შეფასება წარმოადგენს მოსწავლის პროფილის დიფერენცირებულ ანალიზი, რომელიც ავლენს მათ ძლიერ და სუსტ მხარეებს და აძლევს მოსწავლს კონსტრუქციულ უკუკავშირს იმასთან მიმართებაში, თუ როგორ მიმდინარეობს სასწავლო პროცესი და როგორ შეიძლება იმუშაოს არსებულ გამოწვევებზე; მასწავლებლები იყენებენ თვითშეფასებას და ურთიერთშეფასებას. კომპლექსური დავალების შეფასებას გეგმავენ სოლო ტაქსონომიის მიხედვით. ***ექსპერტთა შეფასებით, მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

4. მასწავლებლებს აქვთ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების გამოყენების გამოცდილება. წინასწარ აცნობენ შეფასების რუბრიკებს მოსწავლეებს. ახალი სასწავლო წლისთვის შერჩეული იქნება კომპლექსური დავალებები, რომელთა აუცილებელ კომპონენტს შეფასების კრიტერიუმები შეადგენს. მოსწავლეებისთვის თავიდანვე ამ კრიტერიუმების შეთავაზება შეფასების სისტემის სანდოობას და გამჭვირვალობას უზრუნველყოფს. როგორც ინტერვიუს დროს აღნიშნეს, პედაგოგებმა სასწავლო წლის დაწყებამდე კათედრის ფარგლებში იქმნება შეფასების კრიტერიუმები, რომლის შედგენაშიც ჩართული არიან აქტიურად მასწავლებლები. შეფასების კრიტერიუმები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების და სასკოლო თემის დაინტერესებული პირების მიერ, ინფორმირებულნი არაინ მშობლები. შეფასების კრიტერიუმების ღიაობა და ობიქტურობა ხელს უწყობს სკოლას ამ მიმართულებით სანდოობის მაღალი ხარისხი ჰქონდეს. გაკვეთილის დასაწყისში მასწავლებლები აცნობენ მოსწავლეებს ამ რუბრიკებს. შეფასების სიხშირეს მონიტორინგს უწევს ადმინისტრაცია ელექტრონული ჟურნალის სისტემატური მონიტორინგის გზით. მოსწავლე აქტიურადაა ჩართული კრიტერიუმების შემუშავების, განხილვის პროცესში, რაც შეფასების ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირვალობას უზრუნველყოფს. ***ექსპერტთა შეფასებით, მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

5.სკოლას გააზრებული აქვს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის არსებობის მნიშნელობა. შემუშავებული აქვს და წარმოდგენილი "ვერიფიკაციის მექანიზმი და მოსწავლის შეფასებიის ინსტრუქცია" რომელიც არის სკოლაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმი. სკოლას განსაზღვრული აქვს გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტების ვალიდურობა, სანდოობა, გამჭირვალობა, გაწერილი აქვს გარე და შიდა შეფასების ეტაპები. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ შეფასების რუბრიკების შემუშავება ხდება კათედრაზე ერთობლივად, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას. სასწავლო წლის დასაწყისში მშობლები გაეცნობიან სასკოლო სასწავლო გეგმას, სკოლაში მოქმედ შეფასების სისტემას. სკოლას შემუშავებული აქვს და წარმოდგენილი დოკუმენტის სახით „სკოლის შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი და მოსწავლეთა შეფასების ინსტრუქცია", რაც იძლევა იმის საფუძველს , რომ სკოლაში ფუნქციონირებს სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი.თუმცა სხვაგვარი სურათი ჩანს საზოგადოებრივ მეცნიერებებში,რადგან არსებული მასალაზე დაყრდნობით, სკოლაში ვერიფიკაციის მექანიზმის არსებობისა და ფუნქციონირების შესახებ საუბარი რთულია. პედაგოგების განცხადებით, ხდება მოსწავლეთა ნამუშევრებისა და მასში ასახული შედეგების დაკვირვება და ანალიზი, ასევე კათედრაზე განხილვა. ***ექსპერტთა შეფასებით, მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით როგორც, მატერიალურად, ასევე ელექტრონულად. სკოლა იცავს დოკუმენტაციის წარმოებასთან და სკოლაში მათ შენახვასთან დაკავშირებულ რეგულაციებს. მოსწავლეთა პირადი საქმეებისა და მათი შეფასებების წესი განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით. ***ექსპერტთა შეფასებით, მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ ინტერვიუ სკოლის წარმომადგენლებთან,
- ✓ სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების დოკუმენტი,
- ✓ „შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის" დოკუმენტი,
- ✓ 2023–2024 სასკოლო სასწავლო გეგმა,
- ✓ საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო,
- ✓ სასკოლო პროექტი,
- ✓ არაფორმალური განათლება,
- ✓ საჯარო სკოლის მოსწავლეთა პირადი საქმეები,

- ✓ კლუბი ,,კინო სკოლაში“,
- ✓ განმავითარებელი შეფასების რუბრიკა,
- ✓ პრაქტიკული სამუშაოს შეფასება,
- ✓ მოსწავლეთა თვითშეფასების ბარათები.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.საბაზო საფეხურზე საგნობრივი კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია კათედრის ყველა წევრი, საჭიროების შემთხვევაში დირექცია აძლევს მეთოდურ რეკომენდაციებს, ხდება მოსწავლეებზე დაკვირვება და მათი ინტერესების და საჭიროებების გათვალისწინება. უზრუნველყოფილია გლობალური ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გამომუშავების ხელშეწყობა, რაც კათედრაზე კომპლექსური დავალებების სწავლებითაა შესაძლებელი . ასევე სკოლაში შექმნილი პოზიტიური გარემო, თანამშრომლობითი კულტურა, მიმღებლობა და ღიაობა, სასკოლო საზოგადოებას ჰარმონიულად განვითარების საშუალებას აძლევს. მასწავლებლები საუბრობენ პრობლემაზე ორიენტირებული კომუნიკაციის პრაქტიკასა და გაზიარებული პასუხისმგებლობებზე, რომ ნებისმიერ მასწავლებელს საშუალება აქვს ისარგებლოს სასწავლო პროცესისაგან თავისუფალი ფართით ან საერთო სარგებლობის სივრცეებით ნებისმიერ დროს, რათა განახორციელოს მისი ინიციატივები. სასწავლო პროცესთან დაკავშირებული კითხებისთვის ყველას ეძლევა საკმარისი დრო როგორც პედსაბჭოზე, ასევე შეუზღუდავად შეუძლიათ პირადი საუბრები და შეხვედრები როგორც დირექციასთან, ასევე კოლეგებთან. ამისათვის მათ აქვთ ფართი, მუდმივი ინტერნეტი და სასკოლო რესურსი. სკოლის მიერ შემუშავებულია კითხვარები, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეს წახალისებული და გათვალისწინებული იქნას მისი ინიციატივები. პედაგოგებთან გასაუბრების დროსაც იგრძნობოდა მხარდაჭერა, ერთიანობა და გუნდურობა. სკოლაში ხდება სსსმ მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინება. სასწავლო პროცესში შექმნილია მიმღებლობითი და მხარდამჭერი გარემო. სკოლას განხორციელებული აქვს პროექტები: „ ზოოკლუბი“, „ ნორჩი მეგობრები“, სადაც ნებისმიერ მოსწავლეს მათი ეთნიკური და რელიგიური კონფენსის მიუხედავად, მიეცათ საშუალება

ჩართულიყვნენ აქტივობების განხორციელების პროცესში., აგრეთვე მოსწავლეებს სთავაზობენ არჩევით უცხო ენას. ***ექსპერტთა შეფასებით, მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

2.საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩოში შერჩეული კომპლექსური დავალებები უზრუნველყოფენ მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს, სადაც წამყვანია მოსწავლის ავტონომიურობა, არჩევანი, წინარე გამოცდილება და თვითრეგულაცია. მასწავლებლები ორიენტირებულები არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. კურიკულუმის ჩარჩოებში განსაზღვრულია თემები, თემის ფარგლებში შერჩეული საკითხები, კომპლექსური დავალებები, რომელთა გაწერა სექტემბრამდე იგეგმება შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად. საჭიროების შემთხვევაში სკოლა შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს, წაახალისებს ინტეგრირებულ გაკვეთილებს და პროექტებში მონაწილეობას. სკოლას 2023- 2024 სასწავლო წლისთვის შერჩეული აქვს პრიორიტეტული თემა გარემოს დაცვა, რომლის ფარგლებში სკოლა გეგმავს საკოლო პროექტის განხორციელებას სადაც აქტიურად იქნება ჩართული საბაზო საფეხურის მოსწავლეები. სკოლაში ფუნქციონირებს ეკო კლუბი, სამოქალაქო განათლების კლუბი, კითხვის კლუბი და ფოლკლორის კლუბი, სადაც ხდება მოსწავლეების შესაძლებლობების და ინტერესების გათვალისწინებით გეგმავს და ახორციელებს აქტივობებს. ექსპერტთა შეფასებით სკოლა სასწავლო პროცესს წარიმართავს მოსწავლეზე ორიენტირებულად;

თვითშეფასების ფორმაში ვკითხულობთ, რომ სკოლაში სასწავლო გეგმა შედგენილია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინებთ, აგებულია თანასწორობის და უსაფრთხო გარემოს შექმნაზე, უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის ჩართვას სასწავლო პროცესში.

საბაზო საფეხურზე მოსწავლეები ფასდება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებით. სწავლის პროცესში გათვალისწინებულია დიფერენცირებული მიდგომა, ხდება იმის გაცნობიერება რომ ყველა მოსწავლე სხვადასხვა ტემპით და განსხვავებული სტილით სწავლობს. ***ექსპერტთა შეფასებით, მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

3.სკოლაში სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურას და კომუნიკაციას. ხდება მასწავლებელთა შეხვედრები, პრაქტიკის გაზიარება, სიახლეების დანერგვა. სკოლაში ხორციელდება ურთიერთ დასწრება გამოცდილების გაზიარების მიზნით. სკოლამ განახორციელა მასწავლებლების, მოსწავლეების და მშობლების გამოკითხვა ,რათა მაქსიმალურად ყოფილიყო გათვალიწინებული სასკოლო საზოგადოების ინტერესები და სურვილები სკოლის განვითარების პროცესში. გეგმავენ, რომ მასწავლებელთა შეხვედრები იყოს უფრო ხშირი და შინაარსობრივი, პროდუქტიული. სკოლის ფარგლებში თანამშრომლობითი კულტურის შესახებ წარმოდგენას გვიქმნის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისათვის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმა ,რომელშიც ჩართულია პედაგოგები ყველა სკოლა აქტიურად თანამშრომლობს თემში ინოვაციის და ტექნოლოგიების ცენტრთან, კოლეჯ „ჰორიზონტთან“ და თემში არსებულ სხვადასხვა დაწესებულებებთან, რასაც

მოწმობს ერთობლივად დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობები. კათედრების წევრებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მაღალია კათედრის წევრებს შორის ურთიერთთანამშრომლობა და კომუნიკაცია. სისტემატიურად ხდება ერთობლივი ინეგრირებული აქტივობების დაგეგმვა განხორციელელება, რესურსების შექმნა, წარმატებული პრაქტიკის და გამოცდილების გაზიარება.

გამოკვეთენ პრობლემებს და სახავენ პრობლემების მოგვარების გზებს. ასევე,სხვადსხვა სპორტული აქტივობის დაგეგმვისას ითვალისწინებენ როგორც მოსწავლეების, ასევე მშობლის აზრს. ***ექსპერტთა შეფასებით, მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

4.სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. სასწავლო გარემო ორიენტირებულია მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე, მასწავლებლები იყენებენ შინაგანი და გარეგანი მოტივაციის ამაღლების სხვადასხვა ხერხებს, გამჭვირვალე განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასების რუბრიკებს, მოსწავლეთათვის მიცემულ პოზიტიურ უკუკავშირს და ა.შ. თავიანთი სწავლებით და დადებითი მაგალითებით მოსწავლეებს უღვივებენ ცოდნის დაუფლების წყურვილს. სასწავლო პროცესი არის არა მოსაწყენი და რუტინული სამუშაო, არამედ ცოცხალი, ხალისიანი, საინტერესო და ახალი ცოდნის მიღებაზე ორიენტირებული. სკოლაში ყველა მოსწავლეს აქვს კითხვაზე პასუხის გაცემისა და დისკუსიაში მონაწილეობის თანაბარი შესაძლებლობა; მოსწავლეთა ნაშრომების შეფასებისას სკოლის მასწავლებლები იყენებენ ობიექტურ კრიტერიუმებს, დიდ ყურადღებას უთმობენ იმას, თუ რა პრინციპით ახდენენ მოსწავლეთა წახალისებას. სკოლაში დაცულია სისუფთავე და სანიტარული ნორმები. სასკოლო და საკლასო გარემოს გაუმჯობესებაში აქტიურად არან ჩართული მოსწავლეები, რასაც მოწმობს ეკო კლუბის მიერ დაგეგმილი და განხორციებული აქტივობები. რაც ხელს უწყობს სასკოლო და საკლასო გარემოს მიმართ მათი პასუხისმგებლობის გრძნობის გაღრმავებას. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. ***ექსპერტთა შეფასებით, მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ ინტერვიუ სკოლის წარმომადგენლებთან;
- ✓ საგნობრივი კურიკულუმების ნიმუშები;
- ✓ პედსაბჭოს ოქმი;
- ✓ სამეურვეო საბჭოს ოქმი;
- ✓ სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების დოკუმენტი;
- ✓ სკოლის შინაგანაწესი;
- ✓ წრეების ნუსხა, ფოლკლორის კლუბი ,,საუნჯე, კლუბი ,,კინო სკოლაში“.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტის სახით "სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია" სადავ არსებული ჩანაწერიდან დგინდება, რომ სასკოლო კურიკულუმის განვითარება უწყვეტი პროცესია. ის გულისხმობს შემდეგი ფაზების ყოველწლიურ მონაცვლეობას: ა) კურიკულუმი შემუშავება; ბ) დანერგვა; გ) დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება; დ) გადასინჯვა და რევიზია .სკოლას გაწერილი აქვს დეტალურად თუ როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი და შეფასება და რომელ პრინციპებს უნდა დაეყრდნოს. დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება კურიკულუმის განვითარების პროცესის განუყოფელი ნაწილია იმის აღწერა, თუ: - რამდენად მიმდინარეობს პროცესები დაგეგმილი ჩარჩოს ფარგლებში (მონიტორინგი); - რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი (შეფასება)? სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან. კვლევა და შეფასება ტარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით (ვადები, ინსტრუმენტები) და წარიმართება სამი მიმართულებით: - მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად; - სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული

განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობელების გადაჭრისთვის); - სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის) ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით სკოლას დოკუმენტში გაწერილი აქვს პროცესი დეტალურად და უზრუნველყოფს მონიტორინგს და შეფასებას განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად. ***ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

2. სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგსა და შეფასებას აქვს მხარდამჭერი ფუნქცია. მისი მიზანი არის სასკოლო საზოგადოებას დაეხმაროს სასწავლო შედეგების მიღწევაში, უკეთესი გარემოს შექმნაში. მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ მეთოდური მიდგომის მთავარ მიზანს წარმოადგენს გამოვლენილი პრობლემების გადაჭრა. ასევე სკოლის თვითშეფასებით დასტურდება, რომ მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება პრობლემის აღმოფხვრის მიზნით. სკოლაში უწყვეტად მიმდინარეობს შეფასების პროცესი, რომლის საფუძველზეც ხდება საჭიროებების გამოვლენა და ინტერვენციების დაგეგმვა, თუკი გადაჭრის გზები არ აღმოჩნდება ქმედითი, ხდება ახალი ფორმების, ინსტრუმენტების ძიება, რომლებიც სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერაზე არის ორიენტირებული.
მეთოდოლოგიის დოკუმენტში ხაზგასმული არის სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობის გაძლიერება ერთერთ მთავარ მიმართულებას წარმოადგენს. ამ მიზნით სკოლაში შექმნილია ხარისხის მართვის ჯგუფი. ***ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

3.სკოლის მიერ წარმოდგენილია დოკუმენტი "სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია", სადაც დეტალურადაა გაწერილი ფუნქციები, პასუხისმგებლობები სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის; განსაზღვრულია სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში მონაწილეობის ფორმები - ფუნქციებსა და პასუხისმგებლობებს შორის, რომლებიც სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში გამოიკვეთება ზოგიერთი თანხვედრაშია სასკოლო საზოგადოების წევრების ყოველდღიურ საქმიანობასთან, ზოგიერთი კი - მათ დირექტორის სპეციალური ბრძანებით დაევალებათ. მოხდება აღწერა, თუ: - რამდენად მიმდინარეობს პროცესები დაგეგმილი ჩარჩოს ფარგლებში (მონიტორინგი); - რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი. კვლევა და შეფასება ჩატარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით. მოხდება მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად; სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობლების გადაჭრისთვის); - სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის) აღნიშნული დოკუმენტაციის

ანალიზიდან შეგვიძლია დავადგინოთ , რომ სკოლაში კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას. ***ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ საგნობრივი კურიკულუმების ნიმუშები;
- ✓ საგნობრივი კათედრების სხდომის ოქმები;
- ✓ პედაგოგებთან გასაუბრება;
- ✓ კურიკულუმის დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- ✓ სსიპ ქალაქ ოზურგეთის N1 საჯარო სკოლის ხარისხის განვითარებისა და პროსიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
- ✓ სსიპ ქალაქ ოზურგეთის N1 საჯარო სკოლის ხარისხის განვითარებისა და პროსიული მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის ბრძანება N2-21;
- ✓ სსიპ ქალაქ ოზურგეთის N1 საჯარო სკოლის თვითშეფასების ანალიზი;
- ✓ შიდა საქმიანობის ხარისხი;
- ✓ ვერიფიკაციის მექანიზმი.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტში “სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია “ განსაზღვრულია მონიტორინგი და შეფასება სამი მიმართულებით. მოცემული ინსტრუმენტებიდან გამომდინარე, სასწავლო

პროცესის შეფასებისას ხდება მოსწავლეთა დიაგნოსტირების გზით პროგრესის გაზომვა. ასევე იგეგმება და მეთოდოლოგიური დოკუმენტით განსაზღვრულია კომპლექსური დავალებების და კურიკულუმების შეფასება. ***ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

2.სკოლა გეგმავს მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა მეთოდების გამოყენებას. სკოლას აქვს სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც ასახულია რა წყაროების საშუალებით ხდება დანერგვის პროცესის ამსახველი მონაცემების დამუშავება. მოსწავლის სწავლის პროგრესის, მისი საჭიროებების შეფასებისას მნიშვნელოვანია ინფორმაცია მოპოვებული იყოს ყველა იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რაც მოსწავლის პროდუქტიულობაზე ახდენს გავლენას.

შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, ითვალისწინებენ მოსწავლეების სხვადასხვა უნარებსა და შესაძლებლობას . რაც შესაძლებობას აძლევს მასწავლებლებს, გამოკვეთოს მოსწავლის მრავალმხრივი შესაძლებლობა და ინტერესი. იყენებენ მოსწავლის რეფლექსიებს, მშობელთა გამოკითხვას და პედაგოგების ანგარიშებს. ასე, რომ მასწავლებლები შეფასებას ახორციელებენ სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინებით, ყურადღება ექცევა მოსწავლეთა უნარებს, თუმცა სამომავლოდ გეგმავენ, რომ არსებული შეფასება კიდევ უფრო დახვეწონ. ***ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

3.სკოლას წარმოდგენილი აქვს სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც ასახულია რომ შეფასების პროცესში გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მეთოდები, კერძოდ, რა ინსტრუმენტები გამოიყენება სასწავლო პროცესის დაგეგმვისთვის, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებისთვის, დანერგვის პროცესთან დაკავშირებით მონაცემების შესაგროვებლად, დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასებისთვის; შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით სკოლა შეფასებისას გამოიყენებს მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს.

გასაუბრებისას დადგინდა, რომ სკოლის დირექცია, ხარისხის ჯგუფი და მასწავლებლები, სხვადასხვა მეთოდს იყენებენ ინფორმაციის შესაგროვებლად, მგალითად: გამოკითხვა, დაკვირვება, თვითშეფასება. ახდენენ მონაცემების შეგროვებას და ანალიზს. სამომავლოდ გეგმავენ, რომ შეიმუშაონ მონაცემთა შეგროვების უფრო მრავალფეროვანი მეთოდები. ***ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

4. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში: „ სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“- ასახულია რომ შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით. მოსწავლეთა შეფასების, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების და კურიკულუმის განვითარების მიზნით. სკოლა გეგმავს მათ მიერ შემუშავებული შეფასების სისტემა მორგებული იყოს მოსწავლეთა ინტერესებზე, შესაძლებლობებზე, საჭიროებებზე, რესურსებს წვდომასა და სხვა

ფაქტორებზე. შესაბამისად ექსპერტთა შეფასებით სკოლა აქვს განსაზღვრული შეფასება განახორციელოს სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

სკოლას არ აქვს სადიაგნოსტიკო შეფასების გამოცდილება, თუმცა, ესთეტიკური საგნების კათედრა აღნიშნავს, რომ სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტებიდან მომდევნო სასწავლო წელს პრაქტიკაში დანერგავენ პირველ და მეორე ინსტრუმენტს. შეფასებისას გათვალისწინებული იქნება როგორც მოსწავლის აკადემიური დონე, მოსწავლის განვითარების დინამიკა და განვითარების პროცესი. ***ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ შეფასების რუბრიკები;
- ✓ ინტერვიუ სკოლის წარმომადგენლებთან;
- ✓ საგნობრივი კურიკულუმების ნიმუშები;
- ✓ სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების დოკუმენტი;
- ✓ კურიკულუმის დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- ✓ ვერიფიკაციის მექანიზმი.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის რევიზიის მნიშვნელობა და განხორციელების წესი დეტალურადაა წარმოადგენილი წარმოდგენილ დოკუმენტში - "კურიკულუმის მეთოდოლოგია". მასში გაწერილია ნაბიჯები, რომელზე დაყრდნობითაც უნდა მომხდარიყო კურიკულუმის ეტაპობრივი განვითარება. კურიკულუმის განახლება და განვითარება ხდება მთელი წლის განმავლობაში, სასწავლო წლის განმავლობაში, შეგროვილი მონაცემების საფუძველზე. პედაგოგებისა და სკოლის წარმოამადგენელთა განცხადებით, სკოლა კურიკულუმის განვითარების მიზნით მომავალი სასწავლო წლის განმავლობაში გეგმავს სადიაგნოსტიკო შეფასების წარმოებას. მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავებისათვის სარეკომენდაციო პაკეტი იქმნება რამდენიმე კომპონენტზე დაყრდნობით, რაც დეტალურადაა გაწერილი სკოლის მიერ შემოთავაზებული დოკუმენტის ფარგლებში. აღნიშნული კომპონენტებია, კათედრული მუშაობა, მოსწავლეთა ჩართულობის გაანალიზება, მოსწავლეთა შეფასებებზე დაკვირვება და პროგრესის დიაგნოსტირება, ასევე დირექციის ჩართულობა პროცესში. ***ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

2. კურიკულუმის გადამუშავების პროცესი გაწერილია სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში " სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია". კურიკულუმის რევიზია ეყრდნობა წინარე გამოცდილებას. დოკუმენტის მიხედვით სკოლის ფარგლებში კურიკულუმის გადამუშავება ხორციელდება საგნობრივ კათედრებზე, სადაც პედაგოგთა ჯგუფი ხელმძღვანელობს რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინებით. განიხილება მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხი სასწავლო პროცესში, ასევე მოსწავლეთა შედეგებზე დაკვირვებით დგინდება კურიკულუმით განსაზღვრულმა საგანმანათლებლო აქტივობებმა რამდენად გამოიწვია მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესება. მშობელთა ჩართულობის ხარისხის გაანალიზება და ასევე მათი ინფორმირების მექანიზმების ეფექტურობის შეფასება. შესაბამისად სკოლა კურიკულუმის გადამუშავების პროცესში დაეფუძნება წინარე გამოცდილებას და გაითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. ***ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ სკოლის თვითშეფასების ფორმა;
- ✓ დოკუმენტი - კურიკულუმის მეთოდოლოგია;
- ✓ საგნობრივი კურიკულუმის ნიმუშები;
- ✓ სკოლის მასწავლებლებთან ინტერვიუ.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი-საშუალო საფეხური

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას წარმოდგენილი აქვს შესაბამისი დოკუმენტი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის შესახებ. აღნიშნული დოკუმენტი კარგი ინდიკატორია სკოლის ფარგლებში სასკოლო კურიკულუმის დანიშნულებისა და ფუნქციების გააზრების ხარისხის შესაფასებლად. დოკუმენტში მკაფიოდაა ჩამოყალიბებული, კურიკულუმის ჩამოყალიბებისა და შემდგომი განვითარების მეთოდოლოგია. ჩაშლილია კურიკულუმის შემადგენელი ნაწილებისა და კომპონენტების შესახებ ინფორმაცია. აღწერილია, თუ რა პრინციპებს ეფუძნება კურიკულუმის განვითარების ეტაპები. მასში წარმოდგენილი და განსაზღვრულია დოკუმენტის დამუშავებისას, რა ფუნქცია მოვალეობები ეკისრება დირექციას და რა პედაგოგებს. კურიკულუმის რევიზიის ნაწილში მკაფიოდაა ჩამოყალიბებული, თუ როგორ უნდა მოხდეს, სასკოლო საზოგადოებების წევრების ინტერესებისა და შეხედულებების ასევე პრიორიტეტების მიხედვით არსებული კურიკულუმის გარდაქნა და მისი რევიზია. მასში

გათვალისწინებულია, მოსწავლეთა შედეგების განსაზღვრა, ასევე მშობელთა ჩართულობა და კათედრებისა და დირექციის როლი და დანიშნულება აღნიშნულ პროცესში.

უცხოური ენის შესწავლა სკოლაში მიმდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმისა და უცხოური ენის საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად, პირველი უცხოური ენა არის ინგლისური, მეორე უცხოური ენა არის გერმანული და რუსული, ხოლო მესამე უცხოური ენა არის ფრანგული. ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, სკოლაში, პირველი უცხოური ენის შესწავლა იწყება პირვე კლასში, ხოლო მეორე უცხოური ენის შესწავლა კი მეხუთე კლასში, მესამე უცხოური ენა ისწავლება საშუალო საფეხურზე არჩევით საგნად.

როგორც აღვნიშნეთ,სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგია. სკოლის კურიკულუმის განვითარების პროცესი მოიცავს ოთხ ეტაპის : 1. დაგეგმვა ; 2. დანერგვის; 3. დანერგვისპროცესის მონიტორინგი და შეფასება ; 4. რევიზის ეტაპი. დოკუმენტში აღწერილია სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქცია-მოვალეობები. მათი ფუნქციები და პასუხისმგებლობები ზოგ შემთხვევაში ემთხვევა სასკოლო საზოგადოების წევრთა ყოველდღიურ საქმიანობას.

სასკოლო საზოგადოებისთვის სკოლას შექმნილი აქვს კითხვარები (კითხვარი - გაიდლაინი პედაგოგებისთვის; გაიდლაინიმოსწავლეებისთვის; გაიდლაინი მასწავლებლებისთვის). აღნიშნული კითხვარები ამ ეტაპისთვის წარმადგენს სამუშაო ვერსიას. რაც სავსებით ნორმალურია, რადგან სკოლა კურიკულუმების დაგეგვისა და განვითარების პროცესშია. აღნიშნული კითხვარების არსებობა კი გამოხატავს სკოლის მზაობას კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში აისახოს სასკოლო საზოგადოების ინტერესი, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. საშუალო საფეხურზე, კერძოდ მე-10, მე-11 კლასებში ესთეტიკური აღზრდის საგნების, მუსიკისა და ხელოვნების სწავლება მიმდინარეობს პროექტული სწავლებით. ხელოვნების პედაგოგს წარმოდგენილი აქვს გაწერილი პროექტი. რაც შეეხება მუსიკის პედაგოგს არ აქვს გაწერილი და არც არის ამჯერად შემუშავებული კურიკულუმის გაწერის შაბლონი, რადგანაც მუსიკის პროექტული სწავლებისათვის სახელმძღვანელოში მოცემულია ექვსი თემა და მოსწავლეები წლის დასაწყისში ირჩევენ სემესტრში ერთ თემას განსახორციელებლად. ვინაიდან, თემების არჩევა უნდა მოხდეს მასწავლებლის დეტალური, საფუძვლიანი ახსნის და მოსწავლეთა მსჯელობის და ინტერესების გათვალისწინებით, შეუძლებელია წინასწარ განისაზღვროს ასარჩევი თემების ჩამონათვალი. ***ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

2.სკოლის მიერ წარმოდგენილია „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ სადაც აღწერილია როგორ ხდება კურიკულუმის შემუშავებისა და განხორციელების დროს სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება. ასევე, აქტიურად არიან ჩართულები სკოლის დირექციის წევრები, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში მასწავლებლებს აძლევენ მეთოდურ რეკომენდაციებს. შემუშავებულია კომპლექსური დავალების ბარათები, რაც მიუთითებს მშობლების ჩართულობაზე. ინტერვიუს დროს ნათელი გახდა, რომ კათედრების წევრები კურიკულუმის შემუშავების

პროცესის უშუალო მონაწილენი არიან, გამოკვეთილი აქვთ სასკოლო საზოგადოების ინტერესები, რაც გათვალისწინებული იქნება სასკოლო კურიკულუმის შექმნის პროცესში. მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით მოხდება სსსმ მოსწავლეებისათვის რესურსების შერჩევა და დავალებების მოდიფიცირება.
ასევე კურიკულუმის შემადგენელი შემოქმედებითი აქტივობების განხორციელებისას, პედაგოგების თქმით, ხდება მშობლების ინფორმირება პირადი საუბრების ფარგლებში და ასევე მოსწავლეთა კონკრეტული ინტერესების გათვალისწინება.
სკოლას შექმნილი აქვს კითხვარები: მასწავლებლებისთვის, მოსწავლეებისთვისა და მშობლებისთვის, რაც გულისხმობს რომ სკოლას აქვს მზაობა სასკოლო კურიკულუმების შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების ასახოს ინტერესები. გარდა ამისა, უცხოური ენის შესწავლა სკოლაში მიმდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმისა და უცხოური ენის საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად, პირველი უცხოური ენა არის ინგლისური, მეორე უცხოური ენა არის გერმანული / რუსული. ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, სკოლაში, პირველი უცხოური ენის შესწავლა იწყება პირველ კლასში, მეორე უცხოური ენის შესწავლა მეხუთე კლასში. არჩევით საგნად კი სკოლა მოსწავლეებს, სწავლების მესამე საფეხურზე სთავაზობს ფრანგულ ენას, რაც თავისთავად გულისხმობს მოსწავლეთა (სასკოლო საზოგადოების) ინტერესის გათვალისწინებას;

სკოლაში წარმატებით ფუნქციონირებს კითხვის და სამოქალაქო კლუბები,რომელთა ფარგლებშიც ასახულია მოსწავლეთა ინტერესები. კითხვის კლუბი „პარმა“ მე-7-, მე-10 კლასების მოსწავლეებისაგან არის დაკომპლექტებული, მათ მიერ სისტემატურად ხდება სხვადასხვა მხატვრული ლიტერატურის კითხვა-განხილვა, მასწავლებელთა და მშობელთა ჩართულობით. ასევე წარმატებით ფუნქციონირებს სამოქალაქო განათლების კლუბი „ახალი თაობა“, რომლის მიერ შექმნილი პროექტი დაფინანსდა USAID მიერ.საშუალო საფეხურზე პროექტული სწავლებაა. პროექტების შერჩევა და მასზე მუშაობა ხდება სასკოლო საზოგადოების ინტერესის გათვალისწინებით. ***ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

3. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში-“კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“,დეტალურად არის აღწერილი, როგორ ხდება ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. გამოკვეთილია რა როლი და ფუნქცია აქვს მასწავლებელს, კათედრის ხელმძღვანელსა და დირექციის წარმოამადგენლებს. მეთოდოლოგიაში ვკითხულობთ, რომ კურიკულუმი შემუშავებული იქნება სასკოლო საზოგადოების მიერ. ისინი გაითვალისწინებენ წინა წლის მიღწევებს და ცდილობენ ახალი სტრატეგიების შემუშავებით ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებისკენ სვლას. უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ჩართულობა ამ პროცესში, აქტიური უკუკავშირი მათთან .კურიკულუმში დაგეგმილია კომპლექსური დავალებები, რაც განათლების თანამედროვე პარადიგმების განხორციელების საშუალებას იძლევა, ეს კი თავისთავად გულისხმობს თითოეულ მოსწავლეზე ორიენტირებულობას. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლის მხარდამჭერ გარემოს ქმნის საინტერესო აქტივობებით და

მოსწავლეებთან პოზიტიური დამოკიდებულებით, ითვალისწინებენ და წაახალისებენ მათ ინიციატივებს. სკოლას შექმნილი აქვს კითხვარები: მასწავლებლებისთვის, მოსწავლეებისთვისა და მშობლებისთვის, რაც ერთგვარ თანამონაწილეობას გულისხმობს კურიკულუმის შემუშავებისას. გარდა ამისა, სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმა (რომელის ნაწილიც გახლავს სასკოლო კურიკულუმი) შეთანხმნებულია სამეურვეო საბჭოსთან (რომელიც აერთიანებს სასკოლო საზოგადოებას: მასწავლებელს, მშობელსა და მოსწავლეს) და დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს მიერ. გარდა ამისა, ინტერვიურებისას გამოიკვეთა, რომ კათედრის წევრები მჭიდროდ თანაშრომლობენ ერთმანეთთან.სკოლის თვითშეფასების ფორმაში ვკითხულობთ, რომ კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება _ დირექცია, მასწავლებლები, მშობელთა კომიტეტი და სასკოლო თემი. დოკუმენტაციაში მტკიცებულებად წარმოდგენილია მშობლის ბარათები, რაც ამტკიცებს, რომ მათი ინტერესებისა და სურვილების გათვალისწინებით, ასევე უკუკავშირის საფუძველზე იქმნება სასკოლო კურიკულუმი, რომლის დახვეწა-განვითარებისთვის მომავალშიც გაგრძელდება თანამშრომლობა.

საშუალო საფეხურზე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების პედაგოგს წარმოდგენილი აქვს 2 პროექტი:

- ✓ **ხელოვნება როგორც გამოხატვის საშუალება; ხელოვნება და მისი ფუნქციები თანამედროვე სამყაროში.**
- ✓ **ტექნიკური პროგრესი,სამეცნიერო მიღწევები,აღმოჩენები და ხელოვნება.**

აღნიშნული პროექტები შერჩეულია მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით. ***ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

4. "კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია" რომლის საფუძველზე, იკვეთება რომ სასკოლო საზოგადოების ყველა წარმომადგენელი, როგორც დირექცია და პედაგოგები, ასევე მშობლები და მოსწავლეები, აცნობიერებენ კურიკულუმის მნიშვნელობასა და ფუნქციას. შესაბამისად, დოკუმენტი საჯაროა და მასზე თავისუფალი წვდომა აქვს სასკოლო საზოგადოების თითოეულ წარმოამდგენელს. კურიკულუმის გაზიარება ხდება კათედრაზე, მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფის შეხვედრებზე. მშობლებთან კომპლექსური ბარათების გაზიარება ხდება ონლაინ სივრცეში თიმსისა და მესენჯერის ჯგუფებში. დოკუმენტი საჯაროა და მასზე თავისუფალი წვდომა აქვს სასკოლო საზოგადოების თითოეულ წარმოამდგენელს.პროექტული სწავლება ისედაც ითვალისწინებს შექმნილი პროდუქტის (ბუკლეტი, გაზეთი,კონფერენცია, და ა.შ.) წარდგენას და გაზიარებას სასკოლო საზოგადოების წევრებთან. ***ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ დოკუმენტი - "კურიკულუმის მეთოდოლოგია";
- ✓ სკოლის წარმომადგენლებთან ინტერვიუ;
- ✓ საგნობრივი კურიკულუმის ნიმუშები;
- ✓ სასკოლო სასწავლო გეგმა;

- ✓ სკოლის მშობელთა კრების ოქმი;
- ✓ სკოლის კითხვარები (მასწავლებლებისთვის, მოსწავლეებისთვის და მშობლებისთვის);
- ✓ თვითშეფასების ფორმა;
- ✓ მშობლის ბარათი;
- ✓ X კლასი ხელოვნების პროექტი- 1;
- ✓ X კლასი ხელოვნების პროექტი- 2.

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.საშუალო საფეხურზე ბუნებისმეტყველების ფარგლებში წარმოდგენილია ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის 2023-2024 სასწავლო წლისთვის კურიკულუმის ჩარჩოები, სადაც რიგ სავალდებულო თემებში შერჩეული საკითხების საშუალებით თემაში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება, როგორც გრძელვადიანი მიზანი. პედაგოგიურ საბჭოზე განიხილეს საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო, რომელის დასრულყოფილება მოხდება ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე. სკოლაში ფუნქციონირებს ეკო კლუბი და წარმოდგენილია განხორციელებული აქტივობები, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნული და სოციო-ემოციური განვითარებას, ზრდის მოტივაციას და ფორმალური და არაფორმალური განათლების კომპონენტში მოსწავლეთა აქტიური და თანასწორი ჩართულობის საშუალებას იძლევა. საგანში. მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა პედაგოგების მზაობა დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომებთან დაკავშირებით, ისაუბრეს საკუთარ გამოცდილებაზე კომპლექსური დავალებების განხორციელების კუთხით და გააკეთეს ზუსტი აქცენტები კომპლექსური დავალების, როგორც

შუალედური მიზნის მნიშვნელობაზე. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზიდან და საბუნებისმეტყველო კათედრის წევრებთან ფოკუს-ჯგუფის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს შედეგებიდან ჩანს, რომ კათედრას აქვს საკმარისი მზაობა , გამოცდილება და ხედვა, წარმატებით დაგეგმოს და განავითაროს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესი.

საშუალო საფეხურზე, საზოგადოებრივი მეცნიერებების ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვამ მკაფიო წარმოდგენა შეგვიქმნა. საგან გეოგრაფიის და მოქალაქეობის ფარგლებში X კლასის ბაზაზე შექმნილი კურიკულუმის ნიმუშები აგებულია თეორიული და პრაქტიკული მახასიათებლების სრული დაცვით, იგივე შეიძლება ითქვას საგან ისტორიის ფარგლებში შექმნილ კურიკულუმის ჩარჩოს ნიმუშზე X კლასში, რაც შეეხება XII კლასს, დოკუმენტი არაა წარმოდგენილი. ისინი ორიენტირებულია სასწავლო პროცესის დაგეგვმასა და განვითარებაზე, მასში წარმოდგენილი კომპონენტები საჭირო გრაფებშია მითითებული და იძლევა შემდგომი რევიზიისა და განვითარების კარგ საშუალებას. შევსებულია ყველა გრაფა და იძლევა მკაფიო წარმოდგენას, როგორ ესახებათ პედაგოგებს მომავალ სასწავლო წელს სასწავლო პროცესის წარმართვა, კათედრაში შემავალი საგნების ფარგლებში. ინდიკატორი შეესაბამება სდანტარტს.

სკოლაში პირველი უცხოური ენა არის ინგლისური, მისი სწავლება ხორციელდება პირველი კლასის მეორე სემეტრიდან. ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საათობრივი დატვირთვის მიხედვით. მეორე უცხოური ენა არის გერმანული ან რუსული. მეორე უცხოური ენის სწავლება ასევე ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, ხორცილედება ისწავლება მეხუთე კლასიდან. მესამე არჩევითი ენა არის ფრანგული, რომელსაც არჩევითი საგნის სტატუსი აქვს საშუალო საფეხურზე. სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესი იგეგმება თემატურად. თითოეული თემის ფარგლებში მუშავდება სტანდარტის ყველა შედეგი და სამიზნე

საშუალო საფეხურზე კურიკულუმში შემუშავებულია ისეთი პროექტები, რომლებიც მოსწავლეებს აძლევს:

- **საკუთარი კვლევების საფუძველზე გაიაზროს თუ როგორ აისახება სამეცნიერო მიღწევები ხელოვნების სფეროებზე,სხვადასხვა დარგზე**
- **თვალსაჩინოდ აღიქვას ,როგორ შეიძლება ახალი სამეცნიერო აღმოჩენები და მიღწევები გამოყენებულ იქნას ხელოვნებაში სიახლეების დასანერგად.**
- **გამოიყენოს წინა წლებში მიღებული ცოდნა,ჩაატაროს კვლევა შერჩეულ თემაზე და ამ ცოდნაზე დაყრდნობით საკუთარ ნამუშევარში დასახული ამოცანის,იდეის განსახღვრა და სხვადასხვა მხატვრულ გამომსახველობითი საშუალებების შემოქმედებითად გამოყენების შედეგად.**

- **გააცნობიეროს რომ ხელოვნების მეშვეობით შესაძლებელია სამოქალაქო პოზიციის გამოხატვა,თანამედროვე მიმდინარე მოვლენების მიმართ**

- **შეძლოს გაანალიზოს ხელოვნების ნაწარმოებში გამოყენებული გამოსახვის საშუალებები,ხოლო შემდეგ მიზანმიმართულად ამოირჩიოს გამოსახვის საშუალებები,ხერხები,პრინციპები და შექმნას პრაქტიკული ნამუშევარი.**

ყოველივე ეს მოსწავლეს აძლევს შინაგანი ძალების გააქტიურების და განვითარების საშუალებას. ***ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

2.სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, შემუშავებული კურიკულუმების ანალიზისას, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლის კურიკულუმები სრულად მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან და შუალედურ მიზნებს. სასწავლო პროცესში შექმნილი პოზიტიური გარემო, რაც გამოვლინდა მასწავლებლების ინტერვიურებისას.

სკოლის მიერ შემდგომი სასწავლო წლისათვის წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმის ჩარჩოში თითოეული კლასისთვის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად განსაზღვრულია გრძელვადიანი მიზნები, მუშავდება ყველა სამიზნე ცნება, მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება და მზაობა იმისათვის, რომ დაგეგმონ და განახორციელონ პროცესი საინტერესოდ, რათა მიზანმიმართული იყოს, მოსწავლის გლობალურ-ფუნქციური უნარების განვითარებაზე. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში მკაფიოდაა განსაზღვრული, რომ კურიკულუმის მთავარი ორიენტირი სკოლისთვის არის ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიანი მიზნები (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები) აგრეთვე გამოკვეთილია რომ კურიკულუმის განვითარების პროცესის მთავარი პრინციპია სასკოლო კურიკულუმის შემუშავება მოხდეს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად; ხდება საკითხების შერჩევა, რომელიც ისწავლება სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგნებში საფეხურის ფარგლებში (იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად დაძლიეს მოსწავლეებმა წინა წლის სასწავლო გეგმით განსაზღვრული პროგრამა); საკითხების განსაზღვრა, რომლებიც ისწავლება სხვა საგნის საკითხებთან ინტეგრირებით; იმის განსაზღვრა, თუ რა ფორმით უნდა გამოხატოს მოსწავლემ ცოდნა შესასწავლ საკითხთან/საკითხებთან დაკავშირებით (თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით); აქტივობებისა და სასწავლო რესურსების აღწერა, რომლებიც ეფექტურად იქნა გამოყენებული წინა წელს შუალედურ სასწავლო მიზანზე მუშაობისას; სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის და საგნობრივიი კურიკულუმის ჩარჩოს ანალიზი, აგრეთვე საბუნებისმეტყველო კათედრის წევრებთან ფოკუს-ჯგუფის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ კათედრას აქვს გამოცდილება კომპლექსური დავალებების დაგეგმვა /განხორციების აგრეთვე, სამომავლო ხედვა და მზაობა საგნობრივი კურიკულუმები მიმართოს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებზე, (სამიზნე ცნებები და შედეგები), პროცესში გააქტიუროს

მოსწავლის გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი) და განუვითაროს მოსწავლეს გამჭოლი კომპეტენციები (მაკროცნება). ***ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

3. სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტი სსსმ მოსწავლესთან მუშაობის გამოცდილება, სადაც აღწერილია, რომ სკოლა 2021 წლიდან ჩართულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროექტში „ განათლების მიღების მეორე შესაძლებლობა, სოციალური ინკლუზიით „ ქვეპროგრამის ფარგლებში. არსებული პროექტის ფარგლებში საინტერესო კლუბები იყო შემოთავაზებული.

ამ პროექტის სამიზნე ჯგუფი არის 5 მოლდაველი მოსწავლე, რომლებიც მეტ ყურადღებასა და სოციალიზაციას საჭიროებენ. პროექტში ჩართული იყვნენ მოხალისე მოსწავლეები . პროექტის კოორდინატორი თავის გუნდთან ერთად თვლის, რომ ეს არის საჭირო პროგრამა საგანმანათლებლო სივრცეში, რომელიც უკავშირდება სოციალურ ინკლუზიას. პროექტის ფარგლებში ჩვენმა სკოლამ შეარჩია და ამუშავდა სხვადასხვა კლუბები.

საჯარო სკოლა არეგულირებს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდებას. გაწერილია სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების იდენტიფიცირებისა და სსსმ სტატუსის მოპოვების , ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებისა და შესრულების რეგულაციები. მასწავლებლები ქმნიან ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს სსსმ მოსწავლეთა აკადემიური, კოგნიტური და შემეცნებითი უნარ-ჩვევების გათვალისწინებით, უზრუნველყოფენ, რომ სსსმ მოსწავლეები თანაბრად იყვნენ ჩართული საგაკვეთილო პროცესში და სასკოლო ცხოვრებაში. აქტიურად ქმნიან სასწავლო ადაპტირებულ რესურსებს. დაგეგმილია აქტივობები, განსაზღვრულია მასალის მიწოდების, წარმოდგენის სხვადასხვა ფორმა, ყველა ტიპის მოსწავლის ინტერესების, შესაძლებლობების და საჭიროებების გათვალისწინებით. გაკვეთილზე ხდება მრავალფეროვანი რესურსის გამოყენება;

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ასახულია შემთხვევები, რომ კონკრეტული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისათვის, სკოლის ფარგლებში იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, პედაგოგებთან გასაუბრების დროს, მათ დააფიქსირეს თავიანთი მიდგომა აღნიშნული საკითხის მიმართ და განაცხადეს, რომ პედაგოგები მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების პროცესში, შეისწავლან მოსწავლეთა ინდივიდუალურ ინტერესებსა და მოთხოვნებს და აძლევენ მათ საშუალებას აირჩიონ მათვის საინტერესო საკითხი, ან თუნდაც შემოქმედებითი პროდუქტი. პედაგოგების თქმით, ისინი სამომავლოდ გეგმავენ, რომ სრულად გაითვალისწინონ დიფერენცირებული და ინდივიდუალური მიდგომები და მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით, კომპლექსური დავალებების შესრულებისას, საშუალო საფეხურის მოსწავლეებს მისცენ საშუალება აირჩიონ სხვადასხვა შემოქმედებით აქტივობას შორის და თავად განსაზღვრონ შემოქმედებითი პროდუქტის რომელი სახეა მათთვის უფრო საინტერესო. სკოლას წარმოდგენილი აქვს ინდივიდუალური გეგმები, თუმცა აღნიშნული არ არის წარმოდგენილი უცხოურ

ენაში. თვითშეფასების კითხვარში სკოლა აღნიშნავს, რომ ჰყავს 20 სსსმ მოსწავლე. უცხოური ენის მიმართულებით არ არის წარმოდგენილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. თუმცა სკოლის ზოგადი მზაობა ამ მიმართულებით ჩანს დაწყებით საფეხურზე შექმნილი ინდივიდუალური გეგმები (სხვა საგანში), გარდა უცხოური ენისა. სკოლას ასევე წარმოდგენილი აქვს სპეციალური მასწავლებლის სამოქმედო გეგმა და მულტიდუსციპლინური გუნდის შეხვედრის ოქმები, რაც ასევე ადასტურებს სკოლის მზაობას.

მასწავლებლებთან საუბრის დროს გამოიკვეთა, რომ ისინი ადაპტირებას უკეთებენ აქტივობებს და მიზნებს. გეგმავენ ინდივიდუალურ გეგმებს. რიგ შემთხვევაში ეს გამოიხატება კონკრეტული საჭიროებით, მაგალითად მოსწავლეს რომელსაც კითხვა უჭირს, კითხვის გასაუმჯობესებელ დავალებას, სთავაზობენ სიტყვებს, მათ თანმიმდევრულ დალაგებასა და წინადადებების აწყობას და ა.შ.

პროექტული სწავლებისას, კომპლექსური დავალებების პროდუქტებში არჩევანის შესაძლებლობა და მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები იძლევა დიფერენცირებული სწავლების შესაძლებლობას.

პედაგოგებთან გასაუბრებით გაირკვა , რომ საჭიროების შემთხვევაში ითვალისწინებენ დიფერენცირებულ/ინკლუზიური მიდგომებს , მათ აღნიშნეს , რომ მუშაობის პროცესში უწევთ დავალების ადაპტირება. მაგალითად, გასაუბრების დროს, ერთ-ერთმა პედაგოგმა აღნიშნა, რომ სსსმ მოსწავლისთვის შექმნა ისეთი დავალება, რომ საბოლოო პროდუქტი წარმოედგინა დიორამის მეშვეობით, კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი გახდა მისთვის უფრო მარტივი, სახალისო და მოსწავლე აქტიურად ჩაერთო სასწავლო პროცესში. ***ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

4.სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმის ნიმუშში წარმოდგენილია, რომ სკოლისთვის მნიშვნელოვანია შეფასების მიზნიდან გამომდინარე, მოსწავლეთა შეფასება დაუკავშირდეს არა მხოლოდ სწავლების შედეგს, არამედ სწავლის პროცესსაც. ამის უზრუნველსაყოფად სკოლაში გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი. განმსაზღვრელი შეფასება ადგენს მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში. აფასებს ცოდნათა ურთიერთდაკავშირების, ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენებისა და ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარს; განმავითარებელი შეფასება ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. მისი მიზანია ხელი შეუწყოს მოსწავლის წინსვლასა და განვითარებას. განმავითარებელი შეფასებით ფასდება ცოდნის კონსტრუირებისა და ცოდნათა ურთიერთდაკავშირების პროცესი, მოსწავლის მიერ თავისივე ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენის უნარი, ცოდნის სამივე კატეგორიის ათვისების პროცესი, ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარი, ასევე დგინდება წინარე ცოდნა/წარმოდგენები. პროექტით დგინდება, რომ შეფასება მისაღწევ შედეგებზეა გათვლილი. გრძელვადიან მიზნებზე და მეთოდიკურ ორიენტირებზეა მიმართული შეფასების კრიტერიუმები და გამომდინარეობს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენებიდან, რაც საშუალებას იძლევა შეფასდეს მოსწავლის მიღწევა

გრძელვადიან მიზნებთან და საგნის მისაღწევ შედეგებთან მიმართებით; ***ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

5. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში გამოკვეთილია პრინციპები, რომელსაც ეფუძნება სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესი, კერძოდ : სასკოლო კურიკულუმის შემუშავება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად; კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე; სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწყვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე; კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს; სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესი მჭიდრო კავშირშია სკოლაში მიმდინარე დამხმარე და მმართველობით პროცესებთან. კურიკულუმის შემუშავებაზე მუშაობა იწყება კონცეპტუალურ ჩარჩოს შესახებ მსჯელობით. განხილვის საგანია გამოწვევები, რომლებიც იკვეთება მოსწავლეზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პარადიგმის რეალიზების/ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების დანერგვის პროცესში (სასწავლო პროცესის ორიენტირება გრძელვადიან მიზნებზე, სასწავლო პროცესის დაფუძნება კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებზე, უპირობოდ პოზიტიური სასწავლო გარემო შექმნა): კათედრის პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს რომ ზოგიერთ კურუკულუმში შესული კომპლექსური დავალების იდეა წინა სასწავლო წლის გამოცდილებაზე დაყრდნობით დაგეგმეს და გაითვალისწინეს წინა წლის საქმიანობის ანალიზი და გამოცდილება. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზიდან და კათედრის წევრებთან ფოკუს-ჯგუფის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს შედეგად ჩანს, რომ მასწავლებლებს აქვთ სამომავლო ხედვა და მზაობა დაგეგმვის პროცესში ითვალიწინებენ წინარე გამოცდილების ანალიზს. პედაგოგების განცხადებით, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში, გათვალისწინებულ აქტივობებს რამდენიმე წელია იცნობენ და პრაქტიკული განხორციელების პროცესზე მუდმივად ახორციელებენ დაკვირვებას. ინდიკატორი შეესაბამება სდანტარტს. პროექტული სწავლება გასულ წელს შევიდა საშუალო საფეხურზე, აქედან გამომდინარე, წინარე გამოცდილება ვერ იქნებოდა გათვალისწინებული სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგანის მიერ განხორციელებულ პროექტში. პედაგოგებმა ინტერვიუს პროცესში დაადასტურეს, რომ პროექტის შესრულებისას საორიენტაციოდ იყენებენ მეთოდურ სახელმძღვანელოს და ამუშავებენ მოცემულ საკითხებს. ***ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ ინტერვიუ სკოლის წარმომადგენლებთან;
- ✓ საგნობრივი კურიკულუმების ნიმუშები;

- ✓ შეფასების რუბრიკის ნიმუშები;
- ✓ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების ოქმები;
- ✓ თვითშეფასების კითხვარი;
- ✓ X კლასი ხელოვნების პროექტი- 1;
- ✓ X კლასი ხელოვნების პროექტი- 2;
- ✓ სსსმ მოსწავლესთან მუშაობის გამოცდილება;
- ✓ სასკოლო სასწავლო გეგმა ;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, კურიკულუმებში თემების და კომპლექსური დავალებების მრავალფეროვანი იდეებია გაწერილი, რაც მოსწავლეში აღძრავს ინტერესებს და მას აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობისკენ უბიძგებს.

.სკოლში მოქმედი: ეკო კლუბი, სამოქალაქოო განათლების კლუბი, მკითხველთა კლუბი, ფოლკლორის კლუბი, აგრეთვე შერჩეული კომპლექსური დავალებები არის შესაძლებლობა იმის, რომ სასწავლო პროცესში განხორციელდეს ისეთი აქტივობები , სადაც მოსწავლე არის ცენტრალური სუბიექტი, ანუ იგი აიდენტიფიცირებს, განიხილავს და წყვეტს პრობლემებს; ეცნობა ახალ ინფორმაციას, ამუშავებს მას და განიხილავს სხვადასხვა კონტექსტში და სხვადასხვა თვალთახედვით; გადმოსცემს და ხსნის იდეებს თავისი სიტყვებით იქნება ეს წერილობით თუ დისკუსიების სახით. მოსწავლე ქმნის კომპლექსური დავალების პროდუქტს. მოსწავლის მოტივაციისა და სწავლის პროცესის ეფექტიანობისათვის თანამშრომლობით სწავლის ფორმა ჯგუფური და წყვილებში მუშაობა აქვს შერჩეული, სადაც მოსწავლეს შესაძლებლობა აქვს მუდმივად ინტერქციაში იყოს თანატოლთან, გასცეს და მიიღოს დაუყოვნებლივი უკუკავშირი, გაიზიაროს პასუხისმგებლობა საბოლოო შედეგზე. სასკოლო პროექტი კი ქმნის შესაძლებლობას თანამშრომლობითი გზით, ყველა ასაკის და საჭიროების მოსწავლე აქტიურად და თანაბრად იყოს ჩართული სხვადასხვა აქტივობებში, შერჩეული აქტივობები კი ქმნის მოსწავლის მაღალი ჩართულობის წინაპირობას, იძლევა მოსწავლის შინაგანი მოტივაციის აღძვრის შესაძლებლობას. ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარემ იქმნება პოზიტიური სასკოლო კულტურა და საკლასო კლიმატი, რაც ხელისშემწყობია მოსწავლის შემოქმედებით პროცესებში ჩართულობისათვის. მოსწავლეს უფლება აქვს კანონმდებლობით დადგენილი წესით, წერილობით ან/და ზეპირად გამოხატოს საკუთარი აზრი და გამოიჩინოს ინიციატივა რომლის მხარდაჭერის მიზნით სკოლა უზრუნველყოფს სპეციალური სამუშაო სივრცის მოწყობასა და საინფორმაციო კამპანიას და ხელს შეუწყობს ინიციატივების განხორციელებას ასევე მნიშვნელოვანი და საინტერესოა საბუნებისმეტყველო კათედრის გამოცდილება, კერძოდ, ერთობლივად შემუშავებული სამუშაო გეგმის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობები, რომლებიც ექსკურსიების, პროექტებისა და სხვა ღონისძიებებით ასევე იძლევა ღიაობის, მაღალი მიმღებლობის, პრობლემაზე ორიენტირებულობისა და მოსწავლის ინიციატივების წახალისების შესაძლებლობას. პროექტული სწავლებისას მოსწავლეებს ეძლევათ პრობლემაზე დაფუძნებული დავალებები. სახვითი და გამოყენებითი საგნის პედაგოგის მიერ წარმოდგენილია პროექტის გეგმა, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეებს უნდა მოეწყოთ განხილვა დისკუსია გაეროს 1975 წლის რეზოლუციის თემაზე: „სამეცნიერო -ტექნიკური პროგრესის გამიყენება მშვიდობისა და კაცობრიობის სასიკეთოდ“, დაეწერათ ესე, მოემზადებინათ პრეზენტაციები.
მოეწყოთ პრაქტიკული ნამუშევრების პრეზენტაცია თემაზე „ხელოვნება-საკუთარი პოზიციის გამოხატვის საშუალება“.

მსგავსი პროექტები ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესებში ჩართულობას, ასევე მოსწავლეების შინაგანი მოტივაციის ზრდას, ძალების გააქტიურებას და პოზიტიურ დამოკიდებულებებს.
საშუალო საფეხურის მათემატიკის კურიკულუმში ნათლად ჩანს მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესში აქტიური ჩართულობა . მაგალითად , ერთ-ერთი კომპლექსური დავალება ,,ჩემი საოცნებო გასართობი პარკი'' ამის ნათელი მაგალითია,

მოსწავლეებს უწევთ პრობლემის გადაჭრა , სტრატეგიების გააზრება, და სხვადასხვა ტიპის პროდუქტის შექმნა. ***ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

რჩევა: კარგი იქნება მათემატიკის კათედრამ კურიკულუმში ჩააშენოს პროექტული ტიპის დავალებები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლის ნიმუშები და სხვა, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებს გახდნენ სასწავლო პროცესის აქტიური მონაწილეები.

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია კურიკულუმის შემუშავებაზე მუშაობა იწყება კონცეპტუალურ ჩარჩოს შესახებ მსჯელობით. განხილვის საგანია გამოწვევები, რომლებიც იკვეთება მოსწავლეზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პარადიგმის რეალიზების/ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების დანერგვის პროცესში (სასწავლო პროცესის ორიენტირება გრძელვადიან მიზნებზე, სასწავლო პროცესის დაფუძნება კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებზე, უპირობოდ პოზიტიური სასწავლო გარემო შექმნა): ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შინაარსის სხვადასხვაგვარად ინტერპრეტირება; დანერგვის ინსტრუმენტების დაკავშირება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან წინარე ცოდნის გააქტიურების საშუალებას იძლევა. საზოგადობრივ მეცნიერებების ფარგლებში აღნიშნულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, ამ ინდიკატორის შეფასება რთულია. თუმცა კურიკულუმის ნიმუშებში, ის კონკრეტული გრაფა, რომელიც ცოდნათა ურთიერთდაკავშირებასა და წინარე ცოდნის, შესასწავლ საკითხთან დაკავშირებას ემსახურება, წარმოდგენილ დოკუმენტებში უკვე შევსებულია. ისტორიის, გეოგრაფიისა და მოქალაქეობის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოს შესაბამის გრაფაში - "მაგალითები შედარებისთვის" პედაგოგებს წარმოდგენილი აქვთ უკვე ცნობილი საგნობრივი საკითხები. შესაბამისად სწავლა-სწავლების პროცესში, აღნიშნულ კომპონენტებზე დაყრდნობით კარგადაა შესაძლებელი წინარე ცოდნის გააქტიურება და ნაცნობ კონტექსტებზე ახალი ცოდნის დაშენებას. .გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ კათედრის წევრებს , კურიკულუმის შედგენის დროს გათვალისწინებული აქვთ მოსწავლეთა ასაკი, მათი ინტერესები. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით; კომპლექსური დავალებების გაცნობის საფუძველზე, იქ სადაც წარმოდგენილია საკვანძო კითხვები, კითხვებზე პასუხის შემთხვევაში შესაძლებელია წინარე ცოდნის გააქტიურება და ახალი ცოდნის კონსტრუირება. ***ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

3.სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალაში : სამომავლოდ დაგეგმილ -საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩოებში, სასკოლო პროექტში ჩანს, რომ პროცესი ისეა დაგეგმილი მასწავლებლის მიერ, რომ მოსწავლემ განსაზღვროს დავალების/შესასრულებელი საქმიანობის ღირებულება, დაგეგმვა- როგორ შეასრულოს დავალება, როგორ მოახდინოს სწავლის პროცესის მონიტორინგი და სწავლის პროცესის დროს თავისი ქცევის სოციო-ემოციური მართვა . კომპლექსური დავალება მოიცავს საკვანძო შეკითხვებს, რომლებიც ლაიტმოტივად გასდევს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესს. კომპლექსური ბუნების დავალებების

დანერგვის მიზნებსა და არსებულ მტკიცებულებებში ამოიცნობა კომპლექსური დავალებების კრიტერიუმების დაფარვის წარმოდგენა – გასიტყვებისას სწავლის სწავლაზე მხარდაჭერა რეფლექსიის სახით. კათედრაზე პედაგოგები მიზანმიმართულად იყენებენ სწავლის, კვლევისა და ინფორმაციის მოძიების სხვადასხვა სტრატეგიას; მოსწავლეებს ასწავლიან ძირითად მასალაზე ხაზგასმას, მთლიანი მასალის დანაწევრებას და დანაწევრებული მასალის ათვისებას. ხოლო ემოციური კომპონენტის გასავითარებლად ეხმარებიან მოსწავლეებს ისწავლონ შეცდომის დანახვა და გამოსწორება, ის რომ არ ეშინოდეთ შეცდომის დაშვების, ისწავლონ ემოციების კონტროლი. სასწავლო პროცესში სწავლის სწავლაზე აქცენტების დასმა მასწავლებელთა პრაქტიკის ბუნებრივი ნაწილია, რაც სკოლაში ვიზიტისას დადასტურდა. პედაგოგებს აქვს გამოცდილება და მზაობა სასწავლო პროცესში აქცენტი გაკეთდეს სწავლის სწავლაზე;

პროექტული სწავლების სტრუქტურა ისეა აგებული, რომ მოსწავლეს დამოუკიდებლად შეუძლია დავალების პირობის განსაზღვრა, გააზრება და მის შესასრულებლად საჭირო ცოდნის გამოვლენა-მობილიზება. დავალების/აქტივობის მთავარი მიზნის დადგენა, სამუშაოს წარმატებით შესრულების კრიტერიუმების გათავისება, განსახორციელებელი სამუშაოს ეტაპების გამოკვეთა.

ხელოვნების მე-10 კლასში განხორციელებული პროექტი მოსწავლეებს შესძენს ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის გამოცდილების გაუმჯობესების საშუალებას. მოსწავლე თავად მოახდენს შესრულებული დავალების ანალიზს, მიიღებს სათანადო ზომებს საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად, განსაზღვრავს დროის მენეჯმენტს, რაც სჭირდება დავალების შესრულებას და პრეზენტირებას. ***ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

4. საგნობრივი საკითხების სიღრმისეული გააზრებისა და სასწავლო მასალის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებისთვის სკოლის მიერ მოწოდებულ მასალაში კერძოდ სამომავლოდ დაგეგმილ - კურიკულუმის ჩარჩოებში დაორგანიზდება ის კომპლექსური დავალებები, რომლებიც უნდა განახორციელდეს. შესაბამისად, კომპლექსური დავალებიის შესრულების დროს აქცენტი გაკეთდება ცოდნის სამ კატეგორიაზე. პედაგოგთა პირადი ინტერვიუს უკუკავშირის მიხედვით შეგვიძლია ვთქვათ, რომ შუალედურ სასწავლო მიზნად განსაზღვრულია კომპლექსური დავალება, კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებული სწავლება გულისხმობს ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებას. (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული); საგნობრივ პროგრამებში, კერძოდ კი წარმოდგენილ პროექტებში, კარგად არის ასახული, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). მოსწავლემ საკუთარი ცოდნა უნდა ასახოს კონკრეტულ შემოქმედებით პროდუქტში მისთვის ნაცნობი, რეალურ ცხოვრებისეულ მაგალითთან მიახლოებულ კონტექსტში, გააკეთოს ნაშრომის პრეზენტაცია და რეფლექსია.

მასალებში არ არის წარმოდგენილი შესრულებული პროექტის საბოლოო მტკიცებულებები, თუმცა კარგად გაწერილი კურიკულუმის ჩარჩო, წარმოდგენილი პროექტის გეგმები გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ პროექტი მიმართული იყო ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებისკენ. ასევე იმის ნათელსაყოფად, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე მოყვანილია საკლასო და კლუბური მუშაობის დროს განხორციელებული აქტივობები. მაგალითად : სამოქალაქო განათლების კლუბის ,,ახალი თაობა" მიერ დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობები, ასევე IX კლასის მოსწავლეების მიერ შექმნილი პოსტერები თემაზე ,, არა ძალადობას". ასევე კარგი მაგალითია კომპლექსური დავალება მათემატიკაში ,, მარტივი და რთული დარიცხვის პროცენტის დახმარებით პრობლემის გადაჭრა: სახელფასო შეთავაზების არჩევა. ''განხორციელების ეტაპები იძლევა იმის საშუალებას, რომ მოსწავლემ შეიძინოს ფაქტობრივი ცოდნა, შემდეგ მოსწავლე ასრულებს კონკრეტულ აქტივობებს და უკვე იცის , როგორ შეასრულოს ესა თუ ის პირობა. ბოლო ეტაპზე კი შეძენილ ცოდნას იყენებს. ***ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

5.სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალაში კურიკულუმის ჩარჩოებში იკვეთება , რომ ახალი სასწავლო წლისთვის დაიგეგმება და განხორცილდება კომპლექსური დავალებები.კომპლექსური ბუნების დავალებები, სწორედ ის საკვანძო ასპექტები თუ სტრუქტურულ ერთეულებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. იგი ყოველი განსაზღვრული თემით არის რა მოსწავლის გამოცდილების კონტექსტი, უზრუნველყოფს სასწავლი მასალის კავშირს მოსწავლის ცოდნასთან, მის ინტერესებსა და წარმოდგენებთან. მიემართება მოსწავლეთა ფუნქციური უნარების გამომუშავებას და ორიენტირებულია მოსწავლეთა ცოდნის ტრანსფერზე რეალურ ცხოვრებაში და ქმნის მოსწავლის პიროვნული მოქმედების არეალს. მისი განხორცილების დროს მოხდება ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა , რომ პროცესი იწყება წინარე ცოდნის გააქტიურებით, მასწავლებლის მიერ შეთავაზებული შინაარსი, საკითხი და პრობლემა მოსწავლისთვის უცხო არ არის, რაც საშუალებას აძლევს, რომ იფიქროს პრობლემაზე, გამოწვევაზე, გაუმკლავდეს იმ აქტივობებს რომლებსაც მასწავლებელი სთავაზობს, ამისათვის თავს უყრის ყველა იმ უნარს და ცოდნას, რაც მას ამ მიმართულებით რელევანტურად მიაჩნია, ის ორიენტირებულია პრობლემის გადაჭრაზე, ნაცვლად ახალი მასალის დასწავლისა . ითვალისწინებს მათ გამოცდილებას, არგუმენტებს, ცდილობს უპასუხოს კონტრარგუმენტით, მოძებნოს გამოსავალი. ყველა ეს აქტივობა კი მისგან მოითხოვს ყველა გამოცდილების მობილიზებასა და ცოდნების ინსტრუმენტად გარდაქმნას. ამავდროულად შესაძლებელია ცოდნის ინტეგრირებულად გამოყენებაც არაფორმალურ პროექტულ და პრობლემაზე დაფუძნებულ აქტივობების ფარგლებში. მაგალითად, კომპლექსური დავალება ინგლისურ ენაში - არგუმენტირებული ესსეს დაწერა „რომელი უფრო მნიშვნელოვანია მომავალი ცხოვრებისთვის, უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელება თუსხვა გამოცდლების პოვნა?", დავალების შესასრულებლად, მოსწავლეს უწევს ექვსივე გლობალურ-ფუნქციური უნარის ჩართვა, გარდა ამისა საგნის ჭირლში, ის

აერთიანებს უკვე დაუბლებულ ენობრივ უნარებს და უმატებს ახლად დაუფლებულ ენობრივ საშუალებებს. გარდა ამისა, მასწავლებლებთან გასაუბრებით გაირკვა, რომ ხშირად ატარებენ სასკოლო ღონისძიებებს, შეხვედრებს, სადაც უწევთ მოსწავლეებს დაუცფლებული ცოდნის გამოყენება.პროექტებით სწავლება და ზოგადად სასკოლო პროექტები ისეა აგებული, რომ მოსწავლემ გააერთიანოს ყველა ის უნარი და ცოდნა, რაც მას გამოადგება პრობლემის გადაჭრისას, გამოწვევებთან გამკლავებისა და პროდუქტის შექმნისას. ყოველივე ეს ხელს უწყობს ცოდნის ინსტრუმენტად გარდაქმნას. პროექტებით სწავლება იძლევა ცოდნათა ურთიერთდაკავშირების შესაძლებლობას და მოსწავლეს აძლევს ფიქრის საშუალებას, გამოყოს პრობლემა და თავი მოუყაროს ცოდნათა ორგანიზებას.

პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ კათედრას აქვს ინტეგრირებულ დავალებებზე მუშაობის გამოცდილება. მონიტორინგმა ცხადყო, რომ საგანთა შორის ინტეგრირება და ცოდნის ორგანიზება საბოლოოდ ეხმარება მოსწავლეებს სკოლაში მიღებული ცოდნა ცხოვრებაშიც გამოიყენონ. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებელს სამომავლოდ დაგეგმილი აქვს პროექტები ახლომდებარე სკოლებთან ერთად.

შერჩეულია ისეთი კომპლექსური დავალებები, რომ მოსწავლებ შეძლოს ცოდნის დაკავშირება ყოველდღიურ ცხოვრებასთან, მაგალითად ,,კვლევის დაგეგმვა, მონაცემების შეგროვება, ანალიზი'' აღნიშნული დავალებაში გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის სწორედ ის საკვანძო ასპექტები, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწვავლების საშუალებას აძლევს მოსწავლეებს. ***ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ ინტერვიუ სკოლის წარმომადგენლებთან;
- ✓ საგნობრივი კურიკულუმების ნიმუშები;
- ✓ სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების დოკუმენტი;
- ✓ X კლასი ხელოვნების პროექტი- 1;
- ✓ X კლასი ხელოვნების პროექტი- 2.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოებში სავალდებულო თემის ფარგლებში შერჩეული საკითხები მიმართულია გრძელვადიანი მიზნებისკენ, საგნის კონტექსტში მუშავდება კონკრეტული სამიზნე ცნება/ცნებები. „კურიკულუმის დაგეგმვის მეთოდოლოგიის“ თანახმად სამიზნე ცნებებს აზუსტებს მკვიდრი წარმოდგენები, ქვეცნებები, საფეხურის საკვანძო შეკითხვები. რომლებიც დაგეგმილი პროცესის ნაწილია, ვინაიდან მკვიდრი წარმოდგენები შემოსაზღვარავს ცნების არეალს, სწორედ მისგან გადმოთარგმნილი შეფასების კრიტერიუმები აქვს ჩაშლილი დავალების პირობას, რომელიც კარნახობს მოსწავლეს კომპლექსური დავალების შესრულება რა მიმართულებით უნდა მოხდეს. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზიდან ჩანს, რომ კათედრას აქვს გამოცდილება სასწავლო პროცესმა უზრინველყოს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისება საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. პროექტული სწავლებისას სავალდებულო თემებში მუშავდება სამიზნე ცნებები, მკვიდრი წარმოდგენები, განსაზღვრულია ზოგადი ქვეცნებები , რომლის დაძლევას/გააზრებას ემსახურება საგნობრივი საკითხი. კურიკულუმში წარმოდგენილი პროექტული დავალების იდეა, ამთლიანებს და დინამიკაში წარმართავს პროცესს. საშუალო საფეხურის კურიკულუმებში გაწერილია კომპლექსური დავალებები, სადაც დამუშავებულია ყველა სამიზნე ცნება და მკვიდრი წარმოდგენები. კურიკულუმში გაწერილი დავალებები იძლევა საშუალებას, რომ გააზრებული და გათავისებული იქნას კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენას და

საგნობრივ საკითხებს შორის, რაც უზრუნველყოფს სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების მოსწავლის ხანგრძლივ მეხსიერებაში დარჩენას. ***ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

2.2023-2024 სასწავლო წლისთვის სკოლამ შეარჩია პრიორიტეტული თემა: „გარემოს დაცვა“და აღნიშნულის ფარგლებში გეგმავს განახორციელოს აქტივობები რომელიც დააკმაყოფილებს მოსწავლეთა ასაკობრივ შესაძლებლობებს და მათ ინტერესებს. განავითარებს მოსწავლეთა ფიზიკურ, შემეცნებით და სოციო-ემოციურ სფეროს. სკოლის მიერ წარმოდგენილია საგნობრივი კურიკულუმები სადაც თითოეული თემის ფარგლებში წარმოდგენილი ძირითადი შესასწავლი საკითხები და კომპლექსური დავალებები მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარების ხელშეწყობის საშუალებას იძლევა. მართალია საგნობრივ კურიკულუმებში ასახულია კომპლექსური დავალების რამდენიმე იდეა, მაგრამ მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ კომპლექსური დავალების განხორციელების დროს მოსწავლეები დიდი ინტერესით ერთვებიან საგაკვეთილო პროცესში, მათთვის ყველაზე სახალისო პროდუქტის შექმნაა, ასევე ხალისით ერთვებიან კომპლექსური დავალების განხორციელების დროს საინტერესო აქტივობებში, მსჯელობენ საკუთარ ძლიერ და სუსტ მხარეებზე, აცნობიერებენ სხვების პოზიციას და შესწავლილი საკითხიდან გამომდინარე გამოხატავენ ემპათიას სხვების მიმართ, თანაკლასელებთან ამყარებენ პოზიტიურ ურთიერთობებს, უმკლავდებიან სტრესულ და კონფლიქტურ სიტუაციებს, პერსონალურ თუ სოციალურ ქცევებს შორის აკეთებენ ეთიკურ და კონსტრუქციულ არჩევანს. ამგვარი ქმედებები ემსახურება მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას, რაც ვლინდება კომპლექსური დავალების განხორციელების დროს.
 თვითშეფასების ფორმაში ვკითხულობთ, რომ სკოლაში არსებული ფორმალური და არაფორმალური გარემო მოსწავლეებს უყალიბებს კრიტიკულ აზროვნებას, სტრესული სიტუაციის გამკვლავების უნარს, ემპათიურობას, რაც გამოადგება მათ ცხოვრებისეული ამოცანების გადაჭრაში. სხვადასხვა საგნის ფარგლებში ხშირია როლური თამაშები, სიმულაციები, ხედვის კუთხისა და საკოომუნიკაციო ამოცანის შეცვლა, რაც საბოლოოოდ ეხმარება მათ აღნიშნული უნარების ჩამოყალიბებასა და დახვეწაში. ***ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

3.წარმოდგენილი დაკვირვების კითხვარების, , თვითშეფასების ფორმების საშუალებით დგინდება, რომ შეფასების სისტემა ორიენტირდება არა მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნაზე, არამედ ითვალისწინებს მოსწავლის პიროვნული განვითარებისთვის აქტუალურ ყველა გარემოებას , როგორია მოსწავლის ჩართულობა სასწავლო პროცესში , რა ფაქტორები უწყობს/უშლის სასწავლო პროცესში მოსწავლის აქტიურ მონაწილეობას ხელს , და ა.შ. შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში და განუყოფელი ნაწილია მოსწავლის ყოველდღიური პროცესის; რაც იკვეთება ასევე წარმოდგენილ უკვე განხორციელებულ კომპლექსური დავალების გეგმაში, სადაც პირობაში ჩაშენებულია შეფასების კრიტერიუმები, რომლის საშუალებითაც მასწავლებელი აფასებს თითოეული მოსწავლის მიერ შექმნილ კომპლექსური დავალების პროდუქტს, სამიზნე ცნების

თითოეული მკვიდრი წარმოდგენის შესაბამისად. ასევე მოსწავლის თვითშეფასების საშუალებას იძლევა კომპლექსური დავალების ბარათის ბოლოს. მოსწავლეთა ჰოლისტური შეფასების მექანიზმად და მოსწავლეთათვის განმავითარებელი უკუკავშირის მისაცემად, კომპლექსური დავალების პირობაში ჩაშენებულია შეფასების კრიტერიუმები, სადაც შეფასება ცოდნის გაგებასა და გამოყენებაზეა ფოკუსირებული, რაც გულისხმობს შეფასების ორიენტაციას მოსწავლის შესაძლებლობების, უნარების, პოტენციალის განვითარების დინამიკაზე; შეფასების ამოცანები შეესაბამება მოსწავლეების საჭიროებებს და გამომდინარეობს მათგან. ასეთი შეფასება ეხმარება მოსწავლეებს განავითარონ ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები. არსებული შეფასება წარმოადგენს მოსწავლის პროფილის დიფერენცირებულ ანალიზი, რომელიც ავლენს მათ ძლიერ და სუსტ მხარეებს და აძლევს მოსწავლს კონსტრუქციულ უკუკავშირს იმასთან მიმართებაში, თუ როგორ მიმდინარეობს სასწავლო პროცესი და როგორ შეიძლება იმუშაოს არსებულ გამოწვევებზე; არსებული შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე, რომელიც გულისხმობს კოგნიტური, ფიზიკური და ფსიქოსოციალური მიმართულებით შეფასებას. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები მორგებულია კურიკულუმს, უზრუნველყოფს შეაფასოს მოსწავლის ინდივიდუალური პროგრესი თავის წინარე შედეგებთან მიმართებით, რათა მოსწავლეს მისცეს ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირების საშუალება. შეფასება ძირითადად მიემართება გრძელვადიან მიზნებს. შეფასების რუბრიკების შექმნაში მოსწავლეებიც არიან ჩართული და მათ წინასწარ იციან რა კრიტერიუმებით შეფასდებიან სხვადასხვა დავალების შესრულებისას.

საშუალო საფეხურის მათემატიკის მასწავლებლები იზიარებენ შეფასების სისტემის მნიშვნელობას.იყენებენ როგორც განმავითარებელ,ისე განმსაზღვრელშეფასებას. აქვთ მზაობა, რომ სექტემბრისთვის შექმნან შეფასების რუბრიკები თემის ფარგლებში,თუმცა მათ მიეცათ შემდეგი სახის რჩევა:შექმნან სხვადასხვა ტიპის შეფასების რუბრიკები. ***ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

4.მასწავლებლებს აქვთ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების გამოყენების გამოცდილება. წინასწარ აცნობენ შეფასების რუბრიკებს მოსწავლეებს. ახალი სასწავლო წლისთვის შერჩეული იქნება კომპლექსური დავალებები, რომელთა აუცილებელ კომპონენტს შეფასების კრიტერიუმები შეადგენს. მოსწავლეებისთვის თავიდანვე ამ კრიტერიუმების შეთავაზება შეფასების სისტემის სანდოობას და გამჭვირვალობას უზრუნველყოფს. როგორც ინტერვიუს დროს აღნიშნეს, პედაგოგებმა სასწავლო წლის დაწყებამდე კათედრის ფარგლებში იქმნება შეფასების კრიტერიუმები, რომლის შედგენაშიც ჩართული არიან აქტიურად მასწავლებლები. შეფასების კრიტერიუმები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების და სასკოლო თემის დაინტერესებული პირების მიერ, ინფორმირებულნი არაინ მშობლები. შეფასების კრიტერიუმების ღიაობა და ობიქტურობა ხელს უწყობს სკოლას ამ მიმართულებით სანდოობის მაღალი ხარისხი ჰქონდეს. გაკვეთილის დასაწყისში მასწავლებლები აცნობენ მოსწავლეებს ამ რუბრიკებს. შეფასების სიხშირეს მონიტორინგს უწევს ადმინისტრაცია ელექტრონული

ჟურნალის სისტემატური მონიტორინგის გზით. მოსწავლე აქტიურადაა ჩართული კრიტერიუმების შემუშავების, განხილვის პროცესში, რაც შეფასების ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირვალობას უზრუნველყოფს.

სკოლაში შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. რაც, უპირველეს ყოვლისა, დაცულია შეფასების კრიტერიუმების არსებობით. სასწავლო წლის დასაწყისში თითოეული საგნის ან კათედრის ფარგლებში იქმნება შეფასების კრიტერიუმები, რომლის შედგენაშიც ან თავად მონაწილეობენ მოსწავლეები, ან მასწავლებლები დეტალურად აცნობენ როგორ რა კომპონენტებისა და აქტივობების მიხედვით შეფასდებიან. გარდა მოსწავლეებისა, შეფასების კრიტერიუმები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების და სასკოლო თემის დაინტერესებული პირების მიერ, ინფორმირებულნი არაინ მშობლები. შეფასების კრიტერიუმების ღიაობა და ობიქტურობა ხელს უწყობს სკოლას ამ მიმართულებით სანდოობის მაღალი ხარისხი ჰქონდეს- აღნიშნულია თვითშეფასების ფორმაში.

საზოგადოებრივი მეცნიერებების წარმომადგენელ საგნებში, რომლებიც ისწავლება საშუალო საფეხურზე, წარმოდგენილია დოკუმენტაცია, რომელზე დაყრდნობითაც შესაძლებელია გაკეთდეს მკაფიო დასკვნა. სკოლის მიერ წარმოდგენილი, განმავითარებელი, თუ განმსაზღვრელი შეფასების ნიმუშები, მხოლოდ საბაზო საფეხურზეა შექმნილი გეოგრაფიაში ისტორიასა და მოქალაქეობაში. თუმცა შეიძლება მივიჩნიოთ, რომ საშუალო საფეხურზეც მოქმედებენ მსგავსად. ასევე შეგვიძლია ვისარგებლოთ ინტერვიუს დროს პედაგოგთა უკუკავშირით, მათი განცხადებით შეფასების რუბრიკები იქმნება საგნობრივ სტანდარტებზე დაყრდნობით და წინასწარ უზიარდება სასკოლო საზოგადოების წევრებს, არის საჯარო და გამჭირვალე, ასევე ემყარება სტანდარტით გათვალისწინებულ ინდიკატორებს. ასევე სხვა საგნის ფარგლებში წარმოდგენილი ნიმუშებით სკოლაში არსებობს შეფასების სისტემა ,რომელიც არის სანდო, ვალიდური, ობიექტური, გამჭვირვალე და სამართლიანი. შეფასების რუბრიკები, რომელიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს და ითვალისწინებს ძირითად მეთოდიკურ ორიენტირებს, მოსწავლეებისათვის წინასწარ არის ცნობილი. ინტერვიუს დროს წარმოადგინეს შეფასების რუბრიკა და ახალი სასწავლო წლისათვის გეგმავენ, რომ ყველა თემასთან მიმართებით შექმნან შეფასების რუბრიკები. მასწავლებლები იყენებენ როგორც თვითშეფასებას, ასევე ურთიერთშეფასებას.

სკოლას, საშუალო საფეხურზე, მეორე, გერმანული ენის მიმართულებთ გადმოგზავნილი აქვს კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მორგებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, აღნიშნული შეფასება არის ვალიდური რადგან რუბრიკასა და ასახავს სწავლის შედეგს, მაგალითად, „საკომუნიკაციო სიტუაციაში მეტყველების განხორციელება სხვადასხვა მიზნით“ და ა.შ. შეფასების სისტემის გამჭვირვალობაზე მეტყველებს, ის ფაქტი, რომ დამრიგებელი წლის დასაწყისში მოსწავლეებსა და მშობლებს აცნობს სასკოლო სასწავლო გეგმას, რაც მოიაზრებს შეფასების სისტემის გაცნობასაც.

გარდა ამისა, კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პირველი ეტაპი, ხომ სწორედ პირობის გაცნობაა, შესაბამისად შეფასების გამჭვირვალობას ეს ფაქტორიც ადასტურებს.

მოსწავლეებმა იციან, რომ შეფასდებიან მხოლოდ იმ საკითხში, რისი შეფასებაც აქვს მასწავლებელს განზრახული. შეფასება არის გამჭვირვალე , მოსწავლეებმა იციან თუ როგორ შეფასდება მათი შრომა. იციან რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა პასუხმა თუ ნაშრომმა. შეფასების რუბრიკებს ასევე აცნობენ მშობლებსაც. კათედრა დაწყებული აქვს შეიმუშავება სხვადასხვა ტიპის შეფასების რუბრიკების მომდევნო სასწავლო წლისთვის. ***ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

5.სკოლას გააზრებული აქვს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის არსებობის მნიშნელობა. შემუშავებული აქვს და წარმოდგენილი "ვერიფიკაციის მექანიზმი და მოსწავლის შეფასებიის ინსტრუქცია" რომელიც არის სკოლაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმი. სკოლას განსაზღვრული აქვს გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტების ვალიდურობა, სანდოობა, გამჭირვალობა, გაწერილი აქვს გარე და შიდა შეფასების ეტაპები.

სკოლას ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ შეფასების რუბრიკების შემუშავება ხდება კათედრაზე ერთობლივად, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას. სასწავლო წლის დასაწყისში მშობლები გაეცნობიან სასკოლო სასწავლო გეგმას, სკოლაში მოქმედ შეფასების სისტემას. სკოლას შემუშავებული აქვს და წარმოდგენილი დოკუმენტის სახით „სკოლის შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი და მოსწავლეთა შეფასების ინსტრუქცია", რაც იძლევა იმის საფუძველს , რომ სკოლაში ფუნქციონირებს სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი.აღნიშნული მიმართულებით უცხოური ენის მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, მასწავლებლები მუდმივად აანალიზებენ მოსწავლეთა ნამუშვენრებს, შემდეგ ანალიზებს აცნობენ კათედრას და საჭიროების შემთხვევაში ერთობლივად ფიქრობენ გაუმჯობესების მექანიზმებზე. ინსტრუმენტულ დონეზე შეიძლება ვერფიკაციის მექანიზმი ავოვიკითხოთ სასკოლო სასწავლო გეგმაში, შეფასების პროცედურები, ვადები და ა.შ.

ქ. ოზურგეთის N1 საჯარო სკოლას 02.08.2023 რიცხვით, ბრძანება #2-159 -ით დამტკიცებული აქვს სკოლის შეფასების ვერიფიკაციის ინსტრუქცია. აღნიშნულ ინსტრუქციაში წერია რომ გარე შემფასებლად სკოლას წარმოდგენილი აქვს პარტნიორი სკოლები რომელიც მოსწავლის შეფასების მტკიცებულებებსა და საგნობრივი სტანდარტების საფუძველზე შეამოწმებს: შეფასების სისტემის ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირვალობას, სკოლის შიდა სისტემის ეფექტურობას.

სკოლაში შეფასების სისტემის ვერიფიკაციაზე პასუხისმგებელია დირექცია, რომელიც ახორციელებს დაკვირვებას სასწავლო პროცესზე და რეკომენდაციებს აძლევს მასწავლებლებს. ***ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით როგორც, მატერიალურად, ასევე ელექტრონულად. სკოლა იცავს დოკუმენტაციის წარმოებასთან და სკოლაში მათ შენახვასთან დაკავშირებულ რეგულაციებს. მოსწავლეთა პირადი საქმეებისა და მათი შეფასებების წესი განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით. კანონის შესაბამისად (2013 წლის 22 აგვისტო 113/ნ ბრძანება) სკოლაში უზრუნველყოფილია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების აღრიცხვა და შენახვა, რაც მტკიცდება წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე. მოსწავლის პირად საქმეში შეტანილია წლიური შეფასებები, ცნობები და საჭიროების შემთხვევაში ექსტერნატზე ინფორმაცია. ხდება ელექტრონული ჟურნლის წარმოება. შეფასებასთან დაკავშირებულ მონაცემებს, მტკიცებულებებს მასწავლებლები გადასცემენ კათედრას, რომელიც აწარმოებს მათ აღრიცხვას და შენახვას კანონმდებლობის შესაბამისად. რაც შეეხება შემაჯამებელ დავალებებს, მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს, გარკვა რომ სკოლა აწარმოებს შემაჯამებელი დავალების შეფასების ანალიზს, მათ აქვთ თითოეული მოსწავლის ნაშრომი შენახული. ***ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ ინტერვიუ სკოლის წარმომადგენლებთან;
- ✓ საგნობრივი კურიკულუმების ნიმუშები;
- ✓ სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების დოკუმენტი;
- ✓ შეფასების რუბრიკის ნიმუშები;
- ✓ მოსწავლეთა პირადი საქმეები;
- ✓ შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის“ დოკუმენტი;
- ✓ 2023–2024 სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ✓ სასკოლო პროექტი;
- ✓ ვერიფიკაციის მექანიზმი.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საშუალო საფეხურზე საგნობრივი კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია კათედრის ყველა წევრი, საჭიროების შემთხვევაში დირექცია აძლევს მეთოდურ რეკომენდაციებს, ხდება მოსწავლეებზე დაკვირვება და მათი ინტერესების და საჭიროებების გათვალისწინება. უზრუნველყოფილია გლობალური ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გამომუშავების ხელშეწყობა, რაც კათედრაზე კომპლექსური დავალებების სწავლებითაა შესაძლებელი . ასევე სკოლაში შექმნილი პოზიტიური გარემო, თანამშრომლობითი კულტურა, მიმღებლობა და ღიაობა, სასკოლო საზოგადოებას ჰარმონიულად განვითარების საშუალებას აძლევს. მასწავლებლები საუბრობენ პრობლემაზე ორიენტირებული კომუნიკაციის პრაქტიკასა და გაზიარებული პასუხისმგებლობებზე, რომ ნებისმიერ მასწავლებელს საშუალება აქვს ისარგებლოს სასწავლო პროცესისაგან თავისუფალი ფართით ან საერთო სარგებლობის სივრცეებით ნებისმიერ დროს, რათა განახორციელოს მისი ინიციატივები. სასწავლო პროცესთან დაკავშირებული კითხებისთვის ყველას ეძლევა საკმარისი დრო როგორც პედსაბჭოზე, ასევე შეუზღუდავად შეუძლიათ პირადი საუბრები და შეხვედრები ,როგორც დირექციასთან, ასევე კოლეგებთან. ამისათვის მათ აქვთ ფართი, მუდმივი ინტერნეტი და სასკოლო რესურსი. სკოლის მიერ შემუშავებულია კითხვარები, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეს წახალისებული და გათვალისწინებული იქნას მისი ინიციატივები. პედაგოგებთან გასაუბრების დროსაც იგრძნობოდა მხარდაჭერა, ერთიანობა და გუნდურობა. სკოლაში ხდება სსსმ მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინება. სასწავლო პროცესში შექმნილია მიმღებლობითი და მხარდამჭერი გარემო. სკოლას განხორციელებული აქვს პროექტები: „ ზოოკლუბი“, „ ნორჩი მეგობრები“, სადაც ნებისმიერ მოსწავლეს მათი ეთნუკური და რელიგიური კონფენსის მიუხედავად, მიეცათ საშუალება ჩართულიყვნენ აქტივობების განხორციელების პროცესში, შესაბამისად ექსპერტთა შეფასებით სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

სკოლის მისიასა და ხედვაში აისახება მოსწავლის მიმართ მხადამჭერი და მიმღებლობითი გარემო, გარდა ამისა ეს მიმღებლობა გამოხატულია სასწავლო პროგრამებსა და არჩევანის თავისუფლებაში. სკოლა მოსწავლეებს არჩევითად სთავაზობს მეორე უცხოურ ენას: ფრანგულს, გერმანულსა და რუსულს შორის. გარდა ამისა, სკოლაში შემუშავებულია მოსწავლის საჭიროებას მორგებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. სასკოლო დღის რეჟიმის მიხედვით მოსწავლეებს აქვთ შესვენების დრო გაკვეთილებს შორის (შესვენებების ხანგრძლივობა, ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემული ხანგრძლივობის შესაბამისია). სკოლის მიერ წამოდგენილ კურიკულუმებში (საშუალო სფეხურზე) გათვალისწინებულია მოსწავლი ინდივიდუალური და ასაკობრივი თავისებურება. ასე რომ, სკოლა, თავისი რელიგიური და ეთნომრავლფეროვანი გარემოდან გამომდინარე, ქმნის ტოლერანტობაზე დამყარებულ პოზიტიურ სასწავლო გარემოს, სადაც ნებისმიერი ეთნიკური წარმომავლობისა თუ რელიგიური კონფესიის ადამიანი თავს გრძნობს სასკოლო საზოგადოების ღირსეულ ნაწილად, სკოლაში სწავლობს ხუთი მოლდოველი, ერთი თურქი, ორი სომეხი ეროვნების წარმომადგენლები, ისინი მოიაზრებიან სკოლის ერთიანი გუნდის წევრად,

რომელსაც უსმენენ, აფასებენ, ხელს უწყობენ, ეხმარებიან, თანამშრომლობენ, იზიარებენ და უზიარებენ შეხედულებებს, რაც, საბოლოოდ, დემოკრატიულ ღირებულებებზე აღზრდილი პიროვნების ფორმირებას უწყობს ხელს.- ვკითხულობთ თვითშეფასების ფორმაში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე შეიძლება ითქვას რომ სკოლაში ტარდება სხვადასხვა სახის ღონისძიებები, გამოფენები.

ასევე წარმოდგენილია სკოლის მიერ ნებადართული წრეობრივი საქმიანობები.სიმღერის, გალობის, ხელოვნების, სპორტული ცეკვების, სამეჯლისო ცეკვების, უცხო ენების, გახანგრძლივებული სწავლების, ფრენბურთის და ა.შ. წრეები. ყოველივე ეს მიანიშნებს, რომ სასკოლო საზოგადოება ცდილობს იზრუნოს მოსწავლის პიროვნულ და აკადემიურ წინსვლაზე.

სსსმ მოსწავლეების ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისად შექმნილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. კათედრები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, შექმნილია პოზიტიური გარემო. ***ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

2. საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩოში შერჩეული კომპლექსური დავალებები უზრუნველყოფენ მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს, სადაც წამყვანია მოსწავლის ავტონომიურობა, არჩევანი, წინარე გამოცდილება და თვითრეგულაცია. მასწავლებლები ორიენტირებულები არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. კურიკულუმის ჩარჩოებში განსაზღვრულია თემები, თემის ფარგლებში შერჩეული საკითხები, კომპლექსური დავალებები, რომელთა გაწერა სექტემბრამდე იგეგმება შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად. საჭიროების შემთხვევაში სკოლა შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს, წაახალისებს ინტეგრირებულ გაკვეთილებს და პროექტებში მონაწილეობას. სკოლას 2023- 2024 სასწავლო წლისთვის შერჩეული აქვს პრიორიტეტული თემა გარემოს დაცვა, რომლის ფარგლებში სკოლა გეგმავს საკოლო პროექტის განხორციელებას სადაც აქტიურად იქნება ჩართული საშუალო საფეხურის მოსწავლეები. სკოლაში ფუნქციონირებს ეკო კლუბი, სამოქალაქო განათლების კლუბი, კითხვის კლუბი და ფოლკლორის კლუბი, სადაც ხდება მოსწავლეების შესაძლებლობების და ინტერესების გათვალისწინებით გეგმავს და ახორციელებს აქტივობებს. ექსპერტთა შეფასებით სკოლა სასწავლო პროცესს წარიმართავს მოსწავლეზე ორიენტირებულად;

დავალებები იძლევა საშუალებას, მოხდეს მოსწავლის საჭიროების მუდმივი მონიტორინგი სადიაგნოსტიკო ტესტების, კვლევების და პერიოდული გამოკითხვების საშუალებით, რაც სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას უწყობს ხელს. მოსწავლეზე ორიენტირებულ გარემოში აქცენტი კეთდება პროგრესზე. მასწავლებლები ხელს უწყობენ და ახალისებენ მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარის განვითარებას. მოსწავლე თავად არის საკუთარი სწავლის პროცესის წარმმართველი. ამის

საუკეთესო საშუალებაა კომპლექსური დავალებები, სადაც წამყვანია მოსწავლის ავტონომიურობა, მისი წინარე გამოცდილება და თვითრეგულაცია.

ის ,რომ სასწავლო პროცესის ცენტრში დგას თითოეული მოსწავლე და მოსწავლის მიღწეული შედეგი. ეს აისახება საშუალო საფეხურის კურიკულუმში, კერძოდ შემოთავაზებულ კომპლექსურ დავალებებსა და დავალებების იდეებში. მაგალითად, მესამე ენის, ფრანგულის მიმართულებით, „ჩემი ცხოვრება და ჩემი ოჯახი“, აღნიშნული დავალების შესასრულებლად, მოსწავლე საკუთარ ინტერესებს, საკუთარ გამოცდილებას უკავშირდება, მისი მზადება ამ დავალების შესასრულებლად კი (ეტაპების გავლისას), მხარდაჭერილია მასწავლებლის მხრიდან. თვითშეფასების კითხვარში აღნიშნულია, რომ მოსწავლეების შეფასება დაწყებით საფეხურზე ხდება განმავითარებელი შეფასებით,სწავლა-სწავლების პროცესში გათვალისწინებულია დიფერენცირებული მიდგომა. ინტერვიურების დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ თითოეული მოსწავლე დგას სასწავლო პროცესის ცენტრში, ისინი მდმივად ცდილობენ მოსწავლის მხარდაჭერასა და მასზე ორიენტირებას. ***ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

3. სკოლაში სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურას და კომუნიკაციას. ხდება მასწავლებელთა შეხვედრები, პრაქტიკის გაზიარება, სიახლეების დანერგვა. სკოლაში ხორციელდება ურთიერთდასწრება გამოცდილების გაზიარების მიზნით. სკოლამ განახორციელა მასწავლებლების, მოსწავლეების და მშობლების გამოკითხვა, რათა მაქსიმალურად ყოფილიყო გათვალიწინებული სასკოლო საზოგადოების ინტერესები და სურვილები სკოლის განვითარების პროცესში. გეგმავენ, რომ მასწავლებელთა შეხვედრები იყოს უფრო ხშირი და შინაარსობრივი, პროდუქტიული. სკოლის ფარგლებში თანამშრომლობითი კულტურის შესახებ წარმოდგენას გვიქმნის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისათვის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმა ,რომელშიც ჩართულია პედაგოგები ყველა სკოლა აქტიურად თანამშრომლობს თემში ინოვაციის და ტექნოლოგიების ცენტრთან, კოლეჯ „ჰორიზონრთან“ და თემში არსებულ სხვადასხვა დაწესებულებებთან, რასაც მოწმობს ერთობლივად დაგეგმილი და განხორცილებული აქტივობები. შექმნილია მასწავლებელთა შეხვედრის ჯგუფი. ხდება მასწავლებელთა შეხვედრები, პრაქტიკის გაზიარება, სიახლეების დანერგვა. სკოლის წარმოამდგენელთა განცხადებით სამომავლოდ გეგმავენ მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფების შეხვედრები იყოს უფრო ხშირი და შინაარსობრივი, პროდუქტიული. სკოლის ფარგლებში თანამშრომლობითი კულტურის შესახებ წარმოდგენას გვიქმნოს შემოთავაზებული ოქმები, სადაც პედაგოგთა გაერთიანებული კოლექტივი განიხილავს სკოლის ფარგლებში გადასაწყვეტ სხვადასხვა პრობლემას. ამ საკითხზე მკაფიო წარმოედგენას ქმნის სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები - სამეურვეო საბჭოს ოქმები, საგნობრივი კათედრის სხდომის ოქმები. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.აღნიშნული მიმართულებით სკოლას ასევე ჩატარებული აქვს პატარა კვლევა, „სასკოლო კულტურა და მენეჯმენტი“, კველვაში გამოკვეთილად უსვამენ ხაზს მასწავლებლები (სამიზნე ჯგუფი), რომ გამოცდილებას მუდმივად უზიარებენ ერთმანეთს, გამოთქვამენ სურვილს, რომ იყოს ანონიმური გამოკითხვები

მასწავლის შესახებ და შედეგები გადაეცეს მასწავლებელს, რათა მან იზრუნოს გაუმჯობესებაზე. ამასთანავე, თანამშრომლობით კულტურაზე მეტყველებს ერთობლივად შექმნილი და გაზიარებული კურიკულუმები. ერთობლივად განხორციელებული პროექტები, ინტეგრირებული გაკვეთილები, მიუთითებს სკოლაში თანამშრომლობით კულტურაზე. ***ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

4. სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. სასწავლო გარემო ორიენტირებულია მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე, მასწავლებლები იყენებენ შინაგანი და გარეგანი მოტივაციის ამაღლების სხვადასხვა ხერხებს, გამჭვირვალე განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასების რუბრიკებს, მოსწავლეთათვის მიცემულ პოზიტიურ უკუკავშირს და ა.შ. თავიანთი სწავლებით და დადებითი მაგალითებით მოსწავლეებს უღვივებენ ცოდნის დაუფლების წყურვილს. სასწავლო პროცესი არის არა მოსაწყენი და რუტინული სამუშაო, არამედ ცოცხალი, ხალისიანი, საინტერესო და ახალი ცოდნის მიღებაზე ორიენტირებული. სკოლაში ყველა მოსწავლეს აქვს კითხვაზე პასუხის გაცემისა და დისკუსიაში მონაწილეობის თანაბარი შესაძლებლობა; მოსწავლეთა ნაშრომების შეფასებისას სკოლის მასწავლებლები იყენებენ ობიექტურ კრიტერიუმებს, დიდ ყურადღებას უთმობენ იმას, თუ რა პრინციპით ახდენენ მოსწავლეთა წახალისებას. სკოლაში დაცულია სისუფთავე და სანიტარული ნორმები. სასკოლო და საკლასო გარემოს გაუმჯობესებაში აქტიურად არან ჩართული მოსწავლეები, რასაც მოწმობს ეკო კლუბის მიერ დაგეგმილი და განხორციებული აქტივობები. რაც ხელს უწყობს სასკოლო და საკლასო გარემოს მიმართ მათი პასუხისმგებლობის გრძნობის გაღრმავებას. სასწავლო გარემო დამყარებულია ნდობასა და კეთილგანწყობაზე. სკოლაში არის ჯანსაღი, ნდობასა და პატივისცემაზე დაფუძნებული თანამშრომლობითი გარემო, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს პოზიტიურ ატმოსფეროში და მოსწავლეები თავს გრძნობენ უსაფრთხოდ. იგრძნობა პოზიტიური კლიმატი, ატარებენ საკლასო თუ სასკოლო ღონისძიებებს, მაგალითად, კონფერენცია. რა , სად, როდის. ყველაზე ჭკვიანი, სადაც გმოყენებულია სახალისო მათემატიკური ამოცანები. ***ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ ინტერვიუ სკოლის წარმომადგენლებთან;
- ✓ საგნობრივი კურიკულუმების ნიმუშები;
- ✓ პედსაბჭოს ოქმი;
- ✓ სამეურვეო საბჭოს ოქმი;
- ✓ სკოლის შინაგანაწესი;
- ✓ სკოლის სასწავლო გეგმ;ა
- ✓ თვითშეფასების ფორმა;

- ✓ წარმოდგენილი პროექტები, ღონისძიებების ამსახველი ფოტომასალა, ნებადართული წრეობრივი საქმიანობების ჩამონათვალი.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტის სახით "სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია" სადაც არსებული ჩანაწერიდან დგინდება, რომ სასკოლო კურიკულუმის განვითარება უწყვეტი პროცესია. ის გულისხმობს შემდეგი ფაზების ყოველწლიურ მონაცვლეობას: ა) კურიკულუმი შემუშავება; ბ) დანერგვა; გ) დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება; დ) გადასინჯვა და რევიზია .სკოლას გაწერილი აქვს დეტალურად თუ როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი და შეფასება და რომელ პრინციპებს უნდა დაეყრდნოს. დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება კურიკულუმის განვითარების პროცესის განუყოფელი ნაწილია იმის აღწერა, თუ: - რამდენად მიმდინარეობს პროცესები დაგეგმილი ჩარჩოს ფარგლებში (მონიტორინგი); - რამდენად მოაქვს დაგეგმილ

აქტივობებს სასურველი შედეგი,სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს . კვლევა და შეფასება ტარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით (ვადები, ინსტრუმენტები) და წარიმართება სამი მიმართულებით: - მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად; - სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობელების გადაჭრისთვის); - სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის) . ხორციელდება სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შეფასება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად. ***ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან: სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ „შიდა საქმიანობის ხარისხი“- იკვეთება, რომ ხარისხის უზრუნველყოფა გულისხმობს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასთან, განხორციელებასთან და შემდგომ მის შეფასებასთან დაკავშირებული აქტივობების გაუმჯობესებისკენ მიმართული ღონისძიებების ერთობლიობას, აგრეთვე, ხარისხის უზრუნველსაყოფად საჭიროა პროგრამების, მიმდინარე სასწავლო პროცესის სისტემატური გადახედვა, კონტროლი რათა შენარჩუნებული იქნას ხარისხი და ეფექტურობა და სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფისა და მუდმივი გაუმჯობესების მიზნით, სკოლა მუდმივად ახორციელებს სასწავლო პროგრამების განხორციელების შეფასების და შემდგომი გაუმჯობესების, ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის და სკოლის მატერიალური რესურსების გაუმჯობესებას. შესაბამისად სკოლა აქვს მზაობა და გაწერილი საქმიანობების თანამიმდევრობა, როგორ უზრუნველყოს მონიტორინგისა და შეფასების შედეგების გათვალისწინებით სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერა და დახმარება. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ კათედრის წევრები ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე, ახორციელებენ შიდა მონიტორინგს და ერთმანეთს სთავაზობენ განვითარებაზე ორიენტირებულ აქტივობებს,რაც საბოლოო ჯამში ხელს უწყობს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას და გამოხატავს სასკოლო საზოგადოების წევრების ერთგვარ მხარდაჭერას. მასწავლებლები მოსწავლეების სადიაგნოსტიკო შეფასების საფუძველზე დააკვირდებიან საკუთარ პრაქტიკასაც. დაკვირვების და ანალიზის საფუძველზე გამოვლინდება ძლიერი და სუსტი მხარეები. სკოლა გეგმავს სემესტრში ერთხელ ჩაატაროს მონიტორინგი და შეაფასოს სასწავლო პროცესის მიმდინარეობა. სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგსა და შეფასებას აქვს მხარდამჭერი ფუნქცია. მისი მიზანი არის სასკოლო საზოგადოებას დაეხმაროს სასწავლო შედეგების მიღწევაში, უკეთესი გარემოს შექმნაში. მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ მეთოდური მიდგომის მთავარ მიზანს წარმოადგენს გამოვლენილი პრობლემების გადაჭრა. ასევე სკოლის თვითშეფასებით დასტურდება, რომ მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება პრობლემის აღმოფხვრის მიზნით. სკოლაში უწყვეტად მიმდინარეობს შეფასების

პროცესი, რომლის საფუძველზეც ხდება საჭიროებების გამოვლენა და ინტერვენციების დაგეგმვა, თუკი გადაჭრის გზები არ აღმოჩნდება ქმედითი, ხდება ახალი ფორმების, ინსტრუმენტების ძიება, რომლებიც სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერაზე არის ორიენტირებული. მონიტორინგი და შეფასება მიმართულია სწავლა სწავლების პროცესში მოსწავლეების და მასწავლებლების მხარდაჭერისკენ. მასწავლებლები ახორციელებენ გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებას, ასევე ხდება ხარისხის განვითარების ჯგუფის წევრების მიერ გაკვეთილებზე დასწრება და უკუკავშირის მიცემა. ***ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

3. სკოლის მიერ წარმოდგენილია დოკუმენტი "სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია", სადაც დეტალურადაა გაწერილი ფუნქციები, პასუხისმგებლობები სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის; განსაზღვრულია სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში მონაწილეობის ფორმები - ფუნქციებსა და პასუხისმგებლობებს შორის, რომლებიც სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში გამოიკვეთება ზოგიერთი თანხვედრაშია სასკოლო საზოგადოების წევრების ყოველდღიურ საქმიანობასთან, ზოგიერთი კი - მათ დირექტორის სპეციალური ბრძანებით დაევალებათ. მოხდება აღწერა, თუ: - რამდენად მიმდინარეობს პროცესები დაგეგმილი ჩარჩოს ფარგლებში (მონიტორინგი); - რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი. კვლევა და შეფასება ჩატარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით. მოხდება მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად; - სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობლების გადაჭრისთვის); - სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის) აღნიშნული დოკუმენტაციის ანალიზიდან შეგვიძლია დავადგინოთ , რომ სკოლაში კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას. მასწავლებლები ურთიერთთანამშრომლობით დაადგენენ მოსწავლეთა ინტერესის სფეროს, სწავლა სწავლების პროცესში მონიტორინგისა და შეფასების გზით გამოკვეთენ სუსტ და ძლიერ მხარეებს და ანალიზიდან გამომდინარე დაიგეგმება პრობლემების გადაჭრის რეალური გზები და სამომავლო ინტერვენციები.***ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ საგნობრივი კურიკულუმების ნიმუშები;

- ✓ კათედრების სხდომის ოქმები;
- ✓ პედაგოგებთან პირადი გასაუბრება;
- ✓ კურიკულუმის დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- ✓ სკოლის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
- ✓ სკოლის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის ბრძანება N2-21;
- ✓ ვერიფიკაციის მექანიზმი.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტში "სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია " განსაზღვრულია მონიტორინგი და შეფასება სამი მიმართულებით. მოცემული ინსტრუმენტებიდან გამომდინარე, სასწავლო პროცესის შეფასებისას ხდება მოსწავლეთა დიაგნოსტირების გზით პროგრესის გაზომვა. ასევე იგეგმება და მეთოდოლოგიური დოკუმენტით განსაზღვრულია კომპლექსური დავალებების და კურიკულუმების შეფასება. სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების პროცესის შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, როგორც მეთოდოლოგიის დოკუმენტში არის აღნიშნული ინფორმაციის შეგროვება ხდება სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფებისაგან: მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნულ სასწავლო გეგმასთან მიმართებაში, ასევე ინფორმაცია გროვდება პედაგოგებზე დაკვირვების გზით მათი პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირების მიზნით, მიმდინარეობს სკოლის ინსტიტუციური

განვითარების კვლევა თანამშრომლობითი პროცესების გაღრმავების მიზნით. შეფასების პროცესში ჩართული არის სკოლის კათედრა, რომლებიც უზრუნველყოფენ შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენებას, კათედრის წევრები მხარს უჭერენ და ახორციელებენ ჰოლისტურ მიდგომებს. აღნიშნული მიმართულებით სკოლას წარმოდგენილი აქვს იმ კითხვარების სამუშაო ვერსია, რომელსაც იყენებს. ***ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

2. სკოლა გეგმავს მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა მეთოდების გამოყენებას. სკოლას აქვს სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც ასახულია რა წყაროების საშუალებით ხდება დანერგვის პროცესის ამსახველი მონაცემების დამუშავება. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ შეფასება ხდება, სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინებით. საბუნებისმეტყველო კათედრა გეგმავს კომპლექსური დავალებებით სწავლებას, რაც იძლევა იმის საშუალებას სასწავლო პროცესი წარიმართოს სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენებით: ჯგუფური მუშაობა, წყვილებში მუშაობა, ინდივიდუალური, პრეზენტაცია. შეფასებაც განხორციელდება შესაბამისად. კათედრის წევრებთან გასაუბრების შემდეგ და წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების და შეფასების რუბრიკების, აგრეთვე სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის სასკოლო კურიკულუმის შემუშავებიდა და განვითარების მეთოდოლოგის მიხედვით სკოლაში შეფასება განხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით; მოსწავლის სწავლის პროგრესის, მისი საჭიროებების შეფასებისას მნიშვნელოვანია ინფორმაცია მოპოვებული იყოს ყველა იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რაც მოსწავლის პროდუქტიულობაზე ახდენს გავლენას. ეს შეიძლება იყოს სახლი, სკოლა, კლასი, ეზო, სათამაშო სივრცე, კონკრეტული გაკვეთილი და ა. შ. სრულყოფილი ინფორმაციისთვის აუცილებელია მოსწავლის სხვადასხვა კონტექსტში შესწავლა. შეფასების მიზნიდან გამომდინარე განისაზღვრება კონტექსტებიც და ფოკუსიც, რაც მოცემულ კონტექსტში გვჭირდება. მოსწავლის შეფასების დროს გათვალისწინებული იქნება სხვადასხვა ფაქტორები: ღირებულებები, მისწრაფებები, სურვილები,შესაძლებლობები. მოსწავლის ქცევას სკოლაში აკვირდება კლასის დამრიგებელი. შეფასება ხორციელდება მონაცემთა შეგროვების მეთოდზე დაყრდნობით და არ მოიცავს მრავალ კონტექსტს. როგორც კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში არის აღნიშნული, დოკუმენტის განვითარების პროცესში მრავალი მხარე არის ჩართული: მოსწავლეები, მშობლები, მასწავლებლები, დირექცია. მაგალითად, დაკვირვების საგანი არის რამდენად გაუმჯობესდა წინა მოსწავლეთა შედეგები, რა იყო მშობლებთან კომუნიკაციის ხელისშემშლელი ფაქტორები, რა ფაქტორები უშლიდა ხელს დირექციას მასწავლებლების პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირებაში და ა. შ. თვითშეფასების კითხვარის მიხედვით იკვეთება, რომ სკოლაში მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა მოსწავლეთა უნარებზე დაკვირვებას და შედეგების მოდიფიცირებას.

სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინებით, ყურადღება ექცევა მოსწავლეთა უნარებს, თუმცა სამომავლოდ გეგმავენ, რომ არსებული შეფასება კიდევ უფრო დახვეწონ. ***ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

3.სკოლას წარმოდგენილი აქვს სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც ასახულია რომ შეფასების პროცესში გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მეთოდები, კერძოდ რა ინსტრუმენტები გამოიყენება სასწავლო პროცესის დაგეგმვისთვის, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებისთვის, დანერგვის პროცესთან დაკავშირებით მონაცემების შესაგროვებლად, დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასებისთვის; შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით სკოლა შეფასებისას გამოიყენებს მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს.: დაკვირვება, დიაგნოსტირების მეთოდები, ხდება შედეგების ანალიზი. კურიკულუმის მეთოდოლოგიით განსაზღვრული არის სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისა და მათგან უკუკავშირის მისაღებად სხვადასხვა არხების გამოყენება: ელექტრონული ფოსტა, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა, სკოლის ფეისბუქ-გვერდი, ბეჭდვითი სიტყვა, საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიური ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან.

მასწავლებლები თანამშრომლობენ მშობლებთან და კლასის დამრიგებლებთან. მათი დახმარებით ადგენენ მოსწავლეების ინტერესების სფეროს, გამოკვეთენ მათ ძლიერ და სუსტ მხარეებს, რისი საშუალებითაც ექმნებათ სრული წარმოდგენა მოსწავლეების შესახებ. სამომავლოდ იგეგმება ჰოლისტური შეფასების მეტად გამოყენება.

იყენებენ გამოკითხვას, ინტერვიუს , დაკვირვებას, ფოკუს ჯგუფებს . შეფასების პროცესში ჩართული არიან მოსწავლეებიც. ***ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

4. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში: „ სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“- ასახულია რომ შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით. მოსწავლეთა შეფასების, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების და კურიკულუმის განვითარების მიზნით. სკოლა გეგმავს მათ მიერ შემუშავებული შეფასების სისტემა მორგებული იყოს მოსწავლეთა ინტერესებზე, შესაძლებლობებზე, საჭიროებებზე, რესურსებს წვდომასა და სხვა ფაქტორებზე. ესთეტიკური კათედრის მიმართულებით სკოლას არ აქვს სადიაგნოსტიკო შეფასების გამოცდილება, თუმცა, ესთეტიკური საგნების კათედრა აღნიშნავს, რომ სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტებიდან მომდევნო სასწავლო წელს პრაქტიკაში დანერგავენ პირველ და მეორე ინსტრუმენტს. შეფასებისას გათვალისწინებული იქნება როგორც მოსწავლის აკადემიური დონე, ასევე მოსწავლის განვითარების დინამიკა და განვითარების პროცესი. ზოგადად, შეფასების რუბრიკის ნიმუშებში, რომელიც კათედრაზე შემავალი სხვა საგნების ფარგლებშია შექმნილი, ორიენტირებულია მოსწავლის სხვადასხვა უნარისა და შესაძლებლობების წახალისებასა და გაუმჯობესებაზე. პედაგოგებთან პირადი გასაუბრების დროს, მათი განცხადებით, შეფასებისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და განსხვავებულ ინტერესებს. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.სამომავლოდ გეგმავენ შექმნან შეფასების ერთიანი ბაზა. ***ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ ინტერვიუ სკოლის წარმომადგენლებთან;
- ✓ საგნობრივი კურიკულუმების ნიმუშები;
- ✓ ვერიფიკაციის მექანიზმი;
- ✓ კურიკულუმის დანერგვის მეთოდოლოგია;
- ✓ შეფასების რუბრიკები;
- ✓ სასკოლო სასწავლო გეგმა.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის რევიზიის მნიშვნელობა და განხორციელების წესი დეტალურადაა წარმოადგენილი წარმოდგენილ დოკუმენტში - "კურიკულუმის მეთოდოლოგია". მასში გაწერილია ნაბიჯები, რომელზე დაყრდნობითაც უნდა მომხდარიყო კურიკულუმის ეტაპობრივი განვითარება. კურიკულუმის განახლება და განვითარება ხდება მთელი წლის განმავლობაში, სასწავლო წლის განმავლობაში, შეგროვილი მონაცემების საფუძველზე. პედაგოგებისა და სკოლის წარმოამადგენელთა განცხადებით, სკოლა კურიკულუმის განვითარების მიზნით მომავალი სასწავლო წლის განმავლობაში გეგმავს სადიაგნოსტიკო შეფასების წარმოებას. მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავებისათვის სარეკომენდაციო პაკეტი იქმნება

რამდენიმე კომპონენტზე დაყრდნობით, რაც დეტალურადაა გაწერილი სკოლის მიერ შემოთავაზებული დოკუმენტის ფარგლებში. აღნიშნული კომპონენტებია, კათედრული მუშაობა, მოსწავლეთა ჩართულობის გაანალიზება, მოსწავლეთა შეფასებებზე დაკვირვება და პროგრესის დიაგნოსტირება, ასევე დირექციის ჩართულობა პროცესში. ყურადღებას ამახვილებენ ისეთ სასწავლო რესურსებზე, რომლებიც ეფექტურად იქნა გამოყენებული. ხდება ახალი კურუკულუმის შემუშავება სასკოლო სტრუქტურის ყველა დონისათვის, რომელშიც გათვალისწინებულია სკოლის გამოცდილება, მისი ძლიერი მხარეები და გამოწვევები. ***ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

2. კურიკულუმის გადამუშავების პროცესი გაწერილია სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში " სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია". კურიკულუმის რევიზია ეყრდნობა წინარე გამოცდილებას. დოკუმენტის მიხედვით სკოლის ფარგლებში კურიკულუმის გადამუშავება ხორციელდება საგნობრივ კათედრებზე, სადაც პედაგოგთა ჯგუფი ხელმძღვანელობს რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინებით. განიხილება მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხი სასწავლო პროცესში, ასევე მოსწავლეთა შედეგებზე დაკვირვებით დგინდება კურიკულუმით განსაზღვრულმა საგანმანათლებლო აქტივობებმა რამდენად გამოიწვია მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესება. მშობელთა ჩართულობის ხარისხის გაანალიზება და ასევე მათი ინფორმირების მექანიზმების ეფექტურობის შეფასება. შესაბამისად სკოლა კურიკულუმის გადამუშავების პროცესში დაეფუძნება წინარე გამიცდილებას და გაითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს რომ, მომავალი სასწავლო წლისთვის წინარე გამოცდილებისა და შეფასებების საფუძველზე გეგმავენ კურიკულუმის გადამუშავებული ვერსიის შექმნას. ასევე გეგმავენ გამოცდილებიდან გამომდინარე სხვადასხვა პროექტების განხორციელებას . კურიკულუმის რევიზია ეყრდნობა წინარე გამოცდილებას. დოკუმენტის მიხედვით სკოლის ფარგლებში კურიკულუმის გადამუშავება ხორციელდება საგნობრივ კათედრებზე, სადაც პედაგოგთა ჯგუფი ხელმძღვანელობს რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინებით. განიხილება მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხი სასწავლო პროცესში, ასევე მოსწავლეთა შედეგებზე დაკვირვებით დგინდება კურიკულუმით განსაზღვრულმა საგანმანათლებლო აქტივობებმა რამდენად გამოიწვია მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესება. მშობელთა ჩართულობის ხარისხის გაანალიზება და ასევე მათი ინფორმირების მექანიზმების ეფექტურობის შეფასება. ***ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ დოკუმენტი - კურიკულუმის მეთოდოლოგია;
- ✓ საგნობრივი კურიკულუმის ნიმუშები;
- ✓ მასწავლებლებთან ინტერვიუ.

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

ვიზიტის დღის წესრიგი.

21.09.2023

თარიღი

ჯგუფის თავჯდომარის ხელმოწერა:

წევრების ხელმოწერა: